მეორე შემთხვევაში აუხსნელი არის, რატომ არ ხდება ფუძე მაგმის დიფერენციალი აკეანეს ქვეშ. რომ დიფერენციალი იქ ადგილი არა აქვს ამას ამტკიცებს არა მარტო ის, რომ იქ სიალის ფენა არ არსებობს, არამედ უშუალო დაკვირვებაც: Daly აღნიშნავს, რომ პავაის ვულკანების არსებობის ხანგრძლივი დროის მანძილზე იქაურ ბაზალტს არავითარი ცვლა არ ეტყობა.

ამრიგად, სიალის წარმოშობის საკითხი ჯერ გამოუწოდი და ძლიერ დამატირებელი გამოცანა არის. ეგებ იგი კიდევ დიდხანს დარჩეს აგეთად, მაგრამ მეტი არ იქნება ცდა, საკითხის გადაჭრის გზა მაინც ვეძიოთ. ასეთ გზას კი თითქოს ოროგენის განვითარების შესწავლა უნდა წარმოადგენდეს.

მართლაც, წყნარი ოკეანის მოსაზღვრე. აღმოსავლეთ აზიის ოროგენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ოროგენის და ოკეანის საზღვარი არსებითად ანდეზიტურ ხაზს ემთხვევა. ამ ხაზის ერთ მხარეზე, ოკეანისკენ, ბაზალტური მაგმის სამყაროა. გრანიტი იქ უცნობია. მეორე მხარეზე, ოროგენში, ანდეზიტებთან ერთად გრანიტიც გახვდება. რასაკირველია, არის ბაზალტიც.

სნელია ვიფიქროთ, რომ მოვლენა უბრალო შემთხვევას წარმოადგენს, რომ ოროგენის და ოკეანის საზღვარი პეტროგრაფიულს შემთხვევით დაემთხვება. თუ გრანიტული მაგმა ბაზალტური მაგმის დიფერენციალის შედეგი არის, გამოდის, რომ ასეთი დიფერენციალი ანდეზიტური ხაზის ერთ მხარეზე



მიმდინარეობს მხოლოდ, ისევე როგორც ოროგენული ისის. ბუნებრივი უსულებელი როთ, რომ ან ოროგენულისი იწვევს ბაზალტური მაგმის ღიფერენციას, ან ერთიც და მეორეც საერთო მიზეზის შედეგი არის. კერძოდ, გეოანტიკლინური ზურგობები, რომლებთანაც ინტენსიური ვულკანიზმი არის დაკავშირებული, შეიძლება მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ამ მხრივ. უეჭველია ისიც, რომ ზურგობებს შუა მდებარე ჩაზნექვის ზოლებიც ინტენსიური ქიმიური გარდაქმნების ადგილს უნდა წარმოადგენდნენ. მნელი სათქმელია, თუ რა ხასიათის არის ეს პროცესები ოროგენის განვითარების დასაწყისში, მაგრამ საკმაოდ ცნობილი არის, რომ ტიბიურ გეოსინკლინებში ინტენსიური მეტამორფიზმი და გრანიტიზაცია მიმდინარეობს.

გეოანტიკლინების და გეოსინკლინების აწევ-დაწევა ოროგენში მრავალგზის მეორდება და გასაგები იქნება, რომ ამას მიწის ზედა ფენების მასალის ძირითადი გადამუშავება მოჰყვეს შედეგად. საფიქრებელია, რომ ეს გადამუშავება ხანგრძლივი და თანდათანობით მსვლელი პროცესი არის. მცირე დროის მანძილზე სათანადო ცვლილებების შემჩნევა მასალოდნელი არ არის, მაგრამ თუ ავილებთ უზარმაზარ დროს არქეულიდან დღემდე, შესაძლებელია ესეც მოხერხდეს. ამ მხრივ საგულისხმოა ფრთლოვას მიერ გამოქვეყნებული ცნობა შეუციმშირის ფარის უძველესი არქეულის ქანების ანალიზის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ქანების საშუალო შედეგენილობა გრანიტისას კი არ ემთხვევა, როგორც მოსალოდნელი იყო სიალისათვის, საგრძნობლად უფრო უფრე და ბაზალტისაკენ იხრება [2]. თუ ასეთი დასკვნა გამართლდება, უფლება გვექნება ვთქვათ, რომ, თუ დღეს სიალის საშუალო შედეგენილობა საშუალო გრანიტისას უახლოვდება, ეს შედეგი არის სათანადო მასალის განმეორებითი გადამუშავებისა როგორნებში. დიფერენციაციის და გრანიტიზაციის პირველი პროცესები კი უფრო ახლო იდგნენ დედა-მაგმასთან.

დამოვაბული ლიტერატურა

1. ა. ჯანელიძე, ოროგენის დაბადება: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVI, თბ. 1949.
2. Н. В. Фролова, О наиболее древних осадочных породах Земли: Природа, 1950, № 9.

სტალინის სახელინის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეოლიგიის კათედრა.

(შემოვიდა რედაქციაში 1950. XII. 19).

არჩ. ჯანაშვილი

მასალები სამგორის ქადაგოვარების გავრცელების გასეცვლისათვის

შესავალი

წინამდებარე ნარკვევის მიზანს შეადგენს სამგორის ველის ძუძუმწოვართა ფაუნის სისტემატიკური შემადგენლობისა და გეოგრაფიული გავრცელების დადგენა.

სამგორის ველის ძუძუმწოვართა ფაუნა დღემდე კალკე შესწავლილი არ ყოფილა. ამ მიდამოს ცხოველების შესახებ მცირეოდენ ცნობებს ვპოულობთ დინი კისა [1] და სატუნინის [3] შრომებში, რომლებიც მიძლენილია საერთოდ კავკასიის ფაუნის შესწავლისადმი; ასევე ზოგადად საქართველოში ძუძუმწოვართა ამა თუ იმ სახეობის გავრცელებაზე შეგვითითებს ოგნევიც [2], თუმცა არც ერთ მათგანს სამგორის ველის შესახებ ცნობები არა აქვთ მოცემული. ამგვარად, ჩვენი ნარკვევი აღნიშნული მიღამოს ფაუნის შესწავლის, ასე ვთქვათ, პირველ ცდას წარმოადგენს.

სამგორის ველი გადაჭიმულია ძირითადად ოთხი რაიონის ფარგლებში — თბილისის, გარდაბნის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში. მათ შორის სამგორის ველის ყველაზე მეტი ფართობი მოდის პირველ სამ რაიონზე, ხოლო კაჭრეთის რაიონში ის კრცელდება შედარებით მცირე მანძილზე.

ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი ფართობის ფაუნისტური შესწავლა-ათვისება ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელია.

1950 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ საველე სამუშაოები ჩატარებულია სამგორის ველის შემდეგ ფარგლებში: ჩრდილოეთიდან — საცხენისი, ტურნერის სერი, უჯარმა, ხაშმი, პატარძეული, მთა არხა, მდ. იორი ს. მუღანლომდე; აღმოსავლეთიდან — ს. მუღანლო, ყარადალი, გარეჯის მონასტერი; სამხრეთიდან — გარეჯის მონასტერი, მთა ამართულა, ფაშატიანთ ხევის გაყოლებით; დასავლეთიდან — მთა ამართულა, შურუსუნი, სადგ. ვაზიანი, ახალ-სოფელი, საცხენისი ჭყლის გაყოლებით სოფ. საცხენისამდე.

საკვლევი მიღამოს ცენტრად მიჩნეული იყო ს. სართიჭალა, საიდანაც მარშრუტული ექსპედიციები ტარდებოდა სხვადასხვა დროს ამა თუ ჩმ მიშართულებით.

აღნიშნული ფართობის მცენარეული საფარველი, მართალია, უმეტეს ნაწილზე ერთფერვანია, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც რამდენადმე განსხვავებული

ლიდა. ასე, მაგალითად, საცხენისის მიღამოები, მდ. საცხენის გაყოლებებთ ახალი სოფლამდე, დაფარულია მთების ტყით, ჭარბობს მუხა; ამბარეს ხეობაზე უსწოდებით მისი სამხრეთი კალთები მუხისა და ჯაგრცხილიანი ბუჩქნარითა-შემოსილი; მუხროვანისა და უჯარმის მიღამოები მუხნარი და რცხილნარ-ტყიანია; იორის სანაპიროებზე (მუხროვანიდან მულანლომდე) განვითარებულია ტუგაის ტყე; პატარძეულიდან ხურჯინეულის მთამდე ალაგ-ალაგ-გვხდება ჯაგელიანი ველები; ახალსოფლის მიღამო, მ. ლაფნები, ხაშმის მიღამო დაფარულია მუხისა და ჯაგრცხილიანი ბუჩქნარით; მ. ზაქალინიდან მ. ნატახტარმდე, მ. ნაომარზე და მ. თოურუ-თაფაზე გავლით მ. უდაბნომდე წარმოადგენს აბზინდიან ნახევარ უდაბნოს; საკელევი რაიონის დანარჩენი აღვილები უკავია უროიან ველებს [5].

აღნიშნული ნაკვეთის ფარგლებში მოიპოება მრავალი ტბა, რომელთა უმრავლესობა მღამე და შეიცაუს მათოვის დამახასიათებელ უხერხემლოთა ფაუნას. ამ ტბებს შორის აღსანიშნავია მუხროვანის, მღამე ტბები (დემურ-დალთან), ქაჩალ-ტბა (მაღხაზიანთან), უსახელო ტბა მ. შეფენილთან და სხვ.

საკელევად აღებული ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ველებს უკავია, ხოლო ალაგ-ალაგ გვხვდება საკმაო მაღლობები და მთებიც. უკანასკნელი შესამჩნევ სიმაღლესაც აღწევენ. მათ შორის აღსანიშნავია მ. უდაბნო (883 მ. ზღვის დონიდან), ბერთა მთა (910), მ. თოურა (988), მ. ვაშლიანი (837), მ. ნაომარი (970), მ. ნატახტარი (963), მ. ქაზანინი (785), მ. ლაფნები (953), ტურნერის სერი (1113).

მიუხედავად აღწერილ მიღამოში არსებული გარემო პირობების სხვადა-სხვაობისა, მაინც სამგორის სისტემის ფაუნას, როგორც ამას ქვემოთ დაგინახავთ, რამდენადმე ერთთეროვება ახასიათებს. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი ფაუნის ძირითადი ბირთვი ველებისათვის დამახასიათებელი ფორმებითაა წარმოდგენილი; განხილული რაიონის ჩრდილოეთ უბნებში, სადაც ტყები და ბუჩქნარებია განვითარებული, გვხვდება მცენარეთა ამ ფორმაციებისათვის დამახასიათებელი ცხოველები. მდ. იორის სანაპიროები დასახლებულია ძირითადად წყლის გარემოსთან დაკავშირებული ფორმებით.

მასალა ღა მეთოდი

წინამდებარე ნარქვევის დამუშავებისას გამოყენებულია ჩეენ მიერ 1950 წლის და აგრეთვე წარსული წლების განმავლობაში სამგორის ველზე შეგროვილი მასალები, საქართველოს მუზეუმის კოლექციები, განსაკუთრებით მტაცებლებისა და ჩლიქოსნების, საქართველოს „მონკავშირის“ მონაცემები უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, კერძოდ მტაცებლების მიმართ, თბილისის ზომარების ექსპონატები, რომლებიც სხვადასხვა დროს შექნილია განსახილველად აღებული მიღამოდან, გაანალიზებულია სათანადო ლიტერატურა, რომლის სია თან ერთვის.

მასალის შეკრება ხდებოდა ადგილობრივ მარშრუტული ექსპედიციებით, ცხოველის ადგილსამყოფელი აღინუსხებოდა ცოცხალი ცხოველის ან-

შისი ექსკრემენტების თუ სხვა ნაშთების (ჩონჩხი, კვალი და ა. შ.) მეჩელდება სოროების გათხრისა და მათი შიგთავსის ანალიზით, თოფით მომზადებული და სხვ.

ქვემოთ მოგვყავს სამგორის ველზე გავრცელებული ძუძუმწოვრების სია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სია არაა სრული და ის შეიცება მომავალი წლის კვლევის შედეგად, რაც აგრეთვე ამ უბანზეა გეგმით გათვალისწინებული.

საკითხების განხილვა

1. ამიერკავკასიის ზღარბი — *Erinaceus rumanicus transcaucasicus* Sat.

ამიერკავკასიის ზღარბი სამგორის ველის იმ მონაკვეთზე, რომელიც ჩვენ საკვლევად დაკისახეთ, საკმაოდ ფართოდა გავრცელებული, განსაკუთრებით იქ, სადაც საამისოდ ხელშემწყობი პირობებია. იგი ძირითადად გვხვდება ტყეში, ბუჩქნარში, ბალებში, ბოსტნებში, ხოლო ზოგჯერ სოფლის მეურნის ეზოშიც აფარებს თავს.

განხილულ რაიონში ამიერკავკასიის ზღარბი ნახულია ან მოპოებულია საცხენისის მიდამოში, ამბარეს ხეობაში, მუხროვანთან, ლაფნებთან, მუღან-ლოსთან (სართიჭალის), ხაშმთან.

2. კავკასიის თხუნელა — *Talpa caucasica* Sat.

სამგორის ველზე კავკასიის თხუნელა იშვიათად გვხვდება საცხენისის ხეობაში.

სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს ბეწვის დაბალი ხარისხისა გამო.

3. რუხი ლამურა — *Myotis myotis* Borh.

რუხი ლამურა საკმაოდ ფართოდა გავრცელებული სამგორის ველის ფარგლებში. ბინადრობს იგი მრავალრიცხოვანი კოლონიების სახით სახლის სხვენში, ნანგრევებში, მიტოვებულ ქოხებში და სხვ.

მრავალრიცხოვანი კოლონიები ჩვენ მიერ აღნიშნულია ს. სართიჭალის სკოლისა და კლუბის სხვენში, აგასთუმნის შენობებსა და ნანგრევეში, ნატახ-ტართან, მუღანლოში. ეს ლამურა ფრენას იწყებს მრავალრიცხოვანი გუნდების სახით შებინდებისთანავე. მასვე ვპოულობდით დილით აღრე, სანამ ლამის ბინდი გაიფანტებოდა.

დღიდი რაოდენობით მავნე მწერების მოსაობით ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საგრძნობი სარგებლობა მოაქვს.

4. კავკასიის ძილგუდა — *Glis glis tchetchenicus* Sat.

საკვლევი რაიონის ფარგლებში კავკასიის ძილგუდა გვხვდება საცხენისის ხეობაში, ამბარეს ხეობაში, მუხროვანსა და უჯარმაში, სადაც ის ბუჩქნარსა და ტყიან ადგილებში ბინადრობს.

ზიანი მოაქვს კულტურულ მცენარეთა დაზიანებით.

მისი ბეწვი გამოიყენება ბეწვეულ მეურნეობაში.

5. ბალის ძილგუდა — *Dyromys nitedula tichomirovi Sat.*

სამგორის ველის ფარგლებში ბალის ძილგუდა ჩვენ მიერ პლიტიშნულია საცხენისთან, ამბარეს ხეობაში, მუხროვანთან, იორის მარჯვენა სანაპიროზე ბალებში (სოფ. ხაშმის მახლობლად). ყველგან გვხვდება მცირე რაოდენობით.

6. ამიერკავკასიის ზაზუნა — *Cricetus brandti Nehr.*

სამგორის ველის ფარგლებში ამიერკავკასიის ზაზუნა ბინადრობს ივრის ხეობაში (მუღანლოსთან), თბილელის ხევთან. შიღღოვსკი [4] მიუთითებს ამ მღრღნელის გავრცელებას ივრის ხეობაში, გარდაბანში (ყარაია).

7. ამიერკავკასიის კურდლელი — *Lepus europaeus cyrensis Sat.*

სამგორის ველზე ამიერკავკასიის კურდლელი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი განხილულ რაიონში ჩვენ მიერ აღნიშნულია ვაზიანიდან, სამგორიდან, ახალსოფლიდან, საცხენისიდან, ამბარეს ხეობიდან, მუღანლოდან (სართიჭალის), ხრევილის თავიდან, საღამოს ველიდან, ლაფნებიდან და იგრეთვე ნახულია მ. ნატახტართან, სანგართან, უდაბნოსთან, საჯერნისთან.

ზოგ ადგილას კურდლელს ზიანი მოაქვს მინდვრისა და ბოსტნეულის კულტურების განადგურებით.

8. ამიერკავკასიის მაჩვი — *Meles meles minor Sat.*

სამგორის ველზე ამიერკავკავკასიის მაჩვი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული, როგორც ეს ჩვენ მიერ წარსულშიც იყო აღნიშნული [8].

დინიკის [1] მიხედვით მაჩვი ბინადრობს მდ. იორის ხეობაში. მასვე ადასტურებს შემდეგში ოგნევიც [2].

საკვლევ რაიონში მაჩვი მოიპოება საცხენისისა და ამბარეს ხეობებში, უჯარმასთან, მუხროვანთან, ტურნერის ქედზე, ხაშმთან, ლაფნებთან, ნიადაგასთან, ხრევილის თავზე, საღამოს ველზე, მუღანლოსთან (იორის).

აღნიშნულ რაიონში მაჩვი ძირითადად ბინადრობს ტყეებსა და ბუჩქნარებში, ხოლო ალაგ-ალაგ გვხვდება ბალებში, ბოსტნებში.

მაჩვის, მართალია, ასეთი ფართო გავრცელება აქვს, მაგრამ მისი დამზადება სარეწაო თვალსაზრისით არ ხდება შესამჩნევი რაოდენობით, რაც შეიძლება აისხნას ორი გარემოებით: პირველი — იმის გამო, რომ მაჩვის ბეჭვა დაბალი ხარისხისაა, მას სარეწაო მოთხოვნილება არა აქვს და ამიტომაც დამამზადებელთა ყურადღებას არ იპყრობს. მეორე გარემოება ის არის, რომ, რაღაც მაჩვის ბეჭვი დამამზადებელს არ იზიდავს, მონაცირეც, რომელიც მაჩვის კლავს, მას ტყავგაუხდელად ავლებს, რის გამოც ამგვარად მოკლული და გადაგდებული ცხოველი საერთო აღრიცხვაში არ შედის. ამ მიზეზთა შედეგია, რომ საქართველოს „მონკავშირს“ საგარეჯოს რაიონში, რაც ჩვენ საკვლევ მიდამოს გაცილებით სჭარბობს, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ 129 მაჩვი მოუპოვებია.

9. წავი — *Lutra lutra* L.

სამგორის ფარგლებში წავი მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს „მონკავშირის“ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მთელ საგარეჯოს რაიონში მოპოებულია მხოლოდ ერთი ეგზემპლარი. წარსულში ჩვენ აღვინიშნავდით წავის გავრცელებას „ივრის ხეობაში, საგარეჯოს ალკვეტილთან, ხაშმის მისაღვევრებში“ [8]. საკვლევ რაიონში წავის არსებობა აღნიშნულია უჯარმასთან, ხაშმთან, მ. ნიადაგასთან, სოფ. მუღანლოს (სართიჭალის) მახლობლიად.

წავი ბინადრობს მდ. იორის სანაპირო ზოლში, სოროში, ბუჩქნარსა და ტყიან ადგილებში.

10. კავკასიის ოთორყელა კვერნა — *Martes foina nehringi* Sat.

სამგორის მიდამოებში კავკასიის ოთორყელა კვერნა საკმაოდ მრავალ ადგილას გვხვდება, თუმცა ყველგან ერთეულების სახით ბინადრობს. ამითაა გამოწვეული, რომ დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ ის მცირე რაოდენობით გროვდება. ასე, მაგალითად, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს „მონკავშირის“ მიერ აღნიშნულ რაიონში მოპოებულია ამ მტაცებლის მხოლოდ 35 ეგზემპლარი.

კავკასიის ოთორყელა კვერნა სამგორიდან ჩვენთვის ცნობილია საცხენისის მიღამოდან, ამბარეს ხეობიდან, მუხროვანიდან, უჯარმიდან, ხაშმის მისაღევრებიდან, ლაფუნებიდან, ახალსოფლიდან.

ვერტიკალურად აღნიშნულ რაიონში ზღვის დონიდან 1113 მეტრამდე აღწევს, მაგალითად, ტურქერის სერჩე.

წარსულში ჩვენ [7] აღვინიშნავდით ოთორყელა კვერნის გავრცელებას ზოგადად საგარეჯოსა, კაჭრეთისა და გარდაბანის რაიონებისათვის, რომლებიც მოიცავენ აგრეთვე სამგორის ველსაც.

11. კავკასიის დედოფალა — *Mustela nivalis dinniki* Sat.

სამგორის ფარგლებში კავკასიის დედოფალა მეტად იშვიათად გვხვდება. საყურადღებოა, რომ საქართველოს „მონკავშირის“ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მთელ საგარეჯოს რაიონში ამ მტაცებლის მხოლოდ ორი ეგზემპლარია მოპოებული. თუმცა „მონკავშირის“ მონაცემები არ შეიძლება აღნიშნულ რაიონში დედოფალას მცირე რაოდენობით გავრცელების დამადასტურებლად ჩაითვალოს, რადგან მისი დამზადება, ბეწვის დაბალი ხარისხის გამო, არ წარმოებს და, უმეტეს შემთხვევაში, მოკლულ ცხოველს გადააგდებენ ხოლმე.

ჩვენ მიერ საკვლევად აღებულ რაიონში დედოფალა გვხვდება საცხენისისა და ამბარეს ხეობებში, მუხროვანთან, უჯარმასთან, ხაშმთან, ლაფუნებთან, ნიადაგასთან, მ. ტინიანთან, სართიჭალასთან.

მუსოფერდი
სამსახურის მუნიციპალიტეტი

12. კაგუასის მგელი — *Canis lupus cubanensis* Ogn.

სამგორის მიღამოში მგელი საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა მესაქონლეობას მისდევს და აგრეთვე ცხვრის საზამთრო ფარების მახლობლად.

განხილულ რაიონში მგლის გავრცელება ჩვენ მიერ წარსულში აღნიშნული იყო „საგარეჯოს ნაკრძალთან, მდ. იორის სანაპიროზე... უღაბნოსა და ვაზიანის მახლობელ ველებზე“ [8]. გარდა ამისა სამგორის ველზე მგელი ცნობილია საცხენისისა და ამბარეს ხეობებიდან, უჯარმის მიდამოდან, ხაშმის მახლობლად, მუღანლოდან (იორის), მ. სიონიდან, ნატახტარიდან, დემურდალიდან, ნაომარიდან, სად. სამგორის მიღამოდან, მთა ამართულასთან და მ. ვაშლიანთან.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამგორის ველზე მოსპობილია ამ მტაცებლის 65 ეგზემბლარი.

13. ტურა — *Thos aureus* L.

როგორც ამას წარსულშიც აღვნიშნავდით, სამგორის ფარგლებში ტურა საქმაო რაოდენობით მოიპოვება „უღაბნოში, ვაზიანის ველზე“ [8]. გარდა ამისა ეს მტაცებელი ბინადრობს და ხაგრძნობ ზინასაც იძლევა მუღანლოსთან (იორის), ყრიალათან, ვაშლიანთან, ნაომართან, ხრეკილის თავთან, თბილელის ხევთან.

ტურის ბეჭვი, მდარე ხარისხის გამო, სარეწაო ღირებულებას მოკლებულია. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამგორის ველზე საქართველოს „მონკავშირის“ მიერ მოსპობილია 163 ტურა.

14. ენოტისმხვავესი ძაღლი — *Nyctereutes procyonoides ussuriensis* Mats.

1950 წლის ზაფხულში, ტურნერის სერის ჩრდილო კალთაზე შევხვდით ენოტისმხვავესი ძაღლის ერთადერთ ეკზემბლარს. როგორც ჩანს, ეს მტაცებელი აქ შემთხვევით მოხვდა თანანეთის რაიონიდან. ამგვარად, სამგორის სისტემისათვის ეს ცხოველი შემთხვევით ფორმას წარმოადგენს.

15. ამიერკაგუასის მთის მელა — *Vulpes vulpes alticola* Ogn.

სამგორის ფარგლებში ამიერკაგუასის მთის მელა საქმაოდ გავრცელებულია. აქ იგი აღნიშნულია სამგორთან, ახალსოფელთან, საცხენისთან, ტურნერის სერზე, ამბარეს ხეობაში, მუხროვანთან, ნიადაგასთან, მ. ტინიანთან, ნატახტართან, სიონთან, ნატახტართან, ქაზალიანთან, ნაომართან.

მელა სამგორის ფარგლებიდან საქართველოს „მონკავშირის“ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მოპოებულია 250-ზე მეტი ეგზემბლარი.



16. ამიერკავკასიის ველის მელა — *Vulpes vulpes alpherakyi* Sat.

სამგორის ველის ფარგლებში ამიერკავკასიის ველის მელა ბინაღრობს უდაბნოში, იბილელის ხევში, მ. მურგუსთან, მ. ამართულასთან, საიდანაც იგი ვრცელდება მეზობელ გარდაბნის რაიონში.

საქართველოს „მონკავშირის“ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მოპოებულია ამ სახეობის მელის 150-ზე მეტი ეგზემპლარი.

17. ზოლებიანი აფთარი — *Hyaena hyaena* L.

ამჟამად სამგორის ველზე აფთრის გავრცელებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, თუმცა წარსულში აქ ის შედარებით ხშირად გვხვდებოდა. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ „1935 წელს ამ მტაცებლის ბუნაგი ნახული იყო სამგორის მინდორზე (სადგ. ვაზიანის მახლობლად). მასში მოპოებულია სამი ჯერ კიდევ უსტუსური ლეკვი“ [8, 10]. საქმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სსენებულ რაიონში აფთარი აღარ გამოჩენილა და მხოლოდ 1947 წელს უდაბნოს მახლობლად ბუნაგში მოკლულ იქნა აფთრის 7 ლეკვი („მონკავშირის“ მონაცემებით). ამის შემდეგ არაერთარი ცნობა აღარაა ამ მტაცებლის სამგორის ველზე არსებობის შესახებ.

18. კავკასიის ტყის კატა — *Felis silvestris caucasicus* Sat.

სამგორის ტერიტორიაზე ტყის კატა საკმაოდ მრავლად მოიპოვება. ის ძირითადად გვხვდება საცენისის ხეობაში, ტურნერის სერზე, მუხროვანთან, უჯარმასთან, ხაშმთან, სადაც იგი ბინადრობს ტყიან აღგილებში, იშვიათად ბუჩქნარში.

საქართველოს „მონკავშირის“ მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ დასახელებულ აღგილებში ტყის კატის 50-ზე მეტი ეგზემპლარია მოპოებული.

19. ლელწამის კატა — *Chaus chaus* Güld.

სამგორის ფარგლებში ლელწამის კატა გვხვდება მდ. იორის სანაპირო ზოლში ხრეკილის თავიდან მუღანლომდე (იორის). ბინაღრობს ჩალიანსა და ბუჩქნარ აღგილებში.

საქართველოს „მონკავშირის“ მიერ განხილულ რაიონში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მოპოებულია ლელწამის კატის ორმოცამდე ეგზემპლარი.

20. კავკასიის ფოცხვერი — *Lynx lynx orientalis* Sat.

სამგორის ველზე კავკასიის ფოცხვერი მეტად მცირე რაოდენობით და განასაზღვრულ აღგილებში გვხვდება. საყურადღებოა, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამ მტაცებლის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია მოპოებული მუხროვანსა და უჯარმას შორის არსებულ ტყეში.



21. ევროპის შველი — *Capreolus capreolus* L. ბეგედული

სამგორის სისტემის ფარგლებში ევროპის შველი მცირე რაოდენობით გვხვდება. ჩვენთვის იგი ცნობილია ტურნერის სერის ჩრდილო კალთებიდან, უჯარმასა და ხაშმს შორის ტყეებში მდ. იორის მარცხენა ნაპირზე. ყველან გვხვდება ერთეულების სახით.

ჩვენ აღვნიშნავდით [9], რომ ევროპის შველი საკმაო რაოდენობით მოიპოვდა საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონში გომბორის ტყეებში.

22. კავკასიის ირემი — *Cervus elaphus maral* Ogilby.

სამგორის ფარგლებში კავკასიის ირემი იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება. წარსულში ჩვენ აღვნიშნავდით, რომ იორის „რამდენიმე ეგზემ-პლარი ბინადრობს ს. მუხროვანის (საგარეჯოს რაიონი) მახლობელ ტყეში“ [6]. აქ შეიძლება უფრო დაგაზუსტოთ, რომ იორემი ამ რაიონში ბინადრობს უგებელ ბეღელისა და ტურნერის სერის ტყეებში. ერთი ეგზემპლარი 1950 წელს ნახული იყო ხაშმისა და უჯარმას შორის. ეს უკანასკნელი შეიძლება აღინიშნოს როგორც აქ შემთხვევით მოხვედრილი ეგზემპლარი.

23. ქურციკი — *Gazella subgutturosa* Guld.

სამგორის ველის ფარგლებში ქურციკი ამჟამად აღარ ბინადრობს. ახლო წარსულში (მიმღინარე საუკუნის დასაწყისამდე) აქ ეს ცხოველი საკმაოდ მრავლად ყოფილა, კერძოდ ის გვხვდებოდა თეთრი უდაბნოს სერამდე, დემურ-დალის სამხრეთ კალთებამდე, სამგორამდე და ვაზიანის ველამდე. აქ, და აგრეთვე საქართველოს მრავალ ადგილის, ჩვენი ფაუნის ეს ძვირფასი წარმომადგენელი, უწესრიგო ნადირობის შედეგად ამოწყვეტილია.

დასკვნა

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, აღვნიშნავთ, რომ სამგორის ველის ფარგლებისათვის, ძუძუმწოვრების 23 სახეობაა აღნიშნული, რომელთაგან ერთი სახეობა (ქურციკი) ამოწყდარია, ხოლო ურთიც (ენოტისმსგავსი ძალლი) შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს. თანამედროვე ძუძუმწოვრები რიგების მიხედვით შემდეგნაირად ნაშილდება: 1. მწერიჭამიები — 2 სახეობა; 2. ხელ-ფრთიანები — 1; 3. მლრღნელები — 4; 4. მტაცებლები — 12 და 5. წყვილ-ჩლიქოსნები — 2 სახეობა.

სამგორის ველის ძუძუმწოვრთა ფაუნის ჩვენ მიერ წარმოდგენილი სისტემატიკური შემადგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, განსაკუთრებით ეს ეხება მლრღნელებსა და ხელფრთიანებს.

ძირითადი ლიტერატურა

საქონის მუზეუმი
გიგანტური მუზეუმი

1. Н. Я. Динник, Звери Кавказа, т. т. I, II. Тифлис, 1914.
2. С. И. Огнев, Звери Восточной Европы и Северной Азии, т. т. I, II, III, IV, V, VI, VII. Москва, 1928—1950.
3. К. А. Сатунин, Млекопитающие Кавказского Края, т. т. I, II. Тифлис, 1915, 1920.
4. М. В. Шидловский, Определитель грызунов Грузии и сопредельных стран. Тбилиси, 1941.
5. ბ. ბ. კეცხოველი, საქართველოს მცნარეულობის ძირითადი ტიპები. თბილისი, 1935.
6. არჩ. ჯანაშვილი, ირემი. თბილისი, 1950.
7. არჩ. ჯანაშვილი, გვერნა და მაჩვი. თბილისი, 1950.
8. არჩ. ჯანაშვილი, მასალები მტაცებლების (Fissipedia) საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის: თბილისის ზოოპარკის შრომები, ტ. II, 1948 (1949).
9. არჩ. ჯანაშვილი, მასალები ჩლიქოსნების (Artiodactyla) საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის: თბილისის ზოოპარკის შრომები, ტ. II, 1948 (1949).
10. არჩ. ჯანაშვილი, მგელი და აფთარი. თბილისი, 1950.
11. არჩ. ჯანაშვილი, საქართველოს ძუძუმწოვრები. თბილისი, 1948.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. III. 2).

А. Г. Джанашвили

Материалы по изучению распространения млекопитающих Самгори

Резюме

В представленной статье автором выявлен систематический состав млекопитающих Самгорской ирригационной системы с указанием их географического распространения для означенного района.

Для статьи автором использованы результаты экспедиционных исследований, коллекции Музея Грузии, материалы Тбилисского Зоопарка, данные Груз. „Охотсоюза“ за последние десять лет, в особенности для хинцых, и соответствующая литература.

В введении дается краткое описание ландшафта и географическое очертание исследуемого участка.



Для пределов Самгорской долины автором отмечено 23 вида млекопитающих, среди которых один вид (джейран) вымер еще в конце прошлого века, а один вид (енотовидная собака) является случайнym, который, должно быть из северных частей этого района, попал совершенно случайно. Чрезвычайно редкими являются полосатая гиена, рысь и выдра. Редко попадаются здесь также олень и косуля.

Представленный список млекопитающих Самгори не претендует на полноту, в особенности это касается рукокрылых и грызунов, количество встречаемых здесь видов может быть увеличено.

043636040
80840000000

ქ. სამსრნია

გორის რაიონის აგვიპტიკის ფარის შესხვალისათვის

፩፻፲፭

საქართველოს ამფიბიების ფაუნა ღლებდე ამომწურავად შესწავლილად. არ შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს ეს შეიძლება ითქვას გორის რაიონის მიმართ. წარსულში მკელევარები საქართველოს ამფიბიათა ფაუნას იკვლევ-დნენ ამიერკავკასიის ან კავკასიის ფაუნასთან ერთ მთლიანობაში. რიგი რაი-ონები ფაუნისტური თვალსაზრისით არაა შესწავლილი და ამდენად ჩვენ მიერ წარმოდგენილი შრომა მიზნად ისახავს ამ ნაკლის ნაწილობრივ შევსებას.

მანიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამფიბიების გავრცელების შესახებ ცნობებს ვპოულობთ ნიკოლსკის [4; 5, 6], როსტომბეგოვის [7, 8], ბარაჩის [1], შუგუროვის [12], ექვთიმიშვილის [3], ტერენტიევისა და ჩერნოვის [11], დერიუგინის [2] და სხვათა შრომებში. გარდა ამისა ჩვენ მიერ წარსულ წლებში შესწავლილია სურამის მიღამოებისა და კასპის რაიონის ამფიბიათა ფაუნა [9, 10]. მაგრამ აღნიშნული ავტორები არაფერს მოგვითხრობენ გორის რაიონის ამფიბიათა გავრცელების შესახებ.

ବ୍ୟାକ୍ ଏବଂ ବ୍ୟାକ୍ରମ

ჩვენი შრომის გასალად გამოყენებულია 1949 წლის ზაფხულის პერი-
ოდში გორის რაიონში შეგროვილი ომფიბიების კოლექციები, სულ 207 ეგზემ-
პლარის რაოდენობით, რომლებიც შეკუთვნებიან უკუდო ომფიბიების სამ-
გორს და შეაღენნონ ეჭვს სახეობას. კერძოდ: *Rana ridibunda*, *Rana came-
rani*, *Rana macrocnemis*, *Bufo viridis*, *Bufo bufo verrucosissima* და *Hyla
arborea*. გარდა ამისა გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
ზოოლოგიურ განყოფილებაში დაცული გორის რაიონში მოკლებული ომფიბიე-
ბის კოლექციები.

მასალის შეგროვებას ვაწარმოებდით ხელით, გრძელტარიანი ბაზით მოპოებულ ექსპონატებს დაუყოვნებლივ ვაფიქსირებდით 4% ფორმალინში. მასალის კამერალურ დამუშავებას ვაწარმოებდით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგის კათედრაზე.

მასალებს სისტემატიკურად ვარკვევდით სათანადო სარკვევებით. ამფი-ბიების სხეულის გაზომვას ვაძლენდით შტანგეცირკულით.



საქოთის განებლვა

1. ტბის ბაყაყი — *Rana ridibunda* Pallas (1771)

გორის რაიონში ტბის ბაყაყი ჩვენ მიერ მოპოებულ იქნა შემდეგ აღგილებში: გორის მიდამოები (მდ. ლიახვის სანაპიროებზე), ტუსრები, ზემო ბოშური, ქვემო ბოშური, ბობნევი, დიდი ატენი, პატარა ატენი, მეჯვრისხევი და კარალეთი.

აღნიშნული აღგილებიდან სულ შეკრებილ იქნა 103 ეგზემპლარი: მათ შორის მდედრი 47, მამრი — 56 ეგზ.

ტბის ბაყაყების სხეულის საერთო სიგრძე მერყეობს მამრებისა 58—78 მმ, ხოლო მდედრებისა 61—100 მმ-მდე.

როგორც ვხედავთ, მდედრების სხეულის საერთო სიგრძე მამრისას სჭარბობს. ამავე ღრის უნდა აღვნიშნოთ, რომ მდედრების რიცხვი გაცილებით მეტია მამრებისაზე, რაც შემდეგნაირად გამოიხატება 57 : 47.

საყურადღებოა, რომ ტბის ბაყაყის საკვები კომპონენტები ძირითადად წარმოდგენილია ხოჭოებით, კალიებით, ობობებით, პეპლებით, და სხვ., მათ შორის განსაკუთრებით ჭარბობს ხოჭოები.

2. ამერიკავეკასის ბაყაყი — *Rana camerani* Boulenger (1886)

გორის რაიონის ფარგლებში *Rana camerani* ჩვენ მიერ შეკრებილი იყო შემდეგ აღგილებში: გორის მიდამოები (მდ. ლიახვის სანაპიროებზე), მეჯვრისხევი, დიდი ატენი, ზემო ბოშურის მიდამოები და მთა გომარეთი (1400 მტ ზღ. დონ.).

ამ სახეობის კოლექცია ჩვენ მიერ შეკრებილია 15 ეგზემპლარის რაოდენობით: 11 მდედრი, ხოლო მამრი — 4 ეგზ. მათ შორის მდედრის სხეულის საერთო სიგრძე (L) 63—74 მმ-მდეა, ხოლო მამრებისა — 50—56 მმ-მდე.

ამ ბაყაყის საკვები კომპონენტები ძირითადად წარმოდგენილია ხოჭოებით, კალიებით, ობობებით და ოოხისტარებით.

3. მცირე აზიის ბაყაყი — *Rana macrocnemis* Blgr. (1885)

ჩვენ მიერ ამ სახეობის ბაყაყი გორის რაიონში შეკრებილია შემდეგ აღგილებში: ზემო ბოშური, ქვემო ბოშური, ბობნევი, მთა გომარეთი, ტუსრები და ყველაანთუბანი. სულ მოპოებულია 18 ეგზემპლარი. მათ შორის მდედრი 11, ხოლო მამრი — 7.

მდედრის სხეულის საერთო სიგრძე შეადგენს 68—88 მმ-ს, ხოლო მამრებისა — 62—72 მმ.

Rana macrocnemis-ს საკვები კომპონენტები წარმოდგენილია მცირე ზომის ხოჭოებით, კალიებით, ობობებით და მატლებით.

4. მწვანე გომბეშო — *Bufo viridis* Laurenti (1768)

მწვანე გომბეშო გორის რაიონის ფარგლებში ჩვენ მიერ შეკრებილ იქნა შემდეგი აღგილებიდან: კვერნაკის მთა, უფლისციხე, ყველაანთუბანი, გორის

მიღამოები (მდ. ლიახვის სანაპიროზე), კარალეთი, ღილი ატენი, პატარა მდ. მეჯვრისხევი, ზემო ბოშური, ქვემო ბოშური, ბობნევი და მთა გომარეთი (დასაწყისში). ამ ადგილებიდან სულ შეკრებილია 66 ეგზემპლარი, მათ შორის მდედრი — 31, ხოლო მამრი — 35.

საყურადღებოა, რომ მდედრების სხეულის საერთო სიგრძე 68—85 მმ-მდეა, ხოლო მამრებისა — 54—76 მმ.

5. კაგეახის გომბეშო — *Bufo bufo verrucosissima* Pal. (1815)

აღნიშნული გომბეშო გორის რაიონში ჩვენ მიერ მოპოებულია შემდეგ ადგილებში: ქვემო ბოშური, ყველაანთუბანი, ბობნევი და ლევიტანა. შეკრებილია სულ 4 ეგზემპლარი. მათ შორის მდედრებისა და მამრების რაოდენობა თანაბარია. მდედრების ტანის უდიდესი სიგრძე უდრის 96 მმ, ხოლო მამრების კი — 76 მმ.

6. ჩვეულებრივი ვახაკა — *Hyla arborea* Linne (1758)

გორის რაიონში ჩვენ მიერ მოპოებულია მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, დიდ ატენში (სიონის ტაძრის მახლობლად, ტყემალზე). გარდა ზემოთ აღნიშნული ადგილისა ჩვეულებრივი ვახაკას თავისებური ხმიანობის გამო ჩვენ მიერ ის რეგისტრირებულია გორის რაიონის შემდეგ ადგილებში: ქვემო ბოშური, საცხენეთის მთა, მლაშის ქედი და ზემო ბოშური.

დასკვნები

პირადი გამოკვლევის საფუძველზე მივღივართ შემდეგ დასკვნამდე:

1. ჩვენი მასალების მიხედვით გორის რაიონში ბინადრობს ამფიბიათა შემდეგი 6 სახეობა:

1. *Rana ridibunda* Pallas (1771)
2. *Rana macrocnemis* Boulenger (1885)
2. *Rana camerani* Boulenger (1886)
4. *Bufo viridis* Laurenti (1768)
5. *Bufo bufo verrucosissima* Pal. (1813)
6. *Hyla arborea* Linne (1758).

2. მათ შორის გორის რაიონში *Rana ridibunda* და *Bufo viridis* დიდი რაოდენობით გვხვდება:

3. გორის რაიონში გავრცელებულ ამფიბიების საკვება ძირითადად წარმოდგენილია: ხოჭოებით, კალიებით, ობობებით, პეპლებით, ჭიანჭველებითა და სხვადასხვა მატლებით. აღნიშნული ორგანიზმებიდან ამფიბიების საკვება ძირითად მასას ხოჭოები შეადგენს.

4. გორის რაიონში ამფიბიების გავრცელების მიკროარეალები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე (650—1400).



ლიტერატურა

ცხრილები
გვ. 2010 წლის 10 ივნისი

1. Г. П. Барач, К герпетологии Абхазии. Изд. Абхазского научного общества. В. 1, Сухуми, 1925.
2. К. М. Дерюгин, Материалы по герпетологии Юго-Западного Закавказья и окрестностей Трапезунда: Ежегодн. Зоологического Музея, VI, 1901.
3. З. С. Эквтимишвили, Амфибии Боржомо-Бакурианского района: Тр. Биол. станции Наркомпроса Грузинской ССР, т. 1, 1940.
4. А. М. Никольский, Пресмыкающиеся и земноводные Кавказа. Изд. Кавк. Муз., Тифлис, 1913.
5. Его же, Земноводные, из сер. „Фауна России“. Изд. Акад. Наук, 1912.
6. Его же, Фауна России и сопредельных стран. Amphibia. 1918.
7. В. Н. Ростомбеков, Материалы по герпетофауне окрестностей Тифлиса: Закавк. Краевед. Сборник, т. 1, 1930.
8. Его же, Материалы к фауне Абхазии. Акад. Наук СССР, Груз. Филиал, 1939.
9. ქ. სამსონია, სურამის მიდამოების ამფიბიები. თბილისი, 1947 (ზემნაშერი).
10. ქ. სამსონია, მასალები კასპიის რაიონის ამფიბიების შესწავლისათვის: სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 38 (1950).
11. П. В. Терентьев и С. А. Чернов, Определитель пресмыкающихся и земноводных СССР. Учпедгиз, 1940.
12. А. М. Шугуров, Заметки о герпетологии Кавказа: Изв. кавк. отд. Русск. геогр. общ., 1911, XXI, стр. 83.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(ზემოვნიდა რედაქციაში 1950. I. 19).

К. П. Самсония

Материалы по изучению фауны амфибий в Горийском районе

Резюме

Несмотря на то, что амфибии широко распространены и о них имеется большое количество литературных данных, все же их распространение в пределах Грузинской ССР недостаточно изучено. Целью автора является некоторое пополнение этого пробела.

Материал для настоящей работы собирался в Горийском районе летом 1949 года; собрано 207 экземпляров, использованы также коллекции Музея Грузии.

В результате камеральной обработки полученного материала, установлен систематический состав амфибий и получены некоторые данные биоэкологического характера.

В Горийском районе установлено распространение следующих амфибий:

1. Озерная лягушка (*Rana ridibunda* Pallas)
2. Малоазиатская лягушка (*Rana macrocnemis* Blg.)
3. Закавказская лягушка (*Rana camerani* Blg.)
4. Зеленая жаба (*Bufo viridis* Laurenti)
5. Кавказская жаба (*Bufo bufo verrucosissima* Pal.)
6. Обыкновенная квакша (*Hyla arborea* Linne).

Установлено, что в Горийском районе наиболее часто и в большом количестве встречаются *Rana ridibunda* Pallas и *Bufo viridis* Laurenti.

Место распространения амфибий Горийского района находится на разной высоте над уровнем моря (650—1400 мт).

Установлено, что качественный состав компонентов пищи у представителей рода *Rana* Linne и *Bufo* Laurenti главным образом однороден и слагается из жуков, бабочек их личинок, пауков и др.

ვ. ს. ხელაძე

კასპის რაიონის გველების (OPHIDIA) ფაუნის გასწავლისათვის

გასავალი

XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი [7] აღნიშნავს, რომ საქართველოში გვერცელებულია „გველი მცბენელი“. სამწუხაროდ, ავტორს არა აქვს მითითებული გველის სახეობა და მისი გავრცელება საქართველოში.

ჩვენ მიერ მასალები კასპის რაიონში შეგროვებულია სოფ. ჩოჩეთში, გარიყულაში, სამთავისში, ახალციხეში და ახალქალაქში, მდ. თეძამში და მის სანაპიროებზე, მდ. ლეხურას სანაპიროებზე.

ასაკი და გეოთიპი

კასპის რაიონში 1948 წლის ზაფხულის განმავლობაში ჩვენ ჩავატარეთ საველე-მარშრუტული ექსკურსიები ერთი თვის განმავლობაში. ადგილობრივ ვაწარმოებდით დაკვირვებებს, სათანადო დღიურში ჩაწერით, ამ მასალის ანალიზის შედეგია წარმოდგენილი ნაშრომში. მასალას ვკრებდით დღის სხვადასხვა დროს. შეგროვებულ მასალას ვაფიქსირებდით ფორმალინში (4%).

1948 წლის ზაფხულის განმავლობაში ჩვენ მიერ შეგროვებულია გველების 14 ეგზემპლარი. გარდა ამისა ჩვენ მიერ შესწავლილია საქართველოს მუზეუმის გველების კოლექციები, რომლებიც სხვადასხვა მკვლევარის მიერ მოპოვებულია კასპის რაიონში წარსულ წლებში.

მიღებელი გაღევანი

კასპის რაიონში ჩვენ მიერ რეგისტრირებულია შემდეგი 7 სახეობის გველი:

1. ჩვეულებრივი ანკარა — *Natrix natrix* L.

ამ ფორმისათვის დამახასიათებელია თავის უკანა ნაწილზე ნარინჯის-ფერი ორი დიდი ლაქა.

ჩვეულებრივი ანკარას ზრდასრული ეგზემპლარი ჩვენ მიერ მოპოვებული იქმნა 1948 წლის 27 ივნისს სოფ. გარიყულაში, 650 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეგზემპლარის ტანის სიგრძე უდრის 680 მმ-ი კუდიდის სიგრძე — 180 მმ (იხ. ტაბ. № 1). ეს ეგზემპლარი ნაპოვნი იყო ზამთარში, რომელიც აშენებულია რიყის ქვისაგან. მოპოვების დროს პირზე აღმოჩნდა ნახევრად გადაყლაბული გომბეშო, რომელიც გველმა პირიდან გაღმოაგდო მისი ხელში დაჭრილისთანავე.

გარდა ამისა კასპის რაიონში ჩვეულებრივი ანკარა ჩვენ მიერ ნაპოვნია სოფ. ჩოჩეთში 600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან მდინარე ოეძამის ნაპირას წისქვილის არხში, სოფ. გარიყულაში 650 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ნიკოლსკი [1] ჩვეულებრივი ანკარას ტიპიური ფორმის გავრცელების აღილებად ასახელებს: თბილისს, მცხეთას, აბასთუმნის უღელტეხილს, ტებერდას, მდ. კოდორის ხეობას, აჯამეთს, ქუთაისს, ფოთს, აბაშის, ბათუმის მიდამოებს, ქოროხს, ჩაქვს, პალიასტომის ტბას, მდ. რიონის ნაპირებს და ლაგოდებს.

როსტომ ბეკოვის [4] მონაცემებით ჩვეულებრივი ანკარა ცხოვრობს თბილისის მახლობელ წყალსაცავებში და მდ. მტკვრის სანაპიროზე.

2. წყლის ანკარა — *Natrix tessellata* L.

ჩვენ მიერ ნაპოვნი ეგზემპლარის ტანის სიგრძე უდრის 355 მმ, კუდის სიგრძე — 90 მმ.

წყლის ანკარა ჩვენ მიერ დაჭრილი იყო 1948 წლის 28 ივნისს სოფ. თეძამში მდინარის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სამთავისში, საშუალო ასაკისა.

კასპის რაიონში ჩვენ მიერ წყლის ანკარა ნაპოვნია სოფ. სამთავისში 660 მეტ. ს. ზ. დ., სოფ. ჭალაში იმავე სიმაღლეზე, მდ. ლეხურაში სამთავისის მახლობლად, მდინარე თეძამში 600 მეტ. ს. ზ. დ.

ნიკოლსკი [1] საქართველოში წყლის ანკარას გავრცელების აღილად ასახელებს: თბილისს, ჭალკას, გორს, ახალციხეს, ტყიბულს, აჯამეთს, ქუთაისს, გაგრას, გუდაუთს, პალიასტომის ტბის ნაპირებს, ქობულეთს, წებელდას და სვანეთს.

როსტომ ბეკოვის [4] მიხედვით წყლის ანკარა გვხვდება თბილისის მიდამოების წყალსაცავებში და მდ. მტკვრის სანაპირო ნარგავებში.

3. ყვითელმუცელა მცურავი — *Coluber jugularis* L.

ჩვენ მიერ მოპოვებული ყვითელმუცელა მცურავის ტანის სიგრძე — 830 მმ, კუდის სიგრძე — 295 მმ (იხ. ტაბ. № 1).

ყვითელმუცელა მცურავის ზრდასრული ფორმა ჩვენ მიერ დაჭრილია. სოფ. ახალციხეში 1948 წლის 26 ივნისს 700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აგრეთვე ერთი ეგზემპლარი ნაპოვნია სოფ. ჩოჩეთში.

ნიკოლსკი [1] აღნიშნავს ყვითელმუცელა მცურავის გავრცელებას საქართველოს შემდეგ აღგილებში: კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, მუხრანში, თბილისში, მეტილად მდ. მტკვრის სანაპირო ველებზე.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [5] მონაცემებით ყვითელმუტებული მცურავის ვერტიკალური გავრცელების საზღვარი არ აღმატება 1400—1500 მეტრს.

4. მწვანე მცურავი — *Coluber najadum* E.

ამ გველის ტანის სიგრძე უდრის 260 მმ, კუდის სიგრძე 85 მმ. ჩვენ მიერ აღნიშნული ფორმა ნახულია მინდვრად ქვიან ადგილებში, სადაც ბუჩქნარი მცენარეები ხარობენ.

მწვანე მცურავი ჩვენ დავიჭირეთ 1948 წლის 12 ივნისს სოფ. ჩოჩეთში სიმინდის ყანებში, 550 მეტ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის მონაცემებით, ბინადრობს გავთისხევის მიდამოებში, ხოვლებში, ზენადრისში, სამთავისის მიდამოებში და მდინარე ლეხურას ნაპირებზე.

ნიკოლსკი [1] საქართველოში მწვანე მცურავის გავრცელების ადგილებად ასახელებს: თბილისს, აბასთუმანს, ბორჯომს, ყარაიას, აჯამეთს, ქუთაისსა და ხულოს.

როსტომბეკოვი [4] თბილისის მიდამოებში მწვანე მცურავის გავრცელების ადგილებად ასახელებს: თრიალეთის ქედს, სოლოლაკის შემაღლებებს და მამადავითის მთას.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [5] მიხედვით მწვანე მცურავის გავრცელება მთიან ადგილებში აღწევს 1600—1700 მეტრამდე ზღვის დონიდან.

5. ჩვეულებრივი სპილენძა — *Coronella austriaca* Laur.

ჩვენ მიერ დაჭრილი ჩვეულებრივი სპილენძა არის ახალგაზრდა, რომლის ზურგის მხარე შეფერადებულია მუქნაცრისფრად. ზურგზე ემჩნევა უწესრიგოდ განლაგებული შავი ლაქები. თავის ზედა მხარე შეფერადებულია მუქად. მუცლის მხარე კი — ლია ნაცრისფრად. ტანის სიგრძე უდრის 180 მმ, კუდის სიგრძე — 30 მმ. ჩვეულებრივი სპილენძა ჩვენ მიერ დაჭრილი იყო 1948 წლის 10 ივნისს ახალქალაქში 600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ქვიან ადგილას სიმინდის ყანაში.

ნიკოლსკის [2] მონაცემებით ჩვეულებრივი სპილენძას ადგილსამყოფელს წარმოადგენს მშრალი და მზიანი ადგილები, მთის დაქანება, სადაც ბექრია ნაყარი ქვები და ხარობს ბუჩქნარი მცენარეები. გამონაკლისის სახით გვხვდება ჭაობიან ადგილებში.

იმავე ავტორის [1] მონაცემებით ჩვეულებრივი სპილენძა გავრცელებულია საქართველოს შემდეგ ადგილებში: სოხუმში, გაგრაში, ბათუმში, სეანეთში, ქუთაისში, ზეკარის ულელტეხილზე, ბორჯომში, ლიკანში, თბილისსა და ლაგოდებში.

როსტომბეკოვის [4] მონაცემების მიხედვით ჩვეულებრივი სპილენძა თბილისის მიდამოებში არც ისე ხშირადაა გავრცელებული.

ტერენტიევისა და ჩერნოვის [5] მიხედვით ჩვეულებრივი სპილენძა მთიან ადგილებში აღწევს 2100—2200 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

6. საყელოიანი კონტია — *Contia collaris* Menet.

მარკურალი
შესლილოზე

ჩვენ მიერ მოპოვებული საყელოიანი კონტიის ტანის სიგრძე უდრის 380 მმ, კუდის სიგრძე — 115 მმ (იხ. ტაბ. № 1).

უნდა აღინიშნოს, რომ საყელოიანი კონტიის გავრცელების არეალი მცირდება. ჩვენ მიერ ის ნაპოვნია 1948 წლის 11 აგვისტოს მდინარე თეძამის მარცხნიანი ნაპირის ჯაგებში, ნაშალ ქედებში და ორლებში, ჯავახიანთ ციხის ძირას, 600 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. ზევით.

ნიკოლ სკი [3] საყელოიანი კონტიის გავრცელების არეალად ასახელებს აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ლაგოდეხს.

ტერენ ტიევისა და ჩერნოვის [5] მონაცემების მიხედვით საყელოიანი კონტია გვხვდება აღმ. საქართველოში (სურამის ქედის დასავლეთით არ მოიპოვება).

მათივე მონაცემებით ამ ცხოველს უყვარს მშრალი იდგილი. უმეტესად ბინადრობენ ხრიოკიან და ქვიან ადგილებში ქვის ქვეშ, სადაც ხარობს მცენარეთა ბუჩქები. ზოგჯერ გვხვდება ბალახით დაფარულ ადგილებში.

7. კატის გველი — *Taraphis fallax iberus*

ნიკოლ სკი [1] საქართველოში კატის გველის გავრცელების ადგილებად ასახელებს: თბილისის (სოლოლაკი), მცხეთას.

შუგუროვის [6] მონაცემების მიხედვით კატის გველი გვხვდება ნატახტარში, ლრმალელეში, მდ. ვერის ნაპირებზე და წყნეთის მიდამოებში.

როსტომბეკოვის [4] გამოკვლევების მიხედვით თბილისის მიდამოებში კატის გველი ბინადრობს: სოლოლაკის შემალებებზე, თრიალეთის ქედზე, სოფ. ოქროყანაში, მამადავითის მთაზე, საბურთალოში და მცხეთაში.

ტერენ ტიევისა და ჩერნოვის [5] მიხედვით კატის გველი ზოგჯერ მთიან ადგილებში აღწევს 1400 მეტრის სიმაღლეზე.

ჩვენ მიერ შესწავლილია საქართველოს მუხეუმის ზოლოგიურ განყოფილებაში დაცული კატის გველის მრავალი კოლექციები, რომელიც შეგროვებულია გორში, კასპში, მცხეთაში და სხვ.

კასპის რაიონში ეს გველი ჩვენ მიერ მოპოვებულია 1948 წლის 10 აგვისტოს. მდ. თეძამის მარჯვენა სანაპიროზე სოფ. გარიყულას მახლობლად 550 მეტ. ზ. დ. ზევით. ამ ეგზემპლარის ტანის სიგრძე უდრის 640 მმ, კუდის სიგრძე — 105 მმ.

ჩვენ მიერ მოპოვებულია ორი ზრდასრული ეგზემპლარი, რომელთაც ზურგის მხარე შეფერადებული აქვთ ნაცრისფრად. კისრის დასაწყისიდან კუდის ბოლომდე ზურგის მხარეზე განლაგებულია შავი ლაქები, რომელიც კისრის არეში შესამჩნევი სიდიდისაა. გვერდებზე ერთ რიგად მორიგეობით განლაგებულია შავი ლაქები.

კატის გველები ჩვენ მიერ დაჭრილია მშრალ და ქვიან ადგილებში და ჯაგებში.

კასპის რაიონის გველები

ტაბულა № 1.

ნომერი	წარმომადგენელთა დასახელება	შეკრების დრო	ადგილ- სამყოფელი	სხვაგველის განაზღვები				ტანის იტენციის სიგრძე სიგრძე mm mm	სხვაგველის სიგრძე mm	ტანის იტენციის გველების მულტილინა	ტანის იტენციის კორის რაოდ.	ტანის იტენციის მეტი წელ.	ტანის იტენციის ტანის რაოდ.	ტანის იტენციის სამუშაოების საფუძვლის გადასახვა	ტანის იტენციის სამუშაოების საფუძვლის გადასახვა	
				ტანის კუდის სიგრძე mm	ტანის სიგრძე mm	ტანის სიგრძე mm										
1	ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix L.) . . .	19/VII—48	სოფ. ჩოჩეთი	410	70	480	19	171	1/1	37	7	1+2				
2	" " " " " . . .	25/VII—48	" "	490	45	535	19	171	1/1	26	7	1+2				
3	" " " " " . . .	27/VII—48	ს. გარიფულა	680	180	860	19	170	1/1	69	7	1+2				
4	წყლის ანკარა (Natrix tessellata Laur.) . . .	28/VII—48	მდ. თეძამი	355	90	445	19	177	1/1	67	7	1+2				
5	" " " " " . . .	11/VIII—48	მდ. თეძამის მარც. ნაპ.	525	145	670	19	177	1/1	71	7	1+2				
6	" " " " " . . .	4/VIII—48	სამთავისი მდ. ლეხერას მარჯვ. ნაპ.	660	80	740	19	177	1/1	67	7	1+2				
7	" " " " " . . .	4/VIII—48	სოფელი სამთავისი მდ. ლეხერას მარჯვ. ნაპ.	670	85	755	19	177	1/1	67	7	1+2				
8	ყვითელულელა მცურავი (Coluber jugularis L.)	20/VI—48	სოფ. ჩოჩეთი	395	119	514	19	194	1/1	94	8	2+3				
9	" " " " " . . .	26/VII—48	ს. ახალციხე	830	295	1125	19	220	1/1	112	8	2+3				
10	მყვანე მცურავი (Coiluber jugularis Eichw.)	12/VI—48	სოფ. ჩოჩეთი	260	85	345	19	217	1/1	120	8	2+3				
11	ჩვეულებრ. სპილენდა (Coronella austriaca Laur.)	10/VII—48	წითელქალაქი	180	30	210	19	198	1/1	49	7	2+3				
12	საყლარანი კონტა (Contia collaris) . . .	11/VIII—48	მდ. თეძამის მარცხნა ნაირი	380	115	495	15	172	1/1	60	7	1+2				
13	კატის გველი (Tartophis fallax iberus) . . .	10/VIII—48	ს. გარიფულა	600	105	705	19	213	1	60	8	2				
14	კატის გველი (Tartophis fallax iberus) . . .	10/VIII—48	ს. გარიფულა	640	105	745	19	219	1	62	8	2				

კასპის რაიონის ჰელიციური (Ophidia) ფაუნის უსწოველისობა



ღისები

ჩეენი გამოკვლევებისა და ლიტერატურულ მონაცემთა ანალიზში მატურულ დოკუმენტზე შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი დასკვნა.

კასპის რაიონში ძირითადად გავრცელებულია გველების შემდეგი სახეობანი:

- ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix* L.)
 - შელის ანკარა (*Natrix tessellata* Laur.)
 - ყვითელმუცელა მცურავი (*Coluber jugularis* L.)
 - მწვანე მცურავი (*Coluber najadum* Eichw.)
 - ჩვეულებრივი სპილენდა (*Coronella austriaca* Laur.)
 - საყლოიანი კონტია (*Contia collaris* Menet.)
 - კატის გველი (*Taraphis fallax iberus*).

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ

1. А. М. Никольский, Пресмыкающиеся и земноводные Кавказа. Тифлис, 1913 г.
 2. А. М. Никольский, Гады и рыбы. С.-Петербург, 1902 г.
 3. А. М. Никольский, Пресмыкающиеся, т. II. Фауна России и сопредельных стран. Петроград, 1916 г.
 4. В. Н. Ростомбеков, Материалы по герпетофауне окрестностей Тифлиса. Закавказский Краеведческий сборник. Серия А. Естествознание. Тифлис, 1930.
 5. П. В. Терентьев и С. А. Чернов, Определитель пресмыкающихся и земноводных СССР. Москва, 1940.
 6. А. М. Шугуров, Заметки о гадах Кавказа: Зап. Нов. Общ. Ест. XXXIX, 1912, 3.
 7. ვახტა, აღწერას მეცნისა საქართველოსა (საქართველოს გოგონაფია). თბილისი, 1941.

სტალინის საჩელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სერჩემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1949. XII. 12).

П. С. Хеладзе

К изучению фауны змей (Ophidia) Каспского района

Резюме

В результате изучения в течение лета 1948 года змей Каспского района, автор приходит к следующим выводам:

1. В Каспском районе установлено распространение следующих 7 видов змей: обыкновенный уж (*Natrix natrix* L.), водяной уж (*Natrix tessellata* Laur.) зеленоватый полоз (*Coluber najadum* Eichw.), желтобрюхий полоз (*Coluber jugularis* L.), обыкновенная медянка (*Coronella austriaca* Laur.), ошейниковая контия (*Contia collaris* Menet.) и кошачья змея (*Tarphophis fallax iberus*).

2. В Каспском районе чаще всего встречаются ужи, реже попадаются контии, полозы и кошачья змея.

3. გყელებაშვილი

მასალები მღინარე იორის იხთოვაუნის შესრულებულის

შესავალი

სამგორის გრანდიოზული მშენებლობა ითვალისწინებს სამგორის ადგილ-შდებარეობის ბუნების ძირფესვიან გარდაქმნას — შეიცვლება ნიადაგი, მცენა-რეული საფარი, ცხოველთა მოსახლეობა და სხვა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრივ საგრძნობი ცვლილებები მოხდება წყალსატევების ფაუნის შემადგენ-ლობაშიც.

ცნობილია, რომ მდ. იორი, ხელოვნურად შექმნილი გარკვეული ტოტით, დაუკავშირდება თბილისის მიდამოებში არსებულ მლაშე ტბებს, რომელთა ადგილზე წარმოიშობა ე.წ. „თბილისის ზღვა“, სადაც შეიქმნება სრულიად თავისებური საარსებო პირობები წყლის ცხოველთათვის, განსაკუთრებით სარეწო თევზებისა და მათი საკვები რესურსების მოშენებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ამასთან დაკავშირდებით შეიცვლება თვით მდ. იორის ფაუნის სისტემატიკური შემადგენლობაც.

ყოველივე ზემოხსენებული ჩვენ გვაძლევებდა 1950 წლის განმავლობაში საკვლევი თემის ობიექტად აგვერჩია მდ. იორის იხთოვაუნის შესწავლა სამ-გორის სისტემის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მდინარე იორის იხთოვაუნის სისტემა-ტიკური შემადგენლობა მკვლევართა მიერ არაა შესწავლილი, თუმცა საყუ-რადღებოა, რომ მასში გავრცელებული თევზების შესახებ ზოგიერთ ცნობას ვპოულობთ ამა თუ იმ მკვლევარის ნაშრომში, რომელიც ეხება არა იორს, არამედ მდ. მტკვრის აუზს მისი შენაკადებითურთ.

მღინარე იორის მოკლე იზიდარ-გაოზაური მიმოხილვა

მდინარე იორი იწყება ზღვის დონიდან 2827 მეტრის სიმაღლეზე, მასა-რის ქედის სამხრეთ ფერდობზე. დასაწყისში მდინარის კალაპოტის სიგანე მერყეობს 4—7 მეტრამდე, სილომე კი 0,3—0,6 მეტ. აღწევს. მდინარე იორის სიგრძე 389 კილომეტრია, წყალშემკრები აუზის ფართობი უდრის 4836,7 კვ. კილომეტრს. იორს საწყისში, ისე როგორც ყველა მთის მდინარეს, ჩქარი დინება ახასიათებს, ხოლო შუა და, განსაკუთრებით კი, ქვემო წელში დინების სისწრაფე შედარებით კლებულობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მდინარე

ამ ნაწილში შედარებით ვაკე ადგილზე მიეღინება, რის გამოც მეტებულად პოტი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რაც სართიჭალის მახლობლად და 4000 მეტრამდე აღწევს. მდ. იორი ერთვის მდ. ალაზანს მარჯვენა მხრიდან.

თევზების სისხეაგიური გამაღველობა

ჩვენ მიერ მდ. იორში მაპოვებული იხთოფაუნის მასალა წარმოდგენილია 6 გვარით, რომებიც ერთიანდება ორ ოჯახში — ქაშაბები (Cyprinidae) და ხლაკუნები (Cobitidae). ეს გვარებია: 1. ტობი (Chondrostoma), 2. ხრამული (Varicorhinus), 3. წვერა (Barbus), 4. მარღული (Alburnoides), 5. გველანა (Cobitis) და 6. გოჭალა (Nemachilus).

1. ტობის ტობი (Chondrostoma cyri, Kessl.)

$$D \text{ III } 78, \text{ A } \text{ III } 8 (9-10), \frac{8-9}{4-5} 62.$$

გავრცელებულია მდ. მტკვრის შუა და ზემო დინებაში.

ბარაჩი [1] აღნიშნავს, რომ ეს თევზი ამიერკავკასიის და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემურ ფორმას წარმოადგენს.

ბურჯანაძის [6] მიხედვით მტკვრის ტობი საქართველოს ფარგლებში მოიპოვება ალაზანში (ნატარეულთან), მტკვარში (ობილისთან, პორჯომთან) და არაგვში დიდი რაოდენობით. ამ მონაცემებს ადასტურებს ბარაჩიც [1].

ბრემი [2] აღწერს, რომ ტობს არ ჟღვარს დამდგარი წყალი და მდინარეებში გვხვდება მასობრივად იქ, სადაც ცოტად თუ ბევრად ჩქარი დინებაა. საერთოდ კი ტობისათვის უფრო ხელსაყრელ ადგილსამყოფელს წარმოადგენს მდინარის ქვიშიანი ფსკერი დიდრონი ქვებით, რის გამოც ბადეში იშვიათად გვხვდება. ამით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ მიერ მდ. იორში შეკროვებული თევზებიდან ტობი შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე წვერა.

მდ. იორში მტკვრის ტობი მოპოვებულია უჯარმის მიღამოში, სოფელ ხაშმთან, სართიჭალასთან, ივრის ხიდთან.

2. ხრამული (Varicorhinus capoëta, Güld.)

$$D \text{ III } 89, \text{ A } \text{ III } 5, \frac{7-11}{6-8} 61 (63)$$

ბარაჩის [1] მიხედვით ადგილობრივ ამ თევზს უწოდებენ ხრამულს, ფიჩხულს, ლურჯას.

ეს სახეობა ეკუთვნის მდ. მტკვრის აუზს. მდ. მტკვრის ქვედა დინებაში იგი იცვლება სხვა ფორმით.

ჩვენ მიერ საკვლევად აღებულ რაიონში ხრამული მოპოვებულია შემდეგი ადგილებიდან: უჯარმა, სოფ. ხაშმის მიღამო, მუღანლო (სართიჭალასთან), ივრის ხიდთან, ხრეკილის თავთან, დიდ არხთან.

ამ სახეობას მდინარის საერთო ფერზე რიდან მნიშვნელოვანი კატეგორიული ქარავა. მდ. იორში ხრამულის მოპოვება მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის მქონე რის გამოც მისი სარეწაო ღირებულება უმნიშვნელოა.

გაზომვის შედეგები მოცულია № 1 ცხრილში.

ცხრილი № 1

ნიშანთვის სებები	1	2	3	4	5
D-ს სივების რაოდენობა . . .	IV. 8				
A-ს სივების რაოდენობა . . .	III. 5				
II ქერცლების რაოდენობა . . .	54 $\frac{7-11}{6-8}$ 62				
სხეულის მთელი სიგრძე . . .	121	90	196	121	110
სხეულის სიგრძე კუდის ფარფ. ფუძემდე . . .	101	76	165	98	92

სხეულის სიგრძის (კუდის ფარფლის ფუძემდე) პროცენტებში

თავის სიგრძე	23,70	21,05	22,51	22,73	21,20
კუდის ღეროს სიგრძე . . .	41,50	39,50	39,61	36,89	34,90
ანტედორზალური მანძილი .	49,60	50,00	51,00	44,51	45,89
პოსტოდორზალური მანძილი .	39,62	38,57	37,73	35,89	39,21
სხეულის უდიდესი სიმაღლე .	27,90	26,45	25,52	25,71	25,89
სხეულის უმცირესი სიმაღლე .	9,90	9,20	11,91	9,71	9,32
P-ს სიგრძე	19,87	18,61	20,42	21,70	20,00
V-ს სიგრძე	17,83	15,80	17,34	16,19	16,10
PV-ს შორის მანძილი . . .	32,62	31,50	31,61	29,98	30,40

თავის სიგრძის პროცენტებში

თვალის დიამეტრი	25,69	22,10	24,31	26,21	21,14
შუბლის სიგანე	45,89	44,30	48,14	44,61	46,78
დინგის სიგრძე	33,05	38,03	40,43	33,21	34,14
თვალის უკანა მანძილი . . .	54,10	50,25	52,18	52,86	51,10

3. მტკვრის წვერა (Barbus cyri, Filip.)

D IV 79, A III 5, II (54) 58—70 (74)

ბარაჩის [1] მიხედვით მტკვრის წვერა გვხვდება მტკვარში (თბილის-თან, ბორჯომთან), არაგვში, ხრამული (ბეჭთაშენში და ბაშევეში), ბორჩალოში (შენაქად აბასთუმანხევით), ტბა ფარავანსა და ტუმანგელში.

იგივე ავტორი [1] ამ თევზს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემური ფორმი გვიცის მათა ჯგუფს მიაკუთვნებს.

საქართველოს ფარგლებში ბურჯანაძის [6] ცნობით ეს თევზი მოიპოვება მდ. მტკვრის შუაწელში, ტბებში — ფარავნი, საღმოს ტბა.

ამ სახეობის მიღრეკილებამ ფართო გარიებისადმი კამენსკის [5] მისცა საფუძველი დაედგინა მთელი რიგი დამოუკიდებელი „სახეობა“ და „სახესხვაობა“, მაგრამ ბერგის შემდგომმა გამოკვლევებმა [3] (ცხადჰყვეს, რომ ყველა ეს „სახეობა“ და „სახესხვაობა“ მიღებულ უნდა იქნეს ოოგორუ *Barbus cyri*-ს სინონიმები, ვინაიდან ამ უკანასკნელიდან ახალი ფორმების გამოყვანისათვის საჭარისი მონაცემები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება.

მტკვრის წვერას ინდივიდთა როლების მდ. იორის ქვემო დინებაში საგრძნობლად სჭარბობს ტობსა და ხრამულს, მაგრამ უფრო ნაკლებია ვიღრე გოჭალა.

მდ. იორში მტკვრის წვერა ჩვენ მიერ მოპოვებულია უჯარმასთან, სართიჭალასთან და საღ. იორის მახლობლად.

4. მარდულა (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*, Fil.)

D III (7) 8, A III (11) 12—14, ხახის კბილები 2—5, 4—2.

ბარაჩი [1] აღნიშნავს, რომ მარდულა ფართოდ გავრცელებული ფორმა და ინდივიდების მრავალრიცხვანებით ხასიათდება. მაგრამ ჩვენ მიერ მდ. იორში ნაპოვნია. მხოლოდ 10 ეგზემპლარი, მაშინ როდესაც სხვა სახეობათა ინდივიუტები გარდა გველანასი შედარებით უფრო მეტი როლებით მოიპოვება. ეს ფორმა საქართველოში გავრცელებულია მდ. მტკვარსა და მის შენაკადებში. იგი მოიპოვება ბაზალეთის ტბაშიც.

ჩვენ მიერ მდ. იორში მარდულა მოპოვებულია ივრის ხიდის მიდამოში.

5. გველანა (*Cobitis aurata*, Fil.)

D II III 6—7, A II III 5—6, C 14, ll 170—200.

ბურჯანაძის [6] მიხედვით საქართველოში გველანა გვხვდება მტკვარში (ზემო, შუა წელი), მდ. არაგვში. ამასვე აღასტურებს ბარაჩიც [1].

ბრემი [2] აღნიშნავს, რომ გველანა ცხოვრობს ოოგორუ დამდგარ, ისე მიმდინარე წყლებში. იგი უფრო ამჯობინებს ღრმა წყლების შლამიანსა და ქვიშიან ფსკერს. უმრავლეს შემთხვევაში შლამში ჩაფლული ან და ქვეშ გვხვდება.

ჩვენ მიერ მდ. იორში სოფ. სართიჭალის მახლობლად ნაპოვნია გველანას მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, რაც მიგვითითებს ამ სახეობის ინდივიდთა ძლიერ მცირე როლებისგან.



6. გოჭალა (Nemachilus brandti, Kessl.)

D II 8, A II 5.

ბურჯანაძის [6] მიხედვით საქართველოში გოჭალა მოიპოვება მტკვარში (თბილისთან), მდ. ვერაში (თბილისთან), არაგვში.

ასეთსავე ცნობებს იძლევა ბარაჩიც [1], რომელიც ამ თევზს მტკვრის აუზის თევზების ენდემურ ფორმათა ჯგუფს აკუთვნებს.

აღნიშნული სახეობა მდ. იორში ხასიათდება ინდივიდთა დიდი რაოდენობით. ეს თევზი მასობრივად გვხვდება ტბორებში მდინარის სანაპიროზე, სადაც ჯგუფებად ცხოვრობს. მასალა ჩვენ მიერ აღებულია იორის სანაპიროზე ტბორებში და თვით მდინარეზიც. ამ თევზისათვის, როგორც ამას ბრემი [2] აღნიშნავს, დამახასიათებელია ზამთრისათვის სამზადისის პერიოდში ჯგუფებად შეგროვება მდინარეებისა და ტბორებს ღრმა აღვილებში, რის შემდეგაც ის ჩაეფლობა შლამში და რჩება გაზაფხულამდე.

მდ. იორში ჩვენ მიერ გოჭალა მოპოვებულია უჯარმის მიდამოდან, ხაშმის სანაპიროდან, სართიჭალიდან, იყრის საღვურის მიდამოდან, დიდ არხთან.

ლიტერატურა

1. Г. П. Барач, Фауна Грузии, т. I, Рыбы пресных вод. Тбилиси, 1941.
2. А. Э. Брем, Жизнь животных, т. III. Москва 1932.
3. Л. С. Берг, Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран. ч. I, 1932.
4. Л. С. Берг, Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран. ч. II, 1933.
5. С. Н. Каменский, Карповые (Cyprinidae) Кавказа и Закавказья. Вып. I, 1899, вып. 2, 1901.
6. ბურჯანაძე, საქართველოს მტკნარი ჭყლების თევზთა სარკვევი. თბილისი, 1940.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელშემწირითა ზოოლიგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. I. 15).

В. Г. Ткешелашвили

Материалы по изучению ихтиофауны р. Иори

Резюме

В результате изучения в течение лета 1950 года ихтиофауны в нижнем течении р. Иори, автор приходит к следующим выводам:

1. В нижнем течении реки Иори установлено распространение 6 видов рыб:

1. Куринский подуст (*Chondrostoma cyri*, Kessl.).
2. Храмуля (*Varicorhinus capoëta*, Güld.).
3. Куринский усач (*Barbus cyri*, Fil.).
4. Восточная быстриянка (*Alburnoides bipunctatus eichwaldi*, Fil.).
5. Куринский голец (*Nemachilus brandti*, Kessl.).
6. Переднеазиатская щиповка (*Cobitis aurata*, Fil.).

В нижнем течении реки Иори чаще всего встречается куринский голец, а переднеазиатская встречается в ничтожном количестве.

ქ. სანაძე

მასალები გვარ RUBUS L.-ის შესრულებულის საქართველოში

გვარ Rubus L.-ის ქვეგვარ Eubatus Focke-ს დამუშავების შედეგად ჩვენ მიერ სექცია Radulae Focke-ს დიაგნოზში შეტანილია მცირეოდენი დამატებანი, გამოყოფილია ამ სექციიდან ორი სერია და აღწერილია ექვსი ახალი სახეობა.

Focke-ს მიერ მოცემული Radulae-ს სექციის დიაგნოზი ვერ იტევს ყველა იმ ნიშანთვისებებს, რაც ამ სექციაში შემავალ სახეობებისათვის არის დამახასიათებელი, ამისათვის ჩვენ საჭიროდ ვცანით ზოგიერთი დამატებანი შეგვეტანა ყვავილების, ნასკვის და კურკიანას დახასიათებაში, იმ ნიშნებთან ერთად, რომლებიც ცნობილი იყო მაყვლების დიაგნოსტიკაში.

სექცია Radulae-ში შემავალ ყველა სახეობებს ვაჯგუფებთ ორ სერიად:

1. სერია Dolichocarpicae Sanadze-ში შემავალი სახეობანი დახასიათდება შიშველი ნასკვით და კურკიანას წვერით. ამ სერიაში ვაერთიანებთ ჩვენ მიერ ახლად აღწერილ ხუთ სახეობას: R. Ketzehoveli m., R. Kudagorensis m., R. Longipetiolatus m., R. Charadzae m., R. Juzepczukii m., იუზეპჩუკის სახეობას R. Dolichocarpus Juz. და სტევენის სახეობას R. Lanuginosus stev.

2. სერიაში Kacheticae Sanadze შედის R. Kacheticus m. შებუსვილი ნასკვით და ბეწვებიანი კურკიანათი.

Sect. Radulae Focke in Abh. Natur. ver. Bremen 1 (1868) 276, descr. emend.

ერთწლოვანი ყლორტები რკალისებრ მოღუნულია; შემოღომისას ყლოლტი წვერთან ფესვიანდება. თითქმის ერთგვაროვანი ეკლები უმეტესად ღეროს წიბოებზეა განლაგებული; წახნაგები მრავალი ქიცვებით, ხორქლებით და მოკლედერთიანი არათანაბარი სიგრძის ჯირკვლებითა მოფენილი. სუსტად შებუსვილი მცენარეებია. ყვავილედი საგველაა ან საგველათა კრებული. ყვავილი საშუალო ზომისაა. ნასკვი და კურკიანას წვერი შემველია ან შებუსვილი.

Turiones arcuati, autumno apice radicantes, aculeis satconformibus saepius ad angulos dispositis atque cum aculeolis multis, tuberculis glandulisque breviusculis stipitatis ad angulos sitis saepius laxe pilosi. Inflorescentia simpliciter vel composite paniculata. Flores mediocres v. parvi. Ovarium et drupulae apex pubescentes v. glabrae.

Ser. 1. *Dolichocarpiae Sanadze* — ნასკვი და კურკიანას წვერი შემდგრადა
Ovarium drupularumque apices glabrae ბიბლიოთის

1. R. Ketzkhovelii Sanadze sp. n.

(in საქართველოს ფლორა [1949] 388, სურ. № 232, 233)

ბუჩქია. ერთწლოვანი ყლორტები რკალისებრ მოხრილია, 5-წახნაგოვანია, 5 მმ ღამეტრის, წახნაგები ღარებიანია, სუსტადა შებუსვილი მარტივი ბეწვებით და მარტოული ჯირკვლებით; წახნაგებისა და წიბოების გასწვრივ სუსტი, ოდნავ ფუქ-განიერი ეკლებით არის მოფენილი. ფოთლები 3-ფოთოლაკიანია, მისი ზედა მხარე გაფანტული ბეწვებით არის მოფენილი, ქვედა მხარე მოთეთრონაცრაცერია მიტკეცილ-ქეჩისებრი, კიდეებზე ორმაგ-ხერხებილა და მოკლე წვეტით ბოლოვდება; კენწრული ფოთოლაკი ფართო-ელიფ-სურია 13,7—14,5 სმ სიგრძისა და 8,8—9,5 სმ სიგანის, კიდეებზე ორმაგ ხერხებილა, ფუქ თითქმის მომრგვალოა და მოკლე წვეტით ბოლოვდება, მისი ყუნწი 4,5—6,2 სმ სიგრძისაა; გვერდითი ფოთოლაკები ასიმეტრულია. ფოთლის საერთო ყუნწი 10,5—13,5 სმ სიგრძისაა, ყუნწის ზედა მხარეზე ღარი ნათლადაა გამოსახული, თხლად შებუსვილი ჯირკვლებით და სუსტი ძირს გადახრილი ეკლებითაა მოფენილი. თანაფოთოლი ხაზურია, ბეწვებით და ჯირკვლებით მოფენილი. საყვავილე ყლორტი დიდი ზომისაა წახნაგოვანი 3- ან არასრულ 5-ფოთოლაკიანი, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით მოფენილი, მარტოულ ჯირკვლოვანია, სუსტი ფუქ-განიერი ეკლები წიბოების გასწვრივა განწყობილი. ყვავილედი საგველათა კრებულს ქმნის და შეფოთლილია, თითოეული საგველა დიდი ზომისაა; ყვავილედის ღრძი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით და ხშირი ჯირკვლებითა მოფენილი. ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, გრძლად წაწვეტებული, მონაცრისფრო ქეჩისებრ ბეწვებიანია და ჯირკვლებითა მოფენილი, ნაყოფმისას ქვევით არის დახრილი. ნაყოფი გრძელია, ცილინდრული ფორმის ყვ. VI, VII; ნაყ. VII, VIII.

იზრდება ფოთლოვან ტყეებში.

ტიპი: კახეთი, ლაგოდეხის მიდამოები, ქოჩლას ხეობა 27/VII—1947 წ.
 ქ. სანაძე.

ზენიშვნა: ახალი სახეობა R. Ketzkhovelii K. Sanadze განსხვავდება R. Dolichocarpus Juz.-ისაგან შემდეგი ნიშნებით: R. Ketzkhovelii-ის ყვავილედი წარმოადგენს საგველათა კრებულს, ერთწლოვანი ყლორტების ფოთლები ყოველთვის 3-ფოთოლაკიანია, კენწრული ფოთოლაკი ფართო-ელიფსურია, ერთწლოვანი ყლორტები სუსტია. R. Dolichocarpus-ის ყვავილედი საშუალო ზომის საგველაა, ერთწლოვანი ყლორტების ფოთლები 5-ფოთოლაკიანია, კენწრული ფოთოლაკი უკუ-კვერცხისებრია, ერთწლოვანი ყლორტები საკმაოდ ღონიერია.

ამ სახეობას სახელს ვუწოდებთ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ნ. კოცხველის პატივსაცემად.

Turiones arcuati, 5-angulati, 5-mm in diametro angulis sulcatis puberuli pilis simplicibus glandulisque solitaris obsiti; aculei tenues basi latati seens angulos et costas dispositi. Folia ternata supra tenuiter sparse pilosa subtus albido cinerea obtomento denso tenuissimo adpresso breviter acutata, foliolo terminali late-elliptico basi fere rotundato, apice breviter acutata 13,7—14,5 cm longo, 8,8—9,5 cm lato, petiolulo 4,5—6,2 cm longo; foliolis lateralibus asymmetricis petiolulata, petiolo supra sulcato, 10,5—13,5 cm longo, laxe piloso glanduloso aculeolisque minutis reflexis obsito; stipulae lineares pilosae glandulosaeque. Romi floriferi longi angulati, cum foliolis ternis vel non exakte quinatis, pilis simplicibus et stellatis glandulisque solitariis obsiti; aculeis minutis basi dilatatis ad costas dispositis. Inflorescentia — composite paniculata foliosa; panicula partiale magna; inflorescentiae axi pilis simplicibus stellatisque obsito dense glanduloso, sepala ovata longe acutata cinereo-grisea, tomentosa glandulosa, fructificatione reflexa. Fructus oblongi, subcylindrici. F. VI—VII, fr. VII—VIII.

In silvis caducis crescit.

Typus: Kachethia in viciniis p. Lagodechi, in faucibus Koczla 27/VII—1947. K. Sanadze.

Nota: R. Ketzkhovelii Sanadze sp. n. a R. dolichocarpus Juz. characteribus sequentibus differt. R. Ketzkhovelii inflorescentiam habet composite paniculatum, folia turionum semper 3-foliolati, foliolo terminali late elliptico, turiones tenues. R. dolichocarpus Juz. habet inflorescentiam paniculatam mediocrem, folia turionum 5-foliolati, foliolo terminali obovato, turiones sat robusti.

2. R. Kudagorensis Sanadze Sp. n.

(in I. c., 394, ined.)

ბუჩქია. ერთწლოვანი ყლორტები სუსტია, რკალისებრ მოხრილი, 5-წახნაგოვანი, 5 მმ დიამეტრის, კარგად გამოსახული წიბოებით, წახნაგებზე დარები ჩასდეგს, მარტივი და გარსკვლავისებრი ბეწვებით და მარტოული ჯირკვლებით მოფენილი; ეკლები თითქმის სწორია, ძირში განიერი და წიბოების გასწვრივ არის განლაგებული. ფოთოლი 5-ფოთოლაკანანა, ფოთოლაკების ზედა მხარე განხნეულ მიტეკცილ ბეწვებითაა, ქვედა მხარე მოთეთრო-ნაცრის-ფერია მიტეკცილი მოკლე ბეწვებისაგან თხელ-ქეჩისებრია, არათანაბარი ზომის ორმაგ ხერხისებრ წაწვეტებული კბილებით; კენჭრული ფოთოლაკი 12,5—13 სმ სიგრძისაა და 8,1—8,5 სმ სიგანის, უკუკვერცხისებრია, ძირში ოდნავ ამოკვეთილი და ერთბაშად წაწვეტებული, მისი ყუნწი 4,1—4,3 სმ სიგრძისაა; გვერდითი ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, მათი ყუნწები ფუძეებით ურთია ერთაა შეზრდილი; ფოთლის ყუნწი ცილინდრულია, მისი ზედა მხარე ღარჩვ-ლებულია, თითქმის სწორი, ოდნავ ქვევით დახრილი ეკლებით აქა-იქა მოფენილი, უჯირკვლოა, 8,2—8,5 სმ სიგრძის. თანაფოთოლი ხაზურია, შებუსვილი

და უჯირკვლო. საყვავილე ყლორტი წახნაგოვანია, მარტივი და ვარტფეხუამა სებრი შებუსებით ხასიათდება, თითქმის სწორი და სუსტი ეკლები წინაქრის გასწროვ არის გაფანტულად განლაგებული; მისი ფოთოლი 5-ფოთოლაკიანია და ისეთივე ფორმის ფოთოლაკები აქვს, როგორც ერთწლოვან ყლორტებს. ყვავილედი გრძელი საგველაა, მისი ღერძი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეჭვებით და არათანაბარი ზომის ყავისფერი ჯირკვლებითაა მოფენილი. ჯა-მის ფოთლები კვერცხისებრია, გრძლად წაწვეტებული მონაცრისფერო ქეჩი-სებრი ხშირი ბეჭვებისაგან და ცოტად თუ ბევრად აქა-იქ ჯირკვლებით მოფე-ნილი. ნაყოფი გრძელია თითქმის ცილინდრული ფორმისაა. ყვ. VI—VII; ნაყ. VII—VIII.

იზრდება ფოთლოვან, ზოგჯერ გაყაფულ ტყეებში.

ტიპი: კახეთი, ლაგოდეხის მიდამოები, კულიგორის ქედი. 27/VII—1947 წ.
ქ. სანაძე.

შენიშვნა: ჩვენი ახლად ოღწერილი სახეობა R. Kudagorensis Sanadze განსხვავდება მასთან ახლო მდგომ სახეობა R. dolichocarpus Juz.-ისაგან ყოველთვის 5-ფოთოლაკიანი ერთწლოვანი და საყვავილე ყლორტებით, წვრილი თხლად გაფანტული ერთგვაროვანი ეკლებით და უფრო დიდი ზომის ყვავი-ლებით. R. dolichocarpus-ის საყვავილე ტოტის ფოთლები 3—5-ფოთოლა-კიანია და უფრო ხშირი დიდი ზომის არაერთგვაროვანი ეკლებით დახა-სიათდება.

Turiones arcuati, 5-angulati, 5 mm in diametro distincte costati, anguli sulcatis, pilis simplicibus stellatisque ac glandulis solitariis obsiti, aculei subrecti, basi dilatati, ad costas dispositi. Folia quinata, supra sparse adpresso pilosa subtus obtomento denso tenuissimo, adpresso cinereo-grisea; margine acute inaequaliter duplicato-serrata; foliolo terminali obovato, 12,5—13 cm longo, 8,1—8,5 cm lato, basi leviter emarginato, in acumineum brevem subito contracto; petiolulo 4,1—4,3 cm longo foliola lateralia petiolata, petiola foliorum inferiorum mediis adnata; petiolus cylindricus, supra sulcatus; aculei sparse dispositi subrecti, subreflexi, eglandulosi, 8,2—8,5 cm longi. Stipulae lineares pilosae eglandulosae. Rami floriferi angulati, pilis simplicibus stellatisque obsiti; aculei subrecti ad costas laxe dispositi; folia quinata foliis turionum similia. Inflorescentia longe et anguste paniculata; axi pilis simplicibus stellatisque inaequalibus obsito. Sepala ovata elongato acutata cinerea grisea, adpresso tomentoso parce glanduloso. Fructus oblongi, subcylindrici. Fl. VI—VII, fr. VII—VIII.

In silvis foliaceis et detruncatis crescit.

Typus: Kachethia. In vicinis p. Lagodechi in monte Kudagora 28/VII—1947. K. Sanadze.



Rubus Kudagorensis Sanadze. 1. ერთწლოვანი ყლორტი, 2. საყვავილე ყლორტი.

Nota: R. Kudagorensis Sanadze Sp. n. a proximo R. dolichocarpus Juz., foliis turionum atque ramorum floriferum semper 5-foliolatis, spinis tenuibus conformibus sparsis inflorescentiaque maiore. R. dolichocarpus folia ramorum floriferum habet 3—5 foliolata, maiora, spinis validioribus inaequalibus crebris.

3. R. Charadzae Sanadze Sp. n.

(1. c. 393, ined.)

ბუჩქია. ერთწლოვანი ყლორტები საქმაოდ მძლავრია, 5-კუთხოვანი 8 მმ დიამეტრის, წახნაგოვანია, კარგად გამოსახული წიბოებით; წახნაგები ჩაზნე-ქილია, სუსტადაა შებუსვილი და უჯირკვლა, წვრილი, ძირში ოდნავ განიერი ეკლები წიბოების გასწვრივ გაფანტულადაა განლაგებული. ფოთოლი 5-ფოთო-ლაკიანია, მისი ზედა მხარე თხელი გაბნეული ბეჭვითაა მოფენილი; ქვედა მხარე მონაცრისუცერო ქეჩისებრია მიტკეცილ ბეჭვებისაგან; კენტრული ფოთო-ლაკი განიერ-ელიფსურია, 15,5—16 სმ სიგრძის და 7,5—8,3 სმ სიგანის, ძირში ოდნავ შევიწროებული, ოდნავ ამოკვეთილი, კიდეზე არათანაბარი ზომის ორმაგ ხერხებილა, წაწვეტებული კბილებით და გრძელი წვეტით ბოლოვდება, მისი ყუნწი 5,2—5,8 სმ სიგრძისაა; გვერდითი ფოთოლაკები ასიმეტრიულია, ფართო უკულანცეტა წვერში ერთბაშად შევიწროებული და გრძელი წვეტით დაბოლოვებული, მათი ყუნწები ფუძეებითაა ურთიერთ შეზღდილი. ფოთლის ყუნწი ცილინდრულია 12,1—12,5 სმ სიგრძის, ზედა მხარეზე ღარი აქვს ჩაგლებული, სუსტადაა შებუსვილი და წვრილი, ქვევით გადახრილი ეკლებით აქა-იქა მოფენილი. თანაფოთლები ხაზური ბეჭვებით და მარტოული ჯირკვლებით მოფენილი. საყავილე ყლორტი წიბოებიანია, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეჭვებით და მარტოული ჯირკვლებით მოფე-ნილი, წიბოების გასწვრივ აქა-იქ განწყობილი წვრილი ეკლები, ოდნავ ქვე-ვითაა გადახრილი; საყავილე ტოტის ფოთოლი 3-ფოთოლაკიანია, კენტრული ფოთოლაკი ფართო-ელიფსურია ან ელიფსურ-კვერცხისებრი, ძირში მომრგვა-ლებული და გრძელი წვეტით დაბოლოვებული; გვერდითი ფოთოლაკები ასი-მეტრიულია. ყვავილედი დიდი ზომის საგველაა, კენტრული და ილიური ყვავილედებისაგან შემდგარი; ყვავილედის ღერძი ძლიერ გაფარჩხული, ვარს-კვლავისებრი ბეჭვებით და მრავალი არათანაბარი ზომის ყავისფერი ჯირკ-ვლებით მოფენილი. ჯამის ფოთლები კვერცხისებრია წვერშე წაწვეტებული, ჯირკვლებით და მონაცრისფრო ქეჩისებრი ბეჭვებით მოფენილი, ნაყოფობი-სას ქვევითაა გადახრილი. ნაყოფი გრძელია, თითქმის ცილინდრული ფორმის. ყვ. VI—VII, ნაყ. VII—VIII.

იზრდება ფოთლოვან ტყეებში.

ტიპი: კახეთი, ლაგოდეხის მიდამოები, ქოჩლას ხეობა 27/VII—1947 ქ. სანაძე.

შენიშვნა: ახალი სახეობა R. Charadzae Sanadze ახლო დგას R. Kudagorensis Sanadze-სთან, ხოლო მიხედვით განსხვავებულია მთელი რიგი

ნიშნებით: R. Charadzae-ს ფოთოლაკები უფრო დიდი ზომისაა; ერთწლოვანი განი ყლორტის ფოთლის კენტრული ფოთოლაკი უკუკვერცხისებურია; მუჭათა ვილე ტოტი 3-ფოთოლაკიანია, R. Kudagorensis საყვავილე ტოტი 5-ფოთოლაკიანია. ყვავილედი უფრო დიდი ზომის საგველაა და სხვ.

ამ მცენარეს სახელს ვუწოდებთ დოც. ან. ლ. ხარაძის პატივსაცემად.

Turiones sat validi 5-angulati distincte costati, 8—mm in diametro, angulis salcatis parce pilosi eglanduloso, aculei tenues basi vix dilatati ad costas laxe dispositi. Folia quinata supra laxe pilosa, subtus obtomento denso tenuissimo cinereo-grisea, foliolo terminali late elliptico, basi subangustato vix emarginato, longe acutato, 15,5—16,0 cm longo, 7,5—8,3 cm lato, margine acute inaequaliterque duplicato-serrato, petiolulo 5,2—5,8 cm longo, foliola lateralia asymmetrica, late oblanceolata, acumine subito longe-acutato, petiolulis eorum bazi connatis; petiolo cylindrico, 12,1—12,5 cm longo, supra sulcato leviter piloso; aculeis tenuibus reflexis, laxe dispositis. Stipulae lineares pilosae, glandulis solitariis obstita. Romi floriferi costati; aculei laxi pilis simplicibus stellatisque obsiti tenues, vix reflexi, ad costas dispositi; folia ramorum floriferum ternata, foliolo terminali late elliptico vel elliptico-ovato, basi rotundato, longo acutato, foliolis lateribus symmetricis. Inflorescentia ampla, paniculatae paniculis terminalibus et lateralibus constans; axistellato piloso glandulisque inaequalibus brunneis obsito. Sepala ovata acuta apiculata cinereo-tomontosa glandulosaque fructificatione reflexa; fructus oblongi, subcylindrici. Fl. VI—VII, fr. VII—VIII.

In foliis frondosis crescit.

Typus: Kachethia, in viciniis p. Lagodechi in faucibus Koczli, 29/VII—1947. K. Sanadze.

Nota: R. Charadzae Sanadze Sp. n. R. Kudagorensis Sanadze proxima sed characteribus sequentibus differt. R. Charadze folia habet maiora, foliolo terminali turionum late elliptico, 3-foliolato inflorescentiaeque saepius maiore. R. Kudagorensis foliolo terminali obovato, foliis ramorum floriferarum 5-foliolatis atque ceteris characteribus differt.


4. R. longipetiolatus Sanadze Sp. n.

(in I. c. 386, სურ. № 231)

ბუჩქია. მცენარე დიდი ზომისაა, საკმაოდ მძლავრი; ერთწლოვანი ყლორტები თითქმის ცილინდრული, არანათლად გამოსახული წახნაგებით და ღარებიანი 15 მმ დიამეტრის, მარტოული ჯირკვლებით, მარტივი ბეწვებით და პატარა ფუძეგანიერი, თითქმის სწორი გაფანტული ეკლებით მოფენილი. ფოთოლი ნაზია დიდი ზომის 5-ფოთოლაკიანი, ფოთლების კიდე პრათანაბარი ზომის დაკბილებით ხასიათდება, ერთბაშად გრძელ წვეტშია შევიწროებული,



Rubus Charadzae Sanadze. საყვავილე ყლორტი.



R. Charadzae Sanadze. ერთშლოვანი ყლორტი.

ზედა მხარეზე თხლად გაფანტული, მიტკეცილი ბეწვებითაა, ქვედა მხარეზე მონაცრისფრო ქეჩისებრია მიტკეცილ ბეწვებისაგან; კენჭრული ფოთოლაკი უკუკვერცხისებრია, თითქმის სოლისებრი ფუძით და ერთბაშად გრძელი წვეტით ბოლოვდება, 14,5—15,5 სმ სიგრძის და 10,8—11,6 სმ სიგანის, მისი ყუნწი 9,5—10 სმ სიგრძისაა; შუა ფოთოლაკები უკუკვერცხისებრი ფორმი-

საა, ქვედა ფოთოლაკი ასიმეტრიულია; გვერდითი ფოთოლაკების ყუნწები ფუქებით ურთიერთადა შეზრდილი; ფოთლის საერთო ყუნწი ცილინდრულია ზედა მხარეზე ღარჩავლებული, 20—25 სმ სიგრძის, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით და მარტოული ჯირკვლებით მოფენილი, ეპლები ფუქეგანიერია, თხლადა გაფანტული და ძირს გადახრილი. თანაფოთოლი ხაზურია, ბეწვებით და მარტოული ჯირკვლებით მოფენილი. საყვავილე ტოტი წახნაგოვანია, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით და თხლად გაფანტული ჯირკვლებით მოფენილი, მისი ფოთოლი 3-ფოთოლაკიანია. ყვავილედი დიდი ზომის საგველაა; ყვავილედის ღერძი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით თხლადა მოფენილი, ხშირი ყავისფერი ჯირკვლები და წვრილი, თითქმის სწორი ექლებიც აქვს. ჯამის ფოთოლი კერტხისებრია და გრძელი წვეტით ბოლოვდება, ქეჩისებრი ბეწვებით და ხშირი ჯირკვლებით მოფენილი, ნაყოფისისას ქვევითაა გადახრილი. ნაყოფი გრძელია თითქმის ცილინდრული ფორმის. ყვ. VI—VII; ნაყ. VII—VIII.

იზრდება ფოთოლვან ტყეებში; აგრეთვე ტყის პირებზე, გაჩეხილ ტყეებში.

ტიპი: კახეთი, ლაგოდეხის მიდამოები, ქოჩლას ხეობა. 27/VII—1947 წ.

ქ. სანაძე.

შენიშვნა: ახალი სახეობა, *R. longipetiolatus* ყვავილედის აღნავობით, ნაყოფის ფორმით მსგავსებას იჩენს *R. Kudagorensis* და *R. Charadzae*-სთან, ხოლო ერთწლოვანი ყლორტების ფოთლების ფორმით, უფრო თხელი და ნაზი ფოთოლაკებით, ყუნწის სიგრძით მისგან მკვეთრად განსხვავდება.

Planta sat magna, turiones robusti subcylindrici obscure angulosi, sulcati; 5 mm in diametro, glandulis solitariis pilisque simplicibus aculeisque minutis obsiti, aculei subrecti basi vix dilatati sparsi. Folia tenuia magna, quinata, foliola in margine inaequaliter serrata, in apicem longe acutatum subito transeuntia supra sparse adpresso pilosa, subtus obtomento denso tenuissimo adpresso cinereogrisea; foliolo terminali obovato, 14,5—15,5 cm longo, 10,8—11,6 cm lato, basi vix cuneato in apicem longe-acutatum subito transeunte, petiolulo 9,5—10 cm longo; foliolis mediis obovatis, imis asymmetricis, petiolulis foliorum mediorum imorumque basi connatis; petiolus cylindricus supra sulcatus, pilis simplicibus stellatisque, glandulis solitariis aculeisque reflexis sparsis obsiti, 20—25 cm longus. Stipulae lineares pilosae glandulis solitariis obsitae. Rami floriferi costati pilis simplicibus et stellatis obsiti glandulisque solitariis foliis ternatis. Infloroscentia ampla paniculata, axi villosulo dense glanduloso, aculeis tenuibus subrectis obsito. Sepala ovata longe acuminata, cinereo-grisea, tomentoso villosa denseque glandulosa, fructificatione reflexa. Fructus elongati subcylindrici. Fl. VI—VII; fr. VII—VIII.

Ad margines silvarum et in silvis frondosis crescit.

Typus: Kachethia in viciniis p. Lagodechi in faucibus Kozla 28/VII—1947. K. Sanadze.

Nota: *R. longipetiolatus* Sanadze Sp. n. inflorescentiae characteribus *R. Kudagorensis* atque *R. Charadzae similis*, sed foliorum consistentia foliorum turionum forma, petiolorumque longitudine eximie differt.


5. *R. Juzepczukii* Sanadze Sp. n. (in l. c. 386 ined.)

საკმაოდ მოზრდილი ბუჩქია; ერთწლოვანი ყლორტი მოღუნული, 5-წახნავოვანია 11,1—12 მმ დიამეტრის, ბრტყელი წახნავებით და კარგად გამოსახული წიბოებით, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვებით და გაბნეული ჯირკვლებით მოფენილი; წიბოების გასწვრივ განლაგებულია სუსტი ოდნავ ძირში ჯანიერი თითქმის სწორი ეკლები. ფოთოლი 3-ფოთოლაკიანია, კერძოული ფოთოლაკი განიერ კვერცხისებრი, თითქმის ოვალურია, არათანაბარი ზომის კბილებითა და მოკლე წვეტით ბოლოვდება, ზედა მხარეზე მუქი მწვანეა და გაბნეული მიტკეცილ ბეწვებითაა მოფენილი, ქვედა მხარეზე მონაცრისფრო თეთრი ქეჩისებრ მიტკეცილ ბეწვებითაა მოფენილი, მთავარი ძალვების გაყოლებით წამჭამებიანია 15,5—19 სმ სიგრძისა და 13,5—15 სმ სიგანის; მისი ყუნწი 6,5—7,5 სმ სიგრძისაა; გვერდითი ფოთოლაკები ასიმეტრიულია და ისეთივე დაკბილვით და შებუსვით ხასიათდება, როგორც გენწრული ფოთოლაკი; ფოთლის ყუნწი ცილინდრულია, ზედა მხარეზე ღარი თონავ ეტყობა, შებუსვილია, ჯირკვლოვანია, სუსტი, პატარა ზომის, ქვევით გადახრილი აქა-იქ გაბნეული ეკლებით მოფენილი, 17,1—17,5 სმ სიგრძისაა. თანაფოთოლი ხაზურია ძლიერ შებუსვილი და ჯირკვლოვანი. საყვავილე ტოტი წახნავოვანია, შებუსვილი და გაბნეულ ჯირკვლებიანი, პატარა ზომის სუსტი ეკლები წიბოების გასწვრივ აქა-იქა განლაგებული; საყვავილე ტოტზე ფოთლები 3-ფოთოლაკიანია. ყვავილედი მოკლე და ვიწრო საგველაა, ყვავილედის ღრემი ძლიერაა შებუსვილი და არათანაბარი ზომის ყავისფერი ჯირკვლებით მოფენილი. ჯამის ფოთლები კვერცხისებრია, მოკლე წვეტით ბოლოვდება, ძლიერ შებუსვილი და ჯირკვლოვანია, ნაყოფობისას ქვევითაა გადახრილი. ნაყოფი გრძელია, თითქმის ცილინდრული ფორმის. ყვ. VI—VII; ნაყ. VII—VIII.


იზრდება ფოთლოვან და შერეულ ტყეებში, ტყის პირებზე.

ტიპი: კახეთი, ბაზარის ხეობა. 15/VII—1947 წ. ქ. სანაძე.

შენიშვნა: ჩვენი ახალი სახეობა *R. Juzepczukii* მსგავსებას იჩენს ს. გ. იუზეპჩუკის მიერ საგურამოს ქედიდან აღწერილ სახეობა *R. dolichocarpus*-თან, ხოლო მისგან რიგი ნიშნებით განსხვავდება. *R. dolichocarpus*-ის ყვავილედი გაშლილი პირამიდული ფორმის საგველაა, ჩვენი სახეობის ყვავილედი შედარებით პატარა ზომის და უფრო შეკუმშულ საგველას წარმოადგენს. *R. dolichocarpus*-ის ერთწლოვანი ყლორტის ფოთოლი 5-უკუკვერცხისებრ ფოთლოვანია, ჩვენი სახეობის ერთწლოვანი ყლორტის ფოთოლი 3-ფოთოლაკიანია ფართო კვერცხისებრი, თითქმის ოვალურია. *R. dolichocarpus* ერთწლოვანი ყლორტები მაგარი და ხშირი ეკლებითაა მოფენილი, ჩვენი სახეობის ერთწლოვან ყლორტებზე ეკლები თხლადა გაფანტული და წვრილია. ამ მცენარეს სახელს ვუწოდებთ პროფ. ს. გ. იუზეპჩუკის პატივსაცემად.



Rubus Juzepczukii Sanadze. საყვავილე ყლორტი.



Rubus Juzepczukii Sanadze. ქრთვლოვანი ყლორტი.

Planta sat magna. Turiones incurvati 5-costati, 11—12 mm in diametro, angulis planis costis manifestis, pilis simplicibus et stellatis glandulosque sparsis obsitis; angulis aculeis tenuibus basi vix dilatatis subrectis obsitis. Folia ternata, foliolo terminali late ovato, subovali 15,5—19,00—cm longo, 13,5—15,00—cm lato, margine inaequaliter-serrato breviter acutato, supra atroviridi sparse adpresseque piloso basi velutino et cinereocano adpresse tomentoso, ad nervos ciliato, petiolulo 6,5—7,5 cm longo, foliolis laterali bus symmetricis dentibus pubescentiaque terminalibus similia; petiolus cylindricus supra vix conspicue sulcatus, pilosus glandulosusque aculeis sparsis tenuibus minutis retrosis 17,1—17,5 cm longis obsitus. Stipulae lineares dense pilosae glandulosaeque. Rami floriferi costati, pilosi sparseque glandulosi, aculei sparsi minuti tenues ad costas dispositi; folia ternata. Inflorescentia breviter compresseque paniculata; axi dense pilosa glandulis brunneis inaequalibus posita. Sepala ovata, breviter acuminata pilosa et glandulosa, fructificatione reflexa. Fructus oblongi subcylindrici. Fl. VII—VII; fr. VII—VIII.

In silvis frondosis mixtis et ad margines silvarum crescit.

Typus: Kachethia, in faucibus Batzara 15/VII—1947. K. Sanadze.

Nota: R. Juzepczukii Sanadze Sp. n. R. dolichocarpo Juz. similis sed ab ultima specie characteribus sequentibus differt: R. Juzepczukii paniculam magis contractam habet folia turionum 3-foliolata late ovata, subovalia, aculei turionum tenues, sparse dispositi. Inflorescentia R. dolichocarpi pyramidato-paniculata; folia turionum 5-foliolata, aculei turionum validi, crebri.

Ser. 2. *Kachethiae Sanadze* — ნასკვი და კურკიანას ნვერი შებუსვიღია
Ovarium drupulaeque pilosae

1. R. *Kachethicus* Sanadze Sp. n.

(in l. c. 386, სურ. № 230)

ბუჩქია. საქმაოდ დიდი ზომის მცენარე. ერთშლოვანი ყლორტები ცილინდრულია 6—8 მმ დიამეტრის, სუსტადაა შებუსვილი, ხორცლიანია და მარტოული ჯირკვლებით მოფენილი, ეკლები ხშირია, ძირში განიერი და რამდენადმე ქვევით გადახრილი. ფოთლები 3—5 ფოთოლაკიანია; ფოთლის ზედა მხარე განხეული ბეწვებითაა მოფენილი და ძარღვების გასწვრივ წამწამები აქვს, ქვედა მხარე მონაცრისფერო-ქერისებრია რბილი ბეწვებისაგან; ძარღვების გაყოლებაზე წამწამისებრ ბეწვებიანია, კიდეებზე ორმაგ ხერხებილაა, წაწვეტებული კბილებით; კენჭრული ფოთოლაკი 14,5—16,5 სმ სიგრძის და 9,1—12,5 სმ სიგანისაა, მომრგვალო კვერცხისებრია, ძირში ოდნავ ამოკვეთილი და ბოლოზე წაწვეტებული, მისი ყუნწი 3,2—5,5 სმ სიგრძისაა; ქვედა

ფოთოლაკები ასიმეტრიულია. ფოთლის საერთო ყუნწი ცილინდრულია და მოფენილია სვილი, ეკლები ქვევითაა გადახრილი, 11,2—13,2 სმ სიგრძის. თანატური და მოფენილია ხაზურია, ძლიერ შებუსვილი და მოკლე-ყუნწიანი ჯირკვლებით მოფენილი. საყვავილე ტოტებზე წახნაგები ოდნავ ეტყობა, ძლიერაა შებუსვილი და ყავის-ჭერი ჯირკვლებით და თხლად გაბნეული ძირს გადახრილი ეკლებით მოფენილი, საყვავილე ტოტები 3-ფოთოლაკიანია. ყვავილედი ფარჩხატი საგველაა; ყვავილედის ორძის ვარსკვლავისებრი და მარტივი ბეწვებითაა მოფენილი, ეკლები არათანაბარი ზომისაა და ქვევითაა გადახრილი, ხოლო ქიცვები ნემსისებრია. ჯამის ფოთლები სამეუთხოვანი ფორმისაა და მოგრძო წვეტით ბოლოვდება, მოთეთორო-ნაცრისფერი ბეწვებით და ცოტად თუ ბევრად ჯირკვლებით მოფენილი, ნაყოფობისას ქვევითაა გადახრილი, ცალკეული კურკიანის წვერი შებუსვილია. ნაყოფი გრძელია, თითქმის ცილინდრული ფორმის.

კვ. VI—VII; ნაყ. VII—VIII.

ტიპი: კახეთი, ლაგოდეხის მიდამოები, ქოჩლას ხეობა. 30/VII—1947 წ.
ქ. სანაძე.

შენიშვა: ჩვენ მიერ ახლად ოწერილი სახეობა R. Kachethicus ფოთლის ფორმით, შებუსვით, ერთწლოვანი ყლორტის ფორმით, ნასკვისა და კურკიანის წვერის შებუსვით და სხვა განსხვავებულია სექ. Radulae-ზი შემავალ ყველა დანარჩენ სახეობებისაგან. ნასკვისა და კურკიანას წვერის შებუსვის მიხედვით ონიშნულ სახეობას გამოვყოფთ ცალკე სერიაში.

Planta sat magna. Turiones cylindrici 6—8 mm in diametro, puberuli, tuberculati glandulisque solitariis obstiti aculei densi bari dilatati subreflexi. Folia 3—5 foliolata, supra sparse pilosa, ad meroos magis puberula, subtus cano-grisea, ob pilos molles tomentoso-villosa ad nervas ciliata, margine duplicato serrata, dentibus acutatis; folioli terminali rotundato-ovato, 14,5—16,5 cm longo, 9,1—12,5 cm lato, basi subrepando, apice acutato, petiolulo 3,2—5,5 cm longo; foliolis inferioribus asymmetricis; petiolus cylindricus, pubenscens aculeis reflexis, 11,2—13,2 cm longis obsitus. Stipulae lanceolatae dense pilosae, glandulis breviter stipitatis obsiti. Folia ramorum floriferorum ternati. Inflorescentia divaricatim paniculata; inflorescentiae axi pilis simplicibus et stellatis aculeisque inaequalibus reflexis aculeolisque acicularibus obsito. Sepala triangularia, apice oblongo-acutata, pilis albido sinereis glandulisque obsiti, fructificatione reflexi. Ovarium drupulaeque appubescentes. Fructus oblongi, subcylindrici. Fl. VI—VII; fr. VII—VIII.

In silvis frondosis atque ad margines silvarum crescit.

Typus: Kachethia, in viciniis p. Lagodechi, in faueibus Koezla. 30/VII—1947. K. Sanadze.

Nota: R. Kachethicus Sanadze foliorum forma, turionum forma, ovarii drupaeque apicis pubescentia ceterisque notis ab omnibus ~~speciebus~~ ~~speciebus~~ sectionis Redulæ differt.

კვევეარ EUBATUS FOCKE სექტი RADULAE FOCKE-ს სახეობათა სრული გაგელა

1. ერთშლოვანი ყლორტები ცილინდრულია. ნასკვი და კურკიანას წვერი შებუ-
სვილია, ფოთლის ქვედა მხარე მიტკეცილ და სწორ მდგომი ბეჭვითაა
ქეჩისებრ შებუსვილი R. Kachethicus Sanadze.
- ერთშლოვანი. ყლორტები თითქმის ცილინდრულია ან წიბოებიანი. ნასკვი
და კურკიანას წვერი არ არის შებუსვილი. ფოთლის ქვედა მხარე მონაცრის-
ფროა მიტკეცილ ბეჭვისაგან თხელი ქეჩისებრი 2
2. ერთშლოვანი ყლორტები ცილინდრულია. ფოთლები ნაზი; კენტრული ფო-
თოლაკი უკუკვერცხისებრია, მომრგვალოა, თითქმის სოლისებრი ძირით;
ფოთლის ყუჩწი 20—25 სმ სიგრძისაა R. longipetiolatus Sanadze.
- ერთშლოვანი ყლორტები წიბოებიანია. ფოთოლი სხვანაირია, ფოთლის
ყუჩწი სხვა ზომისაა 3
3. ერთშლოვანი ყლორტების ფოთოლი 3-ფოთოლაკიანია; კენტრული ფოთო-
ლაკი ფართო-ელიფსურია, ფართო-კვერცხისებრი ან თითქმის ოვალური 4
- ერთშლოვანი ყლორტების ფოთოლი 5-ფოთოლაკიანია კენტრული ფოთო-
ლაკი უკუკვერცხისებრი ან ფართო ელიფსური ფორმისაა 5
4. კენტრული ფოთოლაკი ფართო-ელიფსურია, ყვავილედი დიდი ზომის გა-
ფარხხული საგველაა R. Ketzkhovelii Sanadze.
- კენტრული ფოთოლაკი ფართო-კვერცხისებრია, თითქმის ოვალური, ყვავი-
ლედი პატარა ზომის საგველაა R. Juzepesukii Sanadze.
5. ერთშლოვანი ყლორტების ფოთოლი 5-ფოთოლაკიანია; კენტრული ფოთო-
ლაკი უკუკვერცხისებრია, ძირში ამოკვეთილი. საყვავილე ტოტი 3—5
ფოთოლაკიანი. ერთშლოვანი ყლორტები ხშირეკლიანი, ეკლები არაერთ-
გვაროვანი R. dolichocarpus Juz.
- ერთშლოვანი ყლორტების ფოთოლი 5-ფოთოლაკიანი; კენტრული ფოთო-
ლაკი ფართო-ელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფორმისაა. საყვავილე
ყლორტი 3 ან 5-ფოთოლაკიანია, ერთშლოვანი ყლორტი სუსტია ერთგვა-
როვანი ეკლებითაა მოფენილი 6
6. კენტრული ფოთოლაკი ფართო-ელიფსურია ან მოგრძო-უკუკვერცხისებრი,
გრძელი წვეტით ბოლოვდება. საყვავილე ტოტი 3-ფოთოლაკიანია; ერთ-
შლოვანი ყლორტი აქა-იქ ეკლებითაა მოფენილი R. Charadzae Sanadze.
- კენტრული ფოთოლაკი უკუკვერცხისებრია; მოქლე წვეტით ბოლოვდება
საყვავილე ტოტი 5-ფოთოლაკიანია. ერთშლოვანი ყლორტი უფრო ხშირია,
სუსტი ეკლებითაა მოფენილი R. Kudagorensis Sanadze.

ლიტერატურა

1. С. В. Юзепчук. Материалы для изучения ежевик Кавказа: Тр. по прикл. Ботан. и Селекц. Т. 14-й, вып. 3 (1924—25). Москва-Ленинград.
2. Флора СССР X, 1941. Москва-Ленинград.
3. საქართველოს ფლორა V, 1949. თბილისი.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბოტანიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. III. 6).

К. Санадзе

Материалы по изучению рода *Rubus* L. в Грузии

Резюме

В результате обработки подрода *Eubatus* Focke рода *Rubus* L. автор считает необходимым в диагноз секции *Radulae* Focke внести некоторые дополнения. Для этой же секции описывается 6 новых видов, которые сгруппированы в две новые серии.

В серию *Dolichocarpicae* Sanadze с голой завязью и костяночкой входят следующие виды.

1. *R. Ketzhovelii* Sanadze sp. n.

Этот вид описывается автором из Восточной Грузии (район Лагодехи ущелье Кочла). Вид этот близок к *R. dolichocarpus* Juz., но от последнего отличается следующими морфологическими признаками: листьями годовалых побегов всегда с 3-мя листочками, широко-эллиптическим конечным листочком, шипами более редкими и более крупной сложной метелкой.

Произрастает в лиственных лесах.

2. *R. Kudagorensis* Sanadze sp. n.

R. Kudagorensis Sanadze описан автором из окрестностей Лагодехи с г. Кудагора. От типичной формы *R. dolichocarpus* Juz. отличается листьями на годовалых и цветоносных побегах с пятью листочками, обратно-яйцевидным конечным листочком, более крупным соцветием и более редкими и мелкими шипами.

Произрастает на опушках лиственных лесов.

3. *R. Charadzae Sanadze sp. n.*

R. Charadzae Sanadze близок к виду *R. Kudagorensis*, но от последнего отличается более широкими листочками, широко-эллиптическим конечным листочком, из ветоносным побегом с 3-мя листочками на каждом листе и более крупным соцветием.

Этот вид обнаружен в Вост. Грузии в окрестностях Лагодехи, в ущелье Кочла, в лиственном лесу.

4. *R. longipetiolatus Sanadze sp. n.*

R. longipetiolatus Sanadze близок к видам *R. Kudagorensis* и *R. Charadzae*, но от последних отличается по форме, величине и консистенции листа и по длине черешка.

Эндемичный вид произрастающий в окрестностях Лагодехи в ущелье Кочла по вырубленным местам и по опушкам, в лесном поясе.

5. *R. Juzepczukii Sanadze sp. n.*

Вид *R. Juzepczukii Sanadze* близок к виду *R. dolichocarpus*, но от него отличается следующими морфологическими признаками: листьями годовалых побегов с 3-мя листочками, конечным листочком широко яйцевидным почти овальной формы, мелкими и рассеянными шипами на годовалых побегах более сжатой метелкой.

Вид произрастающий в Вост. Грузии в ущелье Бацара, в лиственном и смешанном лесу.

В серию 2. *Kachethicae Sanadze*, которая характеризуется опущенной завязью и костяночкой, входит только один вид.

1. *R. Kachethicus Sanadze sp. n.*

R. Kachethicus Sanadze отличается от всех видов входящих в секцию *Radulae*, цилиндрическими годовалыми побегами, конечным листочком округло-яйцевидной формы и опущенной завязью и костяночкой.

Вид описанный из Лагодехского района, в ущелье Кочла, произрастает в лиственном лесу и по опушкам.

ქ. გაჩეჩილებე

საქართველოს ცირცელი

ჩვენი გამოკვლევა შეიცავს საქართველოში გაერცელებულ *Sorbus L.*-ის გვარში შემავალ სახეობათა სისტემატიკურ შესწავლას. საქართველოსათვის და საერთოდ კავკასიისათვის მოჰყავდათ ორი ახლო მონათესავე სახეობა *S. aucuparia* L. და *S. Boissieri* Schn., ხოლო ამ სახეობათა განმამსხვავებელ ნიშანთა შესახებ და მათი გეოგრაფიული არეალების შესახებ აზრთა სხვადა-სხვაობა არსებობდა.

ამგვარად, თემის მიზანს შეადგენდა დასახელებული სახეობების სისტე-მატიკური რაობის და ფორმათა სხვადასხვაობის დადგენა. გვარის წარმო-მაღალენები ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე როგორც მთანი რაიონებისათვის პერსპექტიული ხილეული და დეკორაციული მცენარეები¹.

ჩვენ მიერ შეგროვებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მასალა მარშრუტებით კვლევის მეთოდით, სახელდობრ: ბორჯომ-ბაკურიანიდან 1938—39 წ.წ., საგარევოს მიდამოებიდან 1938 წ., ყაზბეგის რაიონიდან 1938—39 წ.წ., ლაგოდეხის მიდამოებიდან 1938 წ., გურიიდან 1938—39 წ.წ., აჭარიდან 1939 წ., რაჭიდან 1939 წ., აფხაზეთიდან 1946 წ. და სეანეთიდან 1949 წ. გარდა ჩვენ მიერ აღებული მასალებისა, გადასინჯულია საპერბარიუმო მასალა თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში, საქართველოს მუზეუმში და აგრეთვე საკავშირო აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის პერბარიუმის მასა-ლები ლენინგრადში.

გვარ *SORBUS* L.-ში მომზებლები

გვარი *Sorbus* L.-ი ეკუთვნის Rosaceae Juss.-ების ოჯახს და მოქცეულია Pomoideae Focke-ების ქვე-ოჯახში [53, 16]; ახლო მონათესავე გვარებიდან

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში ტ. V, № 6, 1944 წ. გამოქვეყ-ნებული იყო ჩვენ მიერ აღწერილ გვარ *Sorbus L.*-ის სექცია *Aucuparia* Medik.-ში შემავალ სახეობათა ლათინური დიაგნოსტიკი, მაგრამ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო არ მოხერხდა ზემოთ დასახელებული ნაშრომით სრულყოფილი სურათი მოგვეცა, როგორც სახეობათა გაერ-ცელებაზე ისე მათი დაჯგუფების ხსიათზე, გვარის ისტორიაზე, მიგრაციის გზებზე და სხვა. ამისათვის განვიზრახეთ წინამდებარე ნაშრომით შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სურათი მოგვეცა. ჩვენ მიერ განიხილება გვარ *Sorbus L.*-ში შემავალი ფრთართულ ფოთლებიანი ცირ-ცელები (სექცია *Aucuparia* Medik.).

შეიძლება დასახელებულ იქნეს *Pyrus* L. და *Malus* Mill.-ი. ზოგიერთი უფრო დიდი *Sorbus* L.-ს განიხილავდა გვარ *Pyrus* L.-ის სახელწოდებით [Guenther 1855] და De Candolle 52, Ledebour 60, Focke 53, Ascherson u. Graebner 47]. ორივე გვარისაგან *Sorbus* L.-ი განსხვავდება უმთავრესად უფრო პატარა ზომის ყვავილებით, ყოველთვის უმცილო ყლორტებით, უმეტეს ნაწილად ფრთა-რთული ან ფრთად დანაკვთული ფოთლებით. *Pyrus* L. და *Malus* Mill.-ს ფოთლები უფრო ხშირად მთლიანი აქვს, თუ ფოთლები დანაკვთულია, იმ შემთხვევაში ყლორტები ეკლანია, რაც გვარ *Sorbus* L.-ის სახეობებს არ ახსიათებს; ყვავილები ყოველთვის უფრო დიდი ზომის უვითარდებათ. გვარი *Sorbus* L. ხასიათდება ორსქესიანი, 5-წევრიანი ყვავილებით, ორმეტებიც შეკრებილია ფარისებურ ყვავილებში. გვირგვინის ფურცლები მოკლე-ფრჩხილიანია, მომრგვალო ან კვერცხისებური ფორმის, თეთრი, მოყვითალო-თეთრი ან იშვიათად გვარდისფერი. მტკრიანები 15—25-მდე, ნაყოფის ფოთლები 2—5-მდე, ზურგის მხარეზე შეზრდილი და თითოეულში ორ-ორი თესლებირტია მოთავსებული, რომელთაგანაც ერთი ხშირად არ ვითარდება. ნაყოფი მრგვალია ან ოვალური ფორმისა, წითელია, ყვითელია ან ყავისფერი. ბუდეების კადლები მაგარია ან აპკისებური.

გვარ *Sorbus* L.-ში შემავალი მცენარენი ხეები ან ბუჩქებია, უმთავრესად ფოთლებ-მცვივანნი. Rehder-ის [65] მიხედვით შეიცავს 80 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია დედამიწის ჩრდ. ნახევარსფეროში: ჩრდ. ამერიკაში, სამხრეთ მიმართულებით ჩრდ. კაროლინიდან ახალ შექსიკამდე, აზიაში ჰიმალაიამდე, გარდა ტროპიკული ნაწილისა, ევროპაში კი მთელ ჩრდილოეთ ნაწილში.

გვარ *Sorbus* L.-ის რამდენიმე სახეობა პირველად იღწერილია ლინეის [62] მიერ 1753 წელს ევროპიდან. ავტორს მოჰყავს შემდეგი სახეობანი: *S. aucuparia* L., *S. domestica* L., *S. Hybrida* L. ამგვარად, ნამდვილი *S. aucuparia* L.-ს ევროპაში გავრცელებული ეგზემპლარები უნდა მიეკუთვნოს.

Boissier [50] 1872 წ. გვარ *Sorbus* L.-ს ჰყოფს სექციებად: 1. *Cormus* Spach., რომელშიც გაერთიანებული აქვს 5-ბუდიანი და 5-სვეტიანი ყვავილების მქონე მცენარეები, 2. *Eusorbus* Boiss.-ში შევანილია 3-ბუდიანი ან 2—4-ბუდიანი ყვავილების მქონე მცენარეები, მათ შორის *Sorbus aucuparia* L. მოლოდ 3. *Aria* D. C. სექციაში შევანილი აქვს მარტივფოთლებიანი მცენარეები. Koehne [59] 1893 წ. ზემოთ დასახელებული ავტორების მსგავსად განიხილავს *Sorbus* L., როგორც დამოუკიდებელ გვარს [59]. Hedlund-ის [56] 1901 წ. თავის მონოგრაფიაში გვარი *Sorbus* L. 6 სექციად აქვს დაყოფილი: 1. *Cormus* Spach., 2. *Aucuparia* Medik., 3. *Aronia* Persoon. p. p., 4. *Torminaria* D. C., 5. *Aria* D. C., 6. *Chamaemespilus* Roemer. სახეობა *S. aucuparia* L., ამგვარად, Hedlund-ის მიხედვით სექცია *Aucuparia* Medik.-ში შედის.

Schneider-საც [67] 1906 წ. მოჰყავს გვარი *Sorbus* L.-ი და ჰყოფს მას შემდეგ სექციებად: 1. *Aucuparia* Medik., 2. *Cormus* Spach., *Cormoaria* Lbl., 3. *Hahnia* Medik., 4. *Aronia* Persoon. p. p.

Hegi [55] გვარ *Sorbus* L.-იდან გამოყოფს სექციებს შნაიდერის დაჯუფულების მიხედვით [55].

Medikus-ს 1793 წ. გამოქვეყნებულ შრომაში [64] გვარი *Sorbus* L. უფრო ვიწრო გაგებით აქვს აღებული, მისგან ავტორს გამოყოფილი აქვს ცალკე ვარი *Aucuparia*, ოომლისათვის მოყვანილია სახეობა *Aucuparia silvestris* Medik., ეს უკანასკნელი *Sorbus aucuparia* L.-ს სინონიმს წარმოადგენს. Gaertner-ს [54] 1791 წ. გვარი *Sorbus* L. შევიცნილი აქვს გვარ *Pyrus* L.-ში, ამგარენდ, *S. aucuparia* L.-ს ეს ავტორი აღნიშნავს *Pyrus aucuparia* Gaertn.-ის სახელწოდებით. შემდეგში De Candolle-იც [52] 1825 წ. *Sorbus* L.-ის წარმომადგენლებს გვარ *Pyrus* L.-ს უერთებს, საიდანაც გამოყოფს სექციას *Sorbus De Candolle*; Ledebour-ს 1844—1846 წ.წ. [60] მხავსიდ *De Candolle*-ისა *Pyrus* L.-ის გვარიდან გამოყოფილი აქვს სექცია *Sorbus De Candolle*-ი.

Focke W. O. (Engler und Prantl-ში [53]) 1894 წ. *Pyrus* L.-ის გვარიდან გამოყოფს ქვე-გვარს *Sorbus* L. და ეს უკანასკნელი დაყოფილია ჯუფებად: *Cormus* Spach. და *Eusorbus*-ად, ოომელშიც აღნიშნულია *P. Aucuparia* L. Ascherson და Graebner-ი [47] 1906 წ. *Sorbus* L.-ებს გვარ *Pyrus* L.-ს უმორჩილებენ განსაკუთრებული მუხლის სახით, აღნიშნულ *Sorbus* L.-იდან გამოყოფილია ჯუფი *Aucuparia*, ოომელიც კენტფრთართულ-ფოთლებიან მცენარებს აერთიანებს, ჩვენთვის საინტერესო მცენარეებიდან მათ შორის მოყვანილია *Pyrus aucuparia* Gaertn.; უკანასკნელი დროის მკვლევარებს კომაროვსა [16] და ცინზერლინგს [41] საბჭოთა კავშირისათვის მოყვანილი აქვთ 33 სახეობა *Sorbus* L.-ის გვარიდან, ოომელიც 2 ქვე-გვარშია მოქცეული: *Eusorbus* Kom.-ში ფრთართულფოთლებიანი სახეობანია გერმანებული და *Hahnia* Medik.-ში კი გაერთიანებულია მარტივი მთლიანი ან დანაკუთულ-ფოთლებიანი სახეობანი. თითოეული ქვე-გვარი დაყოფილია სექციებად, მაგალითად, კომაროვის მიერ [16] დამუშავებულია ქვე-გვარი *Eusorbus* Kom., ოომელიც გაყოფილია 2 სექციად: 1. *Cormus* Spach.-ად, ოომლის დამახასიათებელი ნიშნებია ნასკვი 5 შეზრდილი ნაყოფის ფოთლებისაგან შემდგარი, 5 სევტი თავისუფალი ან მცირედად შეზრდილი და ფუძეებთან შებუსვილი. გვირგვინის ფურცლები ფუძეებთან მეტებიანი და ნაყოფი 1,5—3 სმ სიგრძისა.

დასახელებულ სექციაში შედის მხოლოდ ერთი სახეობა *S. domestica* L. მე-2 სექცია *Aucuparia* Medik. დასასიათება 2—4 ან იშვიათად 5 ნაყოფის ფოთლისაგან შემდგარი ნასკვით. ნაყოფის ფოთლები მხოლოდ ზედა ნაწილშია თავისუფლად, ქვედა ნაწილში კი შეზრდილია. სვეტებიც 2—4-ია ან იშვიათად 5-ია და თავისუფალი, ნაყოფები პატარა ზომისაა, 1,5 სმ-ზე ნაკლები დიამეტრში. უკანასკნელი სექცია შეიცავს სახეობათა 3 რიგს: 1. *Lucidæ* Kom., 2. *Aucupariae* Kom., 3. *Tianschanicae* Kom.

პირველი რიგის *Lucidæ* Kom.-ში შედის ბჟჰები, ოომელთა ფოთოლაკები ზედა მხარეზე პრიალაა, ქვედა მხარეზე მკრთალი ფერისაა, შებუსვა კი ახასიათებს წითური, კვირტები წებოვანი და შიშველია. სახეობათა ამ რიგის წარმომადგენელნი ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში არიან გავრ-

ცელებული. მეორე რიგ *Aucupariae* Kom.-ის წარმომადგენელთ ზამთრის ცელები ტები ცოტად თუ ბევრად შებუსვილი აქვთ ხშირი აბრეშუმის მსგავსი შრუშები სით, ან და შიშველი, მხოლოდ არა წებოვანი, ფოთლები 4—8 წყვილი აქვთ, რომელთა სიგრძე 3—5-ჯერ აღემატება მათ სიგანეს. მტკრიანები გვირგვინის ფურცლების სიგრძისაა. ნაყოფის ფოთლები ზედა ნაწილში სრულიად თავისუფალია. ამ რიგის წარმომადგენელნი ჩრდ. ეკრობასა და აზიაში არიან გავრცელებული. კავკასიისათვის კომაროვს ამ უკანასკნელი რიგიდან ორი სახეობა მოჰყავს: *S. aucuparia* L. და *S. Boissieri* Schne.; მესამე რიგი *Tianschanicae* Kom.-დახასიათდება ქვევიდან მწვანე ფოთლებით, ცოტად თუ ბევრად შებუსვილი ზამთრის კვირტებით, შედარებით მოზრდილი ყვავილებით და ნაყოფებით, ვიდრე რიგ *Aucupariae* Kom.-ში შემავალ სახეობებს ახსასათებს. გავრცელებულია შუა და ცენტრალულ აზიაში [16]. კოსეციის [17] სქემით, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ავტორების მიხედვით. გვარი *Sorbus* L. დაყოფილია 3 ქვე-გვარად: 1. *Eusorbus* Kom., 2. *Hahnia* Medik. და 3. *Micromeles* Desne. ეს უკანასკნელი ქვე-გვარი კომაროვს დამოუკიდებელ გვარად აქვს გამოყოფილი. თითოეული ქვე-გვარი გაყოფილია სექციებად. მაგალითად: *Eusorbus* Kom. ორ სექციად იყოფა: *Cormus* Spach. და *Aucuparia* Medik. მსგავსად კომაროვის დაყოფისა. ეს უკანასკნელი იყოფა სახეობათა რიგებად: 1. *Lucidae* Kom., 2. *Aucupariæ* Kom. და 3. *Tianschanicae* Kom. ამგვარად, ამ ავტორის დაყოფა ქვე-გვარ *Eusorbus* Kom.-ის კომაროვის დაყოფისა-გან არ განსხვავდება. შემდეგში ჩვენ ვყყრდნობით კოსეციის სქემას.

კავკასიაში გავრცელებული სექცია *AUCUPARIA MEDIK.*-ის ნარმომაღანელობა სენაციის მსგრის

გვარის მეცნიერული სახელწოდება *Sorbus* L. წარმომდგარია კელტური სიტყვისაგან „*Sor*“, რაც ნიშნავს „მწელარტეს“ ნაყოფების მიმართ [28, 55], ხოლო სახელწოდება *Aucuparia* წარმომდგარია ლათინური „*aucupari*“-საგან (avis — ფრინველი და capere დაჭრა). ამგვარად, სიტყვა *aucupari* გამოხატავს ფრინველების ჭრას (ловить птиц). ნაყოფების გამოყენება ჩიტების დაჭრის დროს აღნიშნულია სხვადასხვა ავტორების მიერ. კავკასიაში და საქართველოს სხვადასხვა კუთხებში *Sorbus* L.-ის გვარში შემავალი ფრთა-რთულფოთლიანი მცენარეები აღნიშნება სხვადასხვა სახელწოდებით.

მეცნიერებელი [24] და როლოვს [36] აღნიშნული აქვთ შემდეგი სახელწოდება: გურია-იმერეთისათვის ჭნავი, ჭადარტა და ცირცელი.

ჩვენი მონაცემებით ამ უკანასკნელ სახელწოდებას უწოდებენ თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში, ყაზბეგის რაიონში (ხევი) ჩვენი დაკვირვებით დასახელებულ მცენარეს უწოდებენ — წოროს, ხოლო რაჭაში, გურიის უმრავლეს კუთხებში, მესხეთში (აღიგნი, ახალციხე), აჭარასა და ბორჯომ-ბაკურიანის მიღამოებში ჭნავის სახელწოდებით არის ცნობილი. სამეგრელოში [24, 36] ამჩინავას სახელწოდებით არის ცნობილი. სომხურად: სინ, პისაკანიშ, აროსი; აზერბაიჯანულად: კოხლუ, ატ-გიოტი; ოსურად წოდებულია ცური; დოც. ალ. მაყა შვილის ტერმინოლოგიით [71] და ბორტანიკური ლექ-

სუკონით [72] დასახელებული მცენარე აღნიშნულია ცირცელის სახელმწიფო დებით, ხოლო სულხან-საბა რჩბელიანის ლექსიკონით [73] ხმარებული მცენარე და წორო. რაფიელ ერისთავის [74] ქართულ-რუსულ ლექსიკონში აღნიშნულია ცირცელი და მწორო.

ჩვენი დაკვირვების შედეგად მიზანშეწონილად მიმაჩნია ვიხმარო ტერმინი ცირცელი, რადგან საქართველოს უმრავლეს კუთხეებში ჩვენი მცენარე ცირცელის სახელწოდებით იხსენიება.

Sorbus L.-ის გვარის *Aucuparia* Medik.-ის სექციიდან კავკასიის ავტორებს მოჰყავთ ორი სახეობა: *S. aucuparia* L. და *S. Boissieri* Schn. პირველი სახეობა ფართოდაა გავრცელებული საბჭოთა კავშირის ეკრობულ ნაწილში, ჩრდ. და შუა ეკრობაში, მეორე მხოლოდ კავკასიისა და მცირე აზიისათვისაა მოყვანილი. კავკასიის ავტორთა უმეტესობა თვლიდა, რომ კავკასიაში ნამდვილი *S. aucuparia* L. იზრდება. ასე, მაგალითად, *Marschall Bieberstein*-ს [49] 1808 წ. *S. aucuparia* L. მოჰყავს კავკასიისათვის და ყირიმისათვის და მის ძირითად ნიშნად სოვლის ფრთართულ ფოთლებს და ფოთოლაკების სიშიშვლეს. *Lebedour*-ს [60] 1844 – 46 წ. წ. დასახელებული მცენარე მოჰყავს *Pyrus aucuparia* Gaertn.-ის სახელწოდებით კავკასიისათვის, ხოლო ყირიმისათვის *Pyrus Sorbus* Gaertn.-ი, რომლის სინონიმია *S. domestica* L. პირველის მთავარ დამახასიათებელ ნაშნებს წარმოადგენს ფოთოლაკები, ახალგაზრდობაში შემცვილი, ხოლო შემდეგში შიშველი, კვირტები ქეჩური შებუსვით.

Ed. Boissier-ის ბიბედვით [50], 1872 წ. *S. aucuparia* L. გავრცელებულია ამიერკავკასიაში და ჩრდ. კავკასიაში, ხასიათდება შებუსვილი კვირტებით, მჯდომარე მოგრძო ხაზური ფოთოლაკებით, რომლებსაც ქვედა მხარე შებუსვილი აქვთ, ხოლო შემდეგში კი შიშვლდება. შმალგაუზენს [43], 1897 წ. ლედებურის მსგავსად იგივე *Pyrus aucuparia* Gaertn.-ის სახელწოდებით აქვს მოყვანილი შემდეგი ადგილებიდან: ბეშტაუ, კისლოვოდსკი, ამიერკავკასია, აფხაზეთი. მთავარ ნიშნად მასაც კვირტების ქეჩური შებუსვა აქვს აღებული, ფოთოლაკები ქვედა მხარეზე შებუსვილი, რომლებიც შემდეგში შიშვლდება. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, კავკასიის ფლორის ავტორებს *Marschall Bieberstein*, *Lebedour*, Ed. Boissier-ის, შმალგაუზენს. და სხვებს კავკასიაში გავრცელებული ფრთართულ-ფოთლებიანი ცირცელი მოჰყავს *S. aucuparia* L.-ის (= *Pyrus aucuparia* Gaertn.) სახელწოდებით, მაგრამ კავკასიაში გავრცელებულ ცირცელს ისინი მაინც ასხვავებენ ჩეულებრივი ჩრდილოეთის ცირცელისაგან, რადგან აღნიშნული აქვთ, რომ ფოთლები მხოლოდ ახალგაზრდობაში შებუსვილია და შემდეგში კი შიშვლდება.

1906 წელს *Schneider*-ის მიერ [68] აღწერილია სახეობა *S. Boissieri* Schn. ლაბისტანიდან; ეს სახეობა მას მოყვანილი აქვს აგრეთვე პონტიათვის, აფხაზეთისათვის და შესაძლებლად მიაჩნია კარჩხალის მთებისათვის: შნაიდერი ამ სახეობას ასხვავებს *S. aucuparia* L.-საგან და საფუძვლად უდებს შემდეგ ნიშნებს: კვირტების სიშიშვლე და წებოვანება, ფოთოლაკების მოყვანილობა ფართო-ელიასური შიშველი, ფოთოლაკები ფუძესთან თეთრი ბუსუსებით ან ხშირად ფოთოლაკის ქვედა მხარეზე მთავარ ძარღვთან ბუსუ-

სებით. ფოთოლაკთა დაკბილვა შნაიდერის აღწერით იწყება ფოთოლაკს უშუალესობაზე ნაწილიდან წვერისაკენ, სადაც ფოთოლაკის კიდე ოდნავ ხერხებილია მაგვეთრად დაკბილული ხერხებილა. შნაიდერი გამოსთვემს აზრს, რომ აღნიშნული მცენარე უნდა სცვლილს *S. aucuparia* L.-ს კავკასიაშით: „In Kaukasus *S. aucuparia* L. durch *S. Boissieri* vertreten.“

მედვედევს 1912 წ. [26] *S. aucuparia* L. მოჰყავს კავკასიის ალპური მხარეებისათვის და აღნიშნული აქვს სახესხვაობა var. *glabra* Medw. ცნობილია და მთა ბეჭტაუდან ტყის ზედა ზოლისათვის. მედვედევი აღნიშნავს აგრეთვე [24] *S. domestica* L.-ს, რომელიც ზოგიერთი დამკვირვებლის ცნობით იზრდება შავი ზღვის სანაპიროს ტყეებში და ბამბაკის ქედზე (დარაჩინის). ეს მონაცემები შემდეგ, როგორც ჩანს, არ გამართლდა და *S. domestica* L. კავკასიის ფლორისათვის სხვა მკვლევარების მიერ აღნიშნული არ არის, მხოლოდ კომაროვი [16] აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ეს სახეობა ნოვოროსიის იზრდებოდეს. *S. aucuparia* L.-ს მედვედევის [24] აღწერით ახასიათებს ქეჩურად შებუსვილი კვირტები, მოგრძო ლანცეტი მჯდომარე ფოთოლაკები, კიდეზე მახვილი ხერხებილა, რომელიც ახალგაზრდობაში შებუსვილია, ხოლო შემდეგში შიშვლდება. ყვავილედები ფარისებურად დატოტვილი და ქეჩურად შებუსვილი. ნაყოფი მონარინჯისფერო წითელი. მისგან განსხვავებულია და *var. glabra* Medw.-ს ფოთოლაკები, ყუნწები, ყვავილედის ყუნწები და ჯამი შიშველი აქვს, ნაყოფი კი მუქი წითელი ფერისა [26].

კორონოვი [6] 1924—25 წ. აღნიშნავს, რომ ჭინა ღროის ავტორები კავკასიაში გავრცელებულ ფრთართულ-ფოთლებიან ცირცელს აკუთვნდენ სახეობას *S. aucuparia* L., მაგრამ ეს საკითხი გამორკვევას მოითხოვს ისევე, როგორც *S. domestica* L.-ს გავრცელება კავკასიაში.

ვინოგრადოვ-ნიკიტინი [5] 1929 წ. თვლის, რომ კავკასიაში მხოლოდ *S. Boissieri* Schn. არის გავრცელებული მთავარ და მცირე კავკასიონზე და აღნიშნავს, რომ იგი გვხვდება 1600—2000 მტრ. ზღვის დონიდან და ხშირად აღის დეკასთან ერთად ალპურ სარტყელშიც. ამგვარად, შნაიდერის მიერ *S. Boissieri* Schn.-ის აღწერის შემდეგ, მხოლოდ ვინოგრადოვ-ნიკიტინი გამოსთვეამს აზრს, რომ კავკასიაში გავრცელებული ფრთართულ-ფოთლებიანი *Sorbus* L.-ები ერთ სახეობას ეკუთვნის, სახელდობრ *S. Boissieri* Schn.-ს და არა *S. aucuparia* L.-ს.

უკანასკნელ წლებში ა. ა. გრისჟეიმს [9] 1934 წ. თავის „Флора Кавказа“-ს პირველ გამოცემაში მოყვანილი აქვს როგორც *S. aucuparia* L., ისევე *S. Boissieri* Schn. მისი აღწერით პირველს მთლიანად დაკბილული ფოთოლაკები აქვს ფუძიდან ჭვერამდე, ხოლო მეორეს დაკბილვა ეწყობა ფუძიდან დაშორებით. პირველი სახეობა გავრცელებულია აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში და იმიერკავკასიაში. მეორე კი — დასავლეთ ამიერკავკასიაში.

ა. გასილიევის მიხედვით [4, 1938 წ.], რომელიც აფხაზეთის მასალებზე მუშაობს, ორივე სახეობა ფართოდ არის გავრცელებული აფხაზეთში, უმთავრესად ზედა ტყის სარტყელში და იშვიათად შუა სარტყელში 1400—1500 მტ-

ზღვის დონიდან; ვასილიევი S. Boissieri Schn.-ს ასხვავებს S. aucuparia L.-საგან იმით, რომ პირველს ფოთოლაკების დაკბილვა ეწყობა უტუმისული დაშორებით და ფოთოლაკი ქვედა მხარეზე ჯირკვლებით არის მოფენილი, მაშინ როდესაც მეორე სახეობის ფოთოლაკები უჯირკვლოა და მათი კიდის დაკბილვა იწყება ფუძიდანვე.

კოლაკოვსკის [15] 1939 წ. აფხაზეთისათვის მოყვანილი აქვს მხოლოდ S. aucuparia L. და სახეობა S. Boissieri Schn. ჩათვლილი აქვს დასახელებულის სინონიმად.

Sorbus L.-ების უკანასკნელი დროის მკვლევარი კომაროვი [16] 1939 წ. თვლის, რომ S. aucuparia L. გავრცელებულია იმიერკავკასიაში და აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში. მისი აღწერით S. aucuparia L.-ის ლეროს ქერქი გლუვი ნაცრისფერია, კვირტები ქეჩური შებუსვითაა, ფოთოლაკები შებუსვილი და მოგრძო ლანცეტია, დაკბილვა იწყება ფუძიდან დაშორებით. ყვავილედიც აღნიშნული აქვს შებუსვილად. შენიშვნაში კომაროვი გამოსტევამს აზრს, რომ კავკასიის ჭავებს გლუვი და საკმარისად მკვრივი ფოთოლებით, შედარებით ნამდვილ ჩრდილოეთის S. aucuparia L.-სთან არეალის მიხედვით უკავია კუნძულებრივი მდგომარეობა და შესაძლებელია დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდეს, რომელსაც ავტორი წინასწარ აძლევს სახელშოდებას Sorbus caucasigena Kom.; ააც შეეხება S. Boissieri Schn.-ს, კომაროვს ეს უკანასკნელი სახეობა, მოყვანილი აქვს დასავლეთ ამიერკავკასიისათვის. მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ავტორი სთვლის თითისტარისებურ შიშველ და წებოვან კვირტებს, ფოთოლაკებს ფართო-ელიპსურს, 2 სმ-ზე ცოტა ფართოს, მკვრივსა და შიშველს, ფუძესთან და ქვედა მხარეზე მთავარ ძარღვებთან შებუსვილს. ჯამის ფოთოლაკების კიდე უწამწამო და უბუსუსო, ყვავილედი შიშველია.

მაშასაღამე, უახლოეს დროში გამოქვეყნებულ შრომებში ის აზრია გატარებული, რომ კავკასიაში იზრდება ორი სახეობა: S. aucuparia L. მთავარ კავკასიონის ქედზე და აღმ. ამიერკავკასიაში და ის შესაძლებელია ახალ სახეობას წარმოადგენს; დასავლეთ ამიერკავკასიაში კი მეორე სახეობა S. Boissieri Schn. იზრდება.

ჩვენი კვლევის შედეგად შემდეგ დასკვნამდე მივედით: Aucuparia Medik.-ის სექციდან საქართველოში 4 სახეობა იზრდება: 1. Sorbus caucasigena Komarov et Gatschetschiladze მთავარ კავკასიონზეა გავრცელებული; 2. Sorbus Boissieri Schn. მცირე კავკასიონზე; 3. S. adscarica Gatschetschiladze აღწერილია აჭარიდან და 4. სახეობა S. bachmarenensis Gatsch. აღწერილია გურიიდან.

ის სახეობა, რომელიც მთავარ კავკასიონზეა გავრცელებული და თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ყველაზე უფრო უახლოვდება ჩრდილოეთის S. aucuparia L.-ს, უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელის გეოგრაფიულად შემცვლელ სახეობად S. caucasigena Komarov et Gatsch. სახელშოდებით. ჩრდილოეთის S. aucuparia L. ჩვენი სახეობისაგან განსხვავდება მთელი რიგი მორფოლოგიური ნიშნებით: ფოთოლების სიბატარავე და ფოთოლაკების სინაზე,

შედარებით *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-სთან, და, რაც მთვარეების ძლიერი თითქმის ქეჩური შებუსვა ფოთოლაკებისა ქვედა მხარეზე, ბატუმის ტებისა და ყვავილედის. ეს ნიშნები მთავარ კავკასიონზე გავრცელებულ მცენარეს არ ახასიათებს. გარდა მისა *S. aucuparia* L. ფოთოლაკთა დაკბილვის ხასიათითაც განიჩევა *Sorbus caucasigena* Komarov et Gatsch.-საგან; პირველის დაკბილვა იწყება ფუძიდან და კბილები წვეტიანი მახვილია. *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ის ფოთლები შედარებით უფრო გრძელია და ფართო; ფოთოლაკები უფრო გრძელი, ფართო, უხეში, გლუვი და მკვრივია; დაკბილვა იწყება როგორც ფუძიდან, ისე ფუძიდან საკმაოდ დაშორებით. ბუსუსები უმთავრესად ფოთოლაკის ქვედა მხარეზე გაფანტული ან მხოლოდ მთავარ ძარღვებზე, იშვიათად სულ შემცველია. ასევე კვირტები და ყვავილებიც. გადასინჯული მასალების დამუშავების საფუძველზე, ფლორა СССР-ის IX ტომის გამოქვეყნებამდე, მთავარ კავკასიონზე გავრცელებულ სახეობას მივციო ახალი სახელწოდება *S. magnocaucasica* Gatsch. მაგრამ ფლორა СССР IX ტომის (1939) გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ საჭიროდ ვცანით კავკასიის სახეობისათვის დაგვეტოვებინა სახელწოდება *S. caucasigena* Komarov, რადგან ეს უკანასკნელი უკვე შესულია ლიტერატურაში (ფლორა СССР, IX, 1939, 377) და გროსჟეიმის მიერაც მოხსენებულია დიკის ცედონის რაც კავკაზია (Кавказа, 1942); ხოლო ამ შრომაში ჩვენ მიერ მოცემულია ამ სახეობის სრული ლათინური დიაგნოზი, რადგან აკად. კომაროვის მიერ მოცემული სახელწოდება *S. caucasigena* Kom. nomen nudum-ს წარმოადგენს.

ლენინგრადში საკავშირო აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის პერბარიუმის მასალებთან ჩვენი მასალების შედევგად გამოირკვა, რომ ნაკლებად შებუსვილი *S. caucasigena* Komarov et Gatsch. უახლოვდება ციმბირის იმ ეგზემპლარებს, რომლებიც *S. aucuparia* L.-ის სახელწოდებით ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტშია დაცული. ჩვენი აზრით ეს ეგზემპლარები დამოუკიდებელ სახეობას *S. Sibirica* Hedd.-ს უნდა მიეკუთხნოს და ციმბირში, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს უკანასკნელი სახეობაა გავრცელებული, რომელიც ჩვენი სახეობისაგან უფრო წვრილი ფოთოლაკებით და თითქმის შიშველი კვირტებით და ფოთოლაკებით განსხვავდება. ჩვენს სახეობას კვირტები არასოდეს არ აქვს ისეთი შიშველი და ფოთოლაკებიც ქვედა მხარეზე ცოტად თუ მეტად შებუსვილია.

რაც შეეხება მცირე კავკასიონზე გავრცელებულ *S. Boissieri* Schn.-ს, აკარიდან ჩვენ მიერ აღწერილ *S. adscharica* Gatsch.-ს და იგრეთვე გურიიდან აღწერილ *S. bachmarense* Gatsch.-ს, *S. caucasigena* Komarov et Gatsch. მათგან უმთავრესად შემდეგი ნიშნებით განსხვავდება: უფრო პატარა ზომის შებუსვილი კვირტებით, ფოთოლაკთა ფორმით, ზომით, დაკბილვის ხასიათით და განცალკევებული არეალით. *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ის გავრცელების არეალია მთავარი კავკასიონის ქედი და მისი კონტრფორსები იმიერდა ამიერკავკასიაში. იზრდება სუბალპურ სარტყელში 1600—2400 მტ. სიმალლეზე ზღვის დონიდან, უფრო ხშირად სუბალპურ არყნარებში *Betula Litwinowii* Doluch და *B. verrucosa* Ehrh.-საგან შექმნილ ასოციაციებში, აღმ.

სავლეთ კავკასიონზე *Betula Raddeana Trautv.*-საგან შექმნილ ფორმაციაში ანდა წმინდა დეკიანებში, იშვიათად ეშვება ზღვის დონიდან 1400 მ მდე სამხრეთ ლეზე, სადაც ზოგჯერ *Corylus avellana L.*-სა და *Salix Caprea L.*-სთან ერთად გვხვდება.

სახეობა *S. Boissieri Schn.* ჩვენი გამორკვევით გავრცელებულია მხოლოდ მცირე კავკასიონზე, ეს სახეობა განსხვავდება მთაგარ კავკასიონზე გავრცელებულ *S. caucasigena Komarov et Gatsch.*-საგან კვირტების ფორმით და ზომით. პირველის კვირტები გაცილებით დიდი და თითოსტატისგანმდებრი ფორმისაა, შიშველია და წებოვანი, მაშინ როდესაც *S. caucasigena Komarov et Gatsch.*-ს არასოდეს ორ აქვს წებოვანი კვირტები და უფრო ხშირად კვირტები შებუსვილია. ღეროს ქერქი *S. Boissieri Schn.*-ისა ხშირად მურაშითვლია და *S. caucasigena Komarov et Gatsch.*-ის ქერქი კი უფრო მონაცრისფეროა.

S. Boissieri Schn.-ს ფოთოლაკები ფორმით ფართო-ელიპსურია, თითქმის შიშველია, ფუძესთან მოთეთრო ბუსუსი აქვს და ხშირად მთაგარ ძარღვსაც გასდევს ბუსუსები. ყვავილედი თითქმის სულ შიშველია. თუ შევაღარებთ *S. Boissieri Schn.*-ს *S. aucuparia L.*-სთან, მათ შორის მსგავსება უფრო ნაკლებია; ეს შეეხება უმთავრესად ფოთოლაკების ზომას და ფორმას და *S. aucuparia L.*-ის კვირტების, ყვავილების ქერქურად შებუსვას. კავკასიის ავტორებისაგან უმეტესობა განსხვავებას ამ ორ სახეობათა *S. aucuparia L.*-სა და *S. Boissieri Schn.*-ს შორის ფოთოლაკის დაკბილვის ხასიათში პოულობდნენ. გროს ჰერბარიუმის მიხედვით [9] კავკასიის *S. aucuparia L.* იმით განსხვავდება *S. Boissieri Schn.*-ისაგან, რომ პირველს დაკბილვა ეჭყება ფუძიდან, მეორეს კი ფუძიდან დაშორებით. ეს სხეობა მხედველობაში მისაღებია ნაძლევილ *S. aucuparia L.*-ის შედარების დროს *S. Boissieri Schn.*-სთან, როგორც ამას აღნიშნავდა *S. Boissieri*-ის ავტორი *Schneider*-ი [68].

კავკასიაში გავრცელებულ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ვხვდებით მეტად განსხვავებულ ფოთოლაკის დაკბილვას, რომელიც იშვება როგორც ფუძიდან, ისე ფუძიდან დაშორებით და ეს ნიშანი საერთოდ ვარიაციას განიცდის. განსაკუთრებით ეს ნიშან-თვისება მერყევია სახეობა *S. caucasigena Komarov et Gatsch.*-ის ფარგლებში [იხ. სურ. № 7].

შნაიდერის მიერ *S. Boissieri Schn.* აღწერილია ლაზისტანიდან 1906 წ. [68]. ამავე სახელწოდებით შნაიდერს მოჰყავს აგრეთვე აღმოვის ეგზემპლარი თეხაზეთიდან, მაგრამ შნაიდერი ამ უკანასკნელს ასხვავებს ლაზისტანის *S. Boissieri Schn.*-ისაგან დაკბილვით, კბილები მისი აღნიშვნით ამ ეგზემპლარს უფრო უხეში აქვს, ვიდრე ეს *S. Boissieri Schn.*-ს ხასიათებს. იმავე სახეობისათვის მას მოჰყავს კიდევ ეგზემპლარი კარჩხალიდან, რომელიც აგრეთვე დაკბილვით განიჩევა ლაზისტანის ეგზემპლარისაგან. პაბიტუსით *Schneider*-ი *S. Boissieri Schn.*-ს ამსგავსებს *Wilsoni*-ს მიერ დასავლეთ ხუბიდან (ჩინეთი) შეგროვილ მცენარეს, რომელიც აღწერილია *Sorbus Wilsoniana Schn.*-ის სახელწოდებით, მაგრამ ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, განსხვავდება *S. Boissieri Schn.*-ისაგან შებუსვილი ყვავილედებით, რაც *S. Boissieri*

Schn.-ს არ ახასიათებს, და უფრო პატარა ფოთოლაკებით, რომლებიც ფანტაზია დათანხმით წაწვეტილია, ქვედა მხარეზე ლეგა ფიცქითაა დაცარული მწერების შედეგად სამხრეთ ამიერკავკასიაში და ლაზისტანში ფართოდა გაერცელებული ერთი სახეობა, რომელიც *S. Boissieri Schn.*-ს უნდა მიეკუთვნოს. ის ეგზემპლარები, რომელიც ჩვენ ხელ გვქონდა აფხაზეთიდან, წარმოადგენენ *S. caucasigena Komarov et Gatsch-*ს (ტაბ. № 2).

აფხაზურიიდან ჩვენ მიერ აღწერილ სახეობიდან *S. Boissieri Schn.* უფრო უახლოვდება *S. adscharica Gatsch.*-ს, მაგრამ ამავე დროს მისგან მკვეთრად განსხვავდება ფოთოლაკების ფორმით, რომელიც მოელიტურო ლანცეტია და შედარებით უფრო ვიწროა, ვიდრე ეს *S. adscharica Gatsch.*-ს აქვს; უკანასკნელს მოგრძო-კვერცხნაირი და ფართო ფოთოლაკები ახასიათებს. *S. adscharica Gatsch.* მთლიანად შიშველია, *S. Boissieri Schn.*-ის ფოთოლაკები ქვედა მხარეზე მთავარ ძარღვთან ხშირად შებუსვილი აქვს და ნაყოფი მომრგვალო-კვერცხნაირი ფორმისაა, მაშინ როდესაც *S. adscharica Gatsch.*-ს მოყვანილობით ვაშლის მსგავსი ნაყოფები ახასიათებს. სახეობა *S. bachmarenensis Gatsch.* კარგად განსხვავდება ფოთოლაკებით, რომელიც უკულმაკვერცხნაირი ფორმისაა და კიდევ მოყვილებული ხშირი კბილები აქვს, რომელიც ზევითაა აშვერილი და გადაღუნული წვეტებით ბოლოვდება. *S. bachmarenensis Gatsch.* აგრეთვე მთლიანად შიშველია და ნაყოფებიც კასრისებური ფორმისაა.

S. bachmarenensis Gatsch. და *S. adscharica Gatsch.* შედარებით უფრო დაბალ სარტყელში იზრდება, ვიდრე *Sorbus Boissieri Schn.* ეს უკანასკნელი უმთავრესად ზოვის დონიდან 1500 მტ. ზევითაა გაერცელებული. მისი გეოგრაფიული გაერცელებაა: სამხრეთი ამიერკავკასია და მცირე აზია (ლაზისტანი). იზრდება სუბალპურ სარტყელში, 1500—2300 მტ. ზოვის დონიდან, იშვიათად ტყის სარტყელში ჩამორის 700 მტ.-მდე, უფრო ხშირად გვხვდება სუბალპურ არყნართა ასოციაციებში, დეკიანებში და უფრო იშვიათად კი კოლხეთის ტყეებში მარად-მწყანე ქვე-ტყით.

აფხაზი ჩვენ მიერ აღმოჩენილია მცენარე, რომელიც გამოყოფილი გვაქვს *Sorbus adscharica Gatsch.*-ის სახელშოდებით. ეს უკანასკნელი *S. Boissieri Schn.*-ისაგან მკვეთრად განსხვავდება. *S. adscharica Gatsch.*-ის ფოთლები და ფოთოლაკები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ზემოთ დასახელებული სახეობისა. გარდა ამისა ფოთოლაკები ფართო მოგრძო-კვერცხნაირია და ძლიერ ასიმეტრიული ფუძე აქვს, რომლის ცალი მხარე ნახევარი კი მომრგვალებულია. კვირტები კონუსურია და შიშველი, ხოლო წვერში ძლიერ შესამჩნევი ბუსუსიანი. რაც შეეხება ყვავილედს და ფოთოლაკებს, *S. Boissieri Schn.*-ისაგან განსხვავდით მთლიანად შიშველია. ნაყოფი განსხვავებულია *S. Boissieri Schn.*-ის ნაყოფი-საგან, ვაშლის ფორმისაა, მისი ფუძე და ბოლო შებრტყელებულია, ამის გამო სიგანე სჭარბობს სიგრძეს. *S. Boissieri Schn.*-ის ნაყოფი მომრგვალო-კვერცხნაირია.

S. adscharica Gatsch. გავრცელებულია აჭარაში, ხულოს რაიონში (მცირებული კავკასიონი). *Sorbus adscharica* Gatsch. იზრდება 1300—1350 მტ—ტყე-ტყე-ტყეში. შერეულ ტყეში, რომელშიც ქვე-ტყე შექმნილია ხშირ გაუვალ *Corylus avellana* L.-ის და *Prunus Laurocerasus* L.-ის შალდამებით. აღილ-აღილ *Rhododendron ponticum* L.-ის შალდამებში, შექრთან ერთად I იარუსში აღნიშნულია *S. adscharica* Gatsch.-ის *Picea orientalis* Link. *Tilia* sp. და სხვა.

ბახმაროს მიღამოებში ჩვენ მიერ აღმოჩენილია და აღწერილია სახეობა *Sorbus bachmarenensis* Gatsch.-ის სახელშოდებით. როგორც *S. Boissieri Schn.*-ისაგან, ისე *S. adscharica* Gatsch.-ისაგან ახალი სახეობა შემდეგი მთავარი ნიშნებით განსხვავდება: *S. bachmarenensis* Gatsch.-ის ფოთოლაკები უკულმა-კვერცხნაირია და სოლისებურად შევიწროვებული ფუძე ახასიათებს, მკვეთრად გამოსახული ნერვაცია და *S. adscharica* Gatsch.-ის მსგავსად მთლიანად შიშველია, ფოთოლაკი კიდე-დაკბილულია და წვრილი, ხშირი ზევით გადაღებული კბილებით ხასიათდება. ნაყოფი კასრისებური ფორმისაა, მაშინ როდესაც *S. Boissieri Schn.*-ს მომრგვალო კვერცხნაირი ფორმის ნაყოფები აქვს და *S. adscharica* Gatsch.-ის ნაყოფები კი კაშლის ფორმისაა. გვხვდება გურიაში, ბახმაროს მიღამოებში. გავრცელებულია ტყის სარტყელში ზღვის დონიდან 1100 მტ-დან 1400 მტ-დან, შერეულ ტყეში და წიფლნარებში მარად-მწვანე ქვე-ტყით, რომელიც შექმნილია უმთავრესად *Rhododendron ponticum* L.-ისაგან, ზოგჯერ *Rhododendron ponticum*-ისა და *Prunus Laurocerasus* L.-ისაგან. ამ ტყეებში აღნიშნულია იგრეთვე *Castanea sativa* Lam., *Acer platanoides* L. და სხვ. ზოგჯერ *S. bachmarenensis* Gatsch. გვხვდება, *Rhododendron ponticum* L. და *Prunus Laurocerasus* L.-ის შალდამებში (ტაბ. № 1).

დასახელებულ სახეობათა გარდა კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგ ფორმათა აღწერა: *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ისაგან გამოყოფილი გვაქს 4 ფორმა:

1. *forma subintegerrima* Gatsch., რომლის ფოთოლაკები ვიწროა და დაკბილვა თითქმის არ ემჩნევა. ყვავილობის დროს ყვავილედი შებუსვილია ქერქურად. შეგროვილია ყაზბეგში და მოითხოვს შემდგომ შესწავლას.

2. *f. terminali-denticulata* Gatsch. ვიწრო ფოთოლაკებით, დაკბილვა იწყება ზუა ნაწილის ზემოთ. შეგროვებულია ყაზბეგის მიღამოებში.

3. *f. longifoliolata* Gatsch. გრძელი ფოთოლაკებით, კიდე ორმაგი ხერხბებილა, დაკბილვა იწყება ფუძილან. შეგროვებულია ყაზბეგის მიღამოებში.

4. *f. versicolor* Gatsch. ფოთოლაკები ორმაგ-ხერხბებილა, ზედა მხარე მწვანეა და ქვედა მონაცრისფერო, შებუსვილია. აღებულია შოვის მიღამოებიდან.

სახეობა *S. Boissier Schn.*-იდან გამოყოფილია ერთი ფორმა *f. apicidenticulata* Gatsch., რომლის ფოთოლაკები მხოლოდ წვერშია დაკბილული. შეგროვებულია აჭარაში და ბახმაროს მიღამოებში.

S. adscharica Gatsch.-იდან გამოყოფილია f. *totali-denticulata* Gatsch., რომლის ფოთოლაკების დაკბილვა იშეუძლია ფუძიდან და კბილები უფრო მსხვილია. აღებულია აჭარაში.

როგორც ხედავთ, ჯერ-ჯერობით ფორმათა მეტი რაოდენობა გამოყოფილია მთავარ კავკასიონზე გავრცელებული სახეობიდან, *S. caucasicigena* Komarov et Gatsch.-იდან, რომელიც შედარებით სხვა სახეობებთან უფრო მეტ პოლიმორფიზმს იჩენს. ზემოთ დასახელებული ფორმები განსაკუთრებულ ეკოლოგიურ პირობებში კი არ არის ნახული, არამედ ვეხვდება თითქმის ერთსა და იმავე აღვილებზე და, როგორც ჩანს, ფორმათა წარმოქმნა ამ შემთხვევაში ექოლოგიურ დიფერენციაციას არ ემორჩილება. სახეობა *S. caucasicigena* Komarov et Gatsch.-ს ემჩნევა აგრეთვე ერთსა და იმავე ეგზემპლარზე განსხვავებული ფოთოლაკები მათი განვითარების სტადიის მიხედვით (იხ. სურ. № 7).

ახალგაზრდა ტოტებზე არსებული ფოთოლაკები განსხვავებულია ძველ ტოტებზე არსებული ფოთოლაკებისაგან, პირველზე ფოთოლაკები უფრო ღრმად ჩაჭრილ კბილებს იყითარებს და ძლიერ შებუსვილია. აღსანიშნავია, რომ მცირე კავკასიონზე გავრცელებულ სახეობებზე ასეთი სხვაობა ახალგაზრდა ყლორტზე და ძველ ტოტებზე განვითარებულ ფოთლებს შორის ჯერ-ჯერობით შემჩნეული არ არის.

პიგილების შასეაჭლის სსმორის

მთელი რიგი ავტორები ლოზოვსკი [23], ცინზერლინგი [40], სოსნოვსკი [38], გროსჟეიმი [9] და სხვა მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ *Sorbus* L.-ის გვარში შემავალი სახეობანი, და მათ შორის *S. aucuparia* L., იძლევიან ჰიბრიდებს არა შარტო სახეობათა შორის, არამედ *Rosaceae* Juss.-ის ოჯახის სხვა მონათესავე გვართა სახეობებთან. ლოზოვსკის [23] მოყვანილი აქვს შრედერის მითითება, რომ ჭავეს, თანაბრად კუნელისა, ასეკილისა, ტირიფისა და ალვის ხისა, მიღრეკილება აქვს წარმოქმნას ჰიბრიდები, უმთავრესად თუ ყვავილობის ღროს რამდენიმე სახეობა არის ერთმანეთის ახლოს. გენეტიკურად ცირცელი ახლომდგომია გვარ *Crataegus* L.-სთან, *Amelanchier* Med.-სთან, *Aronia* Persoon. p. p.-სა და *Pyrus* L.-სთან. ლიტერატურაში აღნიშნულია ამ უკანასკნელი გვარის წარმომაზგნელთა და ცირცელის სახეობათა შორის ჰიბრიდების არსებობა [23].

კავკასიის ფლორის ლიტერატურაში ჰიბრიდების საკითხი შემდეგნაირად არის გაშუქებული. კავკასიისათვის მოყვანილი იყო სახეობა *Sorbus Scandica* Fr., რომელიც შედის *Aria* D. C.-ის სექციის ქვე-გვარში *Hahnia* Medik.

ლიპსკი [22] აღნიშნავს დასახელებული სახეობის შესახებ, რომ *S. Scandica* Fr.-ის მშვენიერი და საცვებით ტიბიური ეგზემპლარები შეგროვილია დაღისტანში, სამხრეთ ფერდზე ჩახმარ-დაგისა 4000'-ზე, 15 ივლისს 1898 წელს აღქვენებული მიერ. შირია ავგ [45] აღნიშნული აქვს, რომ მის მიერ ნახულია ბეშტაუს მთაზე სუბალპურ მდელოთა შორის ხეები, რომლებიც მისი აზრით უნდა მიეკუთვნოს არა *S. aria* Crantz.-ის სახეობას, არამედ *S. Scandica* Fr.-ს, რადგან, ამბობს იგი, ყველა ნიშნებით უახლოვდება ვოლ-

ფის და პალიბინის სარკვევში აღნიშნულ უკანასკნელი სახეობის ნიშნებს და გან-
სხვავდება იმ საპერბარიუმო მასალისაგან, რომელიც სახეობა *S. aria* Crantz.-ის
ეკუთვნის, მაგრამ სოსნოვსკი [38] და ვოლფი აღნიშნულ ეგზემპლარებს
ჰიბრიდად სოვლიან. ვოლფის [40] (მოგვავს ცინზერლინგის მიხედვით).
S. Scandica Fr.-ის საპერბარიუმო ეგზემპლარზე აღნიშნული აქვს *S. aria* Crantz.
S. terminalis L., ხოლო სოსნოვსკი [38] თავის რეფერატში (ზირიავის
შენიშვნის შესახებ) აღნიშნავს, რომ ბეშტაუსათვის მოყვანილი *S. Scandica*
Fr. უნდა წარმოადგენდეს *S. aucuparia* L. და *S. aria* Crantz-ის ჰიბრიდს,
მაგრამ სამწუხაროდ შირიავები არ მიუთითებს იმ გარემოებაზე აქვს თუ
არა ნანახი *S. Scandica* Fr.-სთან ერთად სახეობა *S. aria* Crantz. და *S. aucu-
paria* L.-ის ეგზემპლარები, რაც დამადასტურებელი იქნებოდა ზემოთ მოყვანილი
აზრისა. სოსნოვსკი [38] გამოსთვემს აზრს, რომ ფორმები, მოყვანილი
მრავალი ავტორის მიერ კავკასიისათვის *S. Scandica* Fr.-ის სახელწოდებით,
უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ჰიბრიდს *S. aria* Crantz.-სა და *S. aucuparia*
L.-ს შორის და ამობძს, რომ მას არა ერთხელ უნახავს სახეობა *Sorbus* *Scandica* Fr.-ის მსგავსი ფორმები *S. aria* Crantz. და *S. aucuparia* L.-ის მეზობ-
ლად. შირიავების აზრით მის მიერ მოყვანილი *S. Scandica* Fr.-ის ადგილ-
სამყოფელი არის უკიდურესი ჩრდილოეთი კავკასიისათვის, ხოლო რეფერენ-
ტის თქმით მის მიერ აღებულია ისეთივე ფორმა კიდევ უფრო შორს ჩრდი-
ლოეთისაკენ, სახელდობრ ორ-ძმის მთაზე ტუაბსეს ლოქში.

მეღვე დევს [24] *S. Scandica* Fr. მოჰყავს ჩრდილოეთ კავკასიისათვის
(ბეშტაუს მთებისათვის) და ამიერკავკასიისათვის (ყოფ. შუშის მაზრისათვის-
ლისოვორსკიდან და ყოფილი ნუხის მაზრისათვის მდ. შინ-ჩაის სათავეებიდან).

როგორც ვხედავთ, დასახელებული სახეობა როგორც ჰიბრიდი ჰიბრიდი ჰიბრი-
დად ვოლფის მიერ იყო აღნიშნული ეტიკეტზე და სოსნოვსკის შიერ
მითითებულია ლიტერატურაში. ცინზერლინგი [40] ემხრობა სოსნოვსკის
შეხედულებას და არ იჩიარებს ეოლფის დიაგნოზს. ავტორი აღნიშნავს, რომ
S. Scandica Fr.-ის სახელწოდებით ცნობილი კავკასიის ეგზემპლარები *Aucu-
paria* Medik. და *Aria* D. C.-ის სექციების წარმომადგენელთა შეჯვარების
შედეგად წარმოიშვნენ, შესაძლებელია სახეობა *S. graeca* (Spach.) Hedl.-სა
და *S. aucuparia* L.-ს შორის, მხოლოდ ამ შეჯვარებამ მოგვეა მყარი შოამო-
მავლობა, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება.

ასეთია სახეობა *S. caucasica* Zinserl., რომელიც წარმოადგენს ლიპსკის
S. Scandica Fr.-ს და გავრცელებულია წინაკავკასიაში, დაღისტანში, აღმო-
სავლეთსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში.

S. armeniaca Hedl. გავრცელებულია სამხრეთსა და აღმოსავლეთ ამიერ-
კავკასიაში უფრო გვიან (Флора СССР, IX, 1939, 396). ცინზერლინგი [41]
აღწერილი აქვს ყარაბალიდან სახეობა *S. dualis* Zinserl., რომელიც შესაძლე-
ბელია *S. armenica* Hedl.-ისა და *S. aucuparia* L.-ის შეჯვარების შედეგად
წარმოიშვა. ეს სახეობა ავტორს აღმოსავლეთისა და სამხრეთი ამიერკავკასიი-
სათვის მოჰყავს. ამის გარდა ცინზერლინგი თვლის, რომ *Aria* D. C.-ის
და *Aucuparia* Medik.-ის სექციათა წარმომადგენლების ერთ ტერიტორიაზე,

გვრცელების შედეგად პიბრიდები წარმოიშვება, რომლებიც ნახულებადასეფი ლეთ, აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში. ნამდვილი S. Scandica Fr. ცინზერლინგის [41] მიხედვით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ველურად არ გვხდება და გვრცელებულია მხოლოდ ბალტიის ზღვის მოსაზღვრელ მდებარე ქვეყნებში. გროს ჰერც მს [9] ნამდვილი S. Scandica Fr. მოყვანილი აქვს როგორც S. Suecica (L.) Krok. et Almqvist, რომლის სინონიმად სთვლის სახეობა S. intermedia Pers.-ს და S. Scandica Fr. სოჭისათვის; ავტორი მას აქვთ კულტურულ მცენარედ სთვლის, ველურად დასახლებული სახეობა, როგორც ჩანს, კავკასიის ტერიტორიაზე სრულიად არ გვხდება. მას მოყვანის ავტორი ავტორი S. caucasica Zinserl., რომელიც S. Scandica Lipsk.-ის იდენტურია. გროს ჰერც მს [9] შენიშვნაში Sorbus L.-ების პიბრიდები აქვს მოყვანილი. სომხეთში, ერევანში ნახულია პიბრიდი S. aucuparia L.-სა და S. umbellata Fritsch.-ს შორის, რომელსაც ფოთლები ქვედა მხარეზე მონაცრისფერო ქეჩური აქვს. ზოგი ფოთოლთაგანი რთული-ფრთართული აქვს, ზოგი ფოთლები ქვევით-ფუძიდან რამდენიდმე დაშორებული ნაწილებისაგან არის შემდგარი, ხოლო წვეროსაკენ ღრმად დანაკვთულია. ჩვენ მიერ ველად მუშაობის დროს Sorbus L.-ის სახეობათა შორის მიღებული პიბრიდი ბუნებაში ნახული არ არის. რაც შეეხება საპერბარიუმო მასალას, რომელიც დაცულია თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში, აღმოჩნდა ლევან დოვსკის მიერ აღებული ეგზემ-პლარები ყარაბაღიდან და სოსნოვსკის მიერ აღებული მასალა, ყოფილი ოლთისის ოქტიდან. ეს მასალები, როგორც ჩანს, პიბრიდებს წარმოადგენენ S. aucuparia L.-სა და Aria D. C.-ის სექციის ერთ-ერთ წარმომადგენელთან.

გვარ SORBUS L.-ს ნარმომაღვენელთა გეოგრაფიული გავრცელება და საქცია AUCUPARIA MEDIK.-ს ნარმომაღვენელთა მაპრაცხის გზები

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, განსაკუთრებით კოსეციის [17] შრომის მიხედვით, გვარი Sorbus L. უძველეს გვარს წარმოადგენს, რაც უმთავრესად პალეობოტანიკური მასალით მტკიცდება. გვარი Sorbus L. უნდა ყოფილიყო ფართოდ გვრცელებული მესამეულ პერიოდში და იმ ფლორის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც მეზოფილური სასიათის ფოთლებ-მცველებს ტყეებს ჰქმნიდა. ენგლერი მას არქტო-მესამეულ ფლორას უწოდებს, ხოლო კრიშტოფოვიჩი ტურგაიულ ფლორას [20].

მესამეული პერიოდის პირველ ნახევარში (პალეოგენი) დასახელებული ფლორა პფარავდა დიდ ტერიტორიას, რომელიც შეიცავდა შუა ციმბირს, თურქეთსა ტანას, მანჯურიას, კორეას, სახალინსა და იაპონიას, ჩრდ. ამერიკას, ალიასკას. ეს ფლორა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა და მესამეულის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში და კავკასიაში გვრცელდა. პალეობოტანიკური მონაცემების სიმცირისა გამო ამომწურავი პასუხის გაცემა Sorbus L. გვარის და მის მონაფეხსვე გვარების წარმოშობაზე, მათ ევროპული პროცესზე ძნელია. მოსალონგოს (კოსეციის მიხედვით) [17], საპორტას [66], პალიბინს [31, 32] და კრიშტოფოვიჩს [18, 19] Sorbus L. გვარის წარმომადგენელი ნახული

აქვთ მესამეული და მეოთხეული ხანის ნამარხებში, ევროპასა და კავკასიაში¹¹¹, მაგალითად, Mossalongo [კოსტესის მიხედვით, 17] 1859 წელს პირველად დასავალი ცნობილი ცნობებს მესამეული ხანის ნამარხებზე, მას *Sorbus L.* გვარის წარმომადგენელი აღწერილი აქვს *Crataegus dyssenterica* და *Pyrus paleoaria*-ს სახელწოდებით, რომელიც აღმოჩენილია იტალიაში მიოცენურ ნალექებში. იგი გამოსთვამს აზრს, რომ დასახელებული სახეობანი დღევანდელი სახეობების წინაპრებად უნდა ჩაითვალოს. პირველი *S. terminalis* (L.) Crantz.-ისათვის, მეორე კი *S. aria* Crantz.-ისათვის. ფრანგი პალეობოტანიკოს *Saporta* [66, 1888 წელი] უერთდება მოსალონგოს აზრს და აღნიშნავს, რომ მოსალონგოს მიერ აღწერილი ორი სახეობა ნამდვილად არის წინაპარი თანამედროვე *Sorbus L.*-ებისა და *Pyrus paleoaria* ნახულია იტალიის კიდევ სხვა ადგილას, სახელდობრ ტოსკანის მიოცენურ ნალექებში.

ნამარხი *Sorbus L.*-ები აღმოჩენილია აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო რაიონში სარმატის ფლირაში მდინარე კრინიკას აუზში.

კრიზტოფოვიჩის [19] აღწერილი იქვს ნამარხის ორი ახალი სახეობა: *S. praetinalis* და *S. praegraeca*. რომლებიც ძალიან უახლოვდებიან ახლანდელ *S. aria* Crantz. და *S. terminalis* (L.) Crantz.-ს.

S. aria Crantz. ნაპოვნია მესამეულის ახალგაზრდა ნალექებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. Braun-Blanquet [51] ეყრდნობა ფრანგი *L'Abbe*-ს მონაცემს და აღნიშნავს, რომ *S. terminalis* (L.) Crantz. არსებობდა გამყინვარებათა შორის პერიოდებში ცენტრალურ საფრანგეთში. პალიბინის [31, 32] და კრიზტოფოვიჩის [19] მონაცემებით *S. terminalis* (L.) Crantz. ნახულია გამყინვარების დროის ნამარხებში დუშეთის რაიონში, სახელდობრ ფასანაურში, ხოლო *S. aria* Crantz. მეოთხეული ხანის ნამარხებში დაღისტანში მახაჩალასთან. აგრეთვე კრიზტოფოვიჩის მიერ ყირიმის ტერიტორიაზე აღმოჩენილია *S. aucuparia* L., რომელიც უნდა მიეკუთვნოს ვიუშმის გამყინვარების ორინიაჟის ეპოქას. ამგვარად, მესამეულ ხანაში, სახელდობრ მიოცენის პერიოდში, გვარი *Sorbus L.* უფრო მეტად იყო გავრცელებული ევროპაში, ვიდრე თანამედროვე ხანაში.

Sorbus L. გვარის წარმოშობის ცენტრის გამორკვევის დროს კოსეცი [17] მხედველობაში იღებს სახეობათა მეტ კონცენტრაციას, აგრეთვე ქვე-გვარებს და სექციების რაოდენობას გარკვეული ტერიტორიისათვის. მას გამოყოფილი აქვს შემდეგი რეგიონები: არქტიკა, შუა ევროპა, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვის მხარე, შუა აზია, ჰიმალაი, ცენტრალური ჩინეთი, იაპონია, ჩრდილო-დასავლეთი ამერიკა.

ირკვევა, რომ არქტიკაში *Sorbus L.*-ის 7 სახეობა გვხვდება, შუა ევროპაში — 14, ციმბირში — 1, შორეულ აღმოსავლეთში — 7 სახეობა, ხმელთაშუა ზღვის მხარეში — 25, შუა აზიაში — 3, ჰიმალაიში — 6, ცენტრალურ ჩინეთში — 36 სახეობა, იაპონიაში — 10, ჩრდილო დასავლეთ ამერიკაში — 7, და ჩრდილო-აღმოსავლეთი ამერიკა 2 სახეობით ხასიათდება. ამგვარად, სახეობათა საერთო რიცხვიდან 93-დან 36 სახეობა ცენტრალურ ჩინეთშია გავრცელებული.

ქვე-გვარი *Eusorbus* Kom. ყველაზე მეტი სექციებით და სახეობით წარმოდგენილია ცენტრალურ ჩინეთში, სახეობათა რიცხვი 14-ს უდარცხულ გვარში ნიაში ეს ქვე-გვარი 8 სახეობითაა წარმოდგენილი. არეტიკაში 7 სახეობა გვხვდება, ჩრდილო და სავლეთ ამერიკაში — 7 სახეობა, შორეულ აღმოსავლეთში — 6 სახეობაა, ჰიმალაიაში და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში სამ-სამი სახეობაა, შუა ევროპასა და ჩრდ. აღმოსავლეთ ამერიკაში 2-2 სახეობაა, ციმბირი კი ერთი სახეობით არის წარმოდგენილი.

ქვე-გვარი *Hahnia* Medik.-ის სახეობები უფრო დიდი რაოდენობით მოცემულია ხმელთაშუა ზღვის მხარეში, სულ 22 სახეობაა, შუა ევროპაში 13 სახეობაა მოცემული, ცენტრალური ჩინეთი 4 სახეობით არის წარმოდგენილი, ჰიმალაიაში 3 სახეობაა და შუა აზიაში კი ორი სახეობა.

მესამე ქვე-გვარი *Micromeles* Decne.-ის სახეობათა მრავალფეროვნება მოცემულია ცენტრალურ ჩინეთში, ეს რიცხვი 18 უდრის, იაპონია კი 2 სახეობით არის წარმოდგენილი და შორეულ აღმოსავლეთში ერთი სახეობა გვხვდება.

მაშასალამე, *Sorbus* L. გვარში შემავალი სახეობები ყველაზე დიდი რაოდენობით ცენტრალურ ჩინეთშია თავმოყრილი, სადაც 36 სახეობა იზრდება. ამათგან უმეტესობა ეკუთვნის ქვე-გვარ *Micromeles* Decne და ქვე-გვარ *Eusorbus* Kom.

მეორე მხარე *Sorbus* L.-ების დიდი რაოდენობით დაჯგუფებისა არის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, სადაც 25 სახეობაა, განსაკუთრებით ქვე-გვარ *Hahnia* Medik.-ის წარმომადგენელნი.

გარდა ამისა ოჯახ *Rosaceae* Juss.-ის ქვე-ოჯახ *Pomoideae* Focke-ების გვარების გეოგრაფიული გავრცელების შესწავლით ირკვევა, რომ 18 გვარიდან 13 გვარი ცენტრალურ ჩინეთშია წარმოდგენილი. კოსეცე [17] მოცემული აქვს ტაბულა, რომელიც ასახავს ჩინეთში გავრცელებულ *Pomoideae* Focke-ებში შემავალ გვარების სახეობათა საერთო რაოდენობას და ცენტრალურ ჩინეთში და აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებულ თითოეული გვარის სახეობათა რაოდენობას.

<i>Pomoideae</i> Focke-ებში შემავალი გვარები	სახეობათა რაოდენობა თითოეულ გვარში	სახეობათა რაოდენობა გავრცელებული ჩინეთში და აღმ. აზიაში
1. <i>Cotoneaster</i>	51	35
2. <i>Pyrocantha</i>	4	4
3. <i>Ostemeles</i>	1	1
4. <i>Sorbus</i>	93	36
5. <i>Photinia</i>	8	8
6. <i>Stansesea</i>	1	1
7. <i>Eriobotrya</i>	1	1
8. <i>Raphiolepis</i>	1	1
9. <i>Malus</i>	27	17
10. <i>Docynia</i>	2	2
11. <i>Chaemomelius</i>	3	3
12. <i>Cydonia</i>	1	1
13. <i>Pyrus</i>	23	13

როგორც ტაბულიდან ირკვევა, 13 გვარიდან 9 გვარის უველა წარმომადგენელი გვევდება ჩინეთ-იაპონიაში და დანარჩენი 4 გვარიდან ერთგული გვევდება სახეობათა უმეტესი რაოდენობით ჩინეთ-იაპონიაში წარმომადგენილი, რაც აგრეთვე ადასტურებს Pomoideae Focke-ების წარმომობას აზის აღმოსავლეთ ნაწილიდან.

გარდა ამისა ცენტრალურ ჩინეთში *Sorbus* L. გვარის ენდემურ სახეობათა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში და 33-ს უდრის, აღმოსავლეთ აზიაში *Sorbus* L.-ის ენდემურ სახეობათა 9 წარმომადგენელი იზრდება. თავისებურება ცენტრალური ჩინეთისა გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ უველა სახეობა ქვე-გვარ *Micromelus* Decne.-ისა ენდემურია აღმოსავლეთ აზისათვის. ამგვარად, კოსეცი [17] იმ დასკვნამდე მიღის, რომ *Sorbus* L. გვარის წარმომობის ცენტრად უნდა ჩაითვალოს ცენტრალური ჩინეთი.

Sorbus L. გვარის მეორადი წარმომობის ცენტრად ავტორი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს სთვლის, რადგან *Sorbus* L.-ების სახეობათა კონცენტრაცია ძალის ქვეყნების საქმაოდ დიდია, სახელდობრ 25 სახეობით არის წარმოდგენილი. მაგრამ დასახელებული მხარე წარმომობის პირველად ცენტრად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ენდემური სახეობები ახალგაზრდა უნდემიზმს უნდა მიეკუთხნოს. ქვე-გვარებიდან მრავალი სახეობით მხოლოდ ქვე-გვარი *Hahnia* Medik. არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ქვე-გვარ *Micromelus* Decne.-ს, მისი წარმომადგენელი აქ სრულიად არ მოიპოვებან.

Eusorbus Kom.-ის ქვე-გვარიდან სუსტადაა წარმოდგენილი სექცია *Aucuparia* Medik.; ისტორიული გეოლოგიის თვალსაზრისითაც ხმელთაშუა ზღვის მხარე უფრო ახალგაზრდა, ვიდრე ცენტრალური ჩინეთი, ამიტომ ხმელთაშუა ზღვის მხარე უნდა ჩაითვალოს *Sorbus* L.-ების მეორადი წარმომობის ცენტრად.

განვიხილოთ, თუ რა მიგრაცია განიცადეს *Sorbus* L. გვარის წარმომადგენლებმა მესამეული პერიოდიდან დაწყებული დღემდე.

კოსეცი [17] *Sorbus* L.-ების გაერცელების მიგრაციას უკავშირებს ისეთი ტიპიური ტურგაიული ელემენტების გავრცელებას, როგორიც *Acer* L.-ების წარმომადგენლებია, მათი წარმომობის ცენტრი პოიარკოვას [34] მიხედვით არის ანგარის მატერიკის იაპონია-მაჯურიის ნაწილი. პოიარკოვას [34] მიხედვით მიგრაციის გზა სამი მიმართულებისა იყო. პირველი გზა არის ჩრდილო-დასავლეთის გზა, რომელიც მიიმართებოდა ციმბირის მთებიდან იაბლონის, საიანის და ალტაის მთებით. შემდეგ უძველეს ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე, სკანდინავიის მატერიკამდე და იქიდან ჩრდ. ატლანტიდით გრენლანდიაში და ჩრდ.-ამერიკაში. ჩრდილოეთ ევროპიდან მესამეული პერიოდის ნახევრიდან *Acer* L.-ების წარმომადგენელი გავრცელდენ შეა და სამხრეთ ევროპაში, შემდეგ აღმოსავლეთით მცირე აზის მთებით მიაღწიეს კავკასიას, ირანის მთებს და ლიგანს. მეორე გზა სამხრეთ-დასავლეთის გზაა, რომელიც მიიმართებოდა *Acer* L. გვარების წარმომობის ცენტრიდან ხინგანის, იშანის, ალაშანის, ნანზანის ქედებით ცენტრალურ ჩინეთის მთებამდე, საიდანაც მესამეული პერიოდის დასასრულს დასახლდნენ

ჰიმბლაიში და განაგრძობდნენ მიგრაციას თურქესტანის, ავღანისტანის და ჩინეთის მიმართულებით. ამგვარი მიმართულებები წიეს ელბრუსს და ოღმოსავლეთ ამიერკავკასიას (პოიარკოვას კავკასიაში დასახლებული *Acer* L.-ების შემოჭრა ორი გზით აქვს ასახული. ერთია ოღმოსავლეთის გზა—ცენტრალური აზიიდან, მეორე—დასავლეთ ევროპიდან მცირე აზიით). მესამე გზით ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით მიგრაცია შეუწყვეტლა გრძელდებოდა მესამეული პერიოდის განმავლობაში, ჩრდილო აღმოსავლეთ აზიიდან ჩრდილო ამერიკაში და იქიდან ატლანტიდით ეკრიპაში.

აღმოსავლეთი ნაწილი ევროპის მატერიკისა და ჩრდილო აღმოსავლეთი ამერიკა წარმოადგენდა კონტაქტურ ზონას, სადაც გვხვდებოდნენ წარმომადგენელნი, რომლებიც მიგრაციას განიცდიდნენ როგორც დასავლეთის გზებით.

კოსეცი [17] იზიარებს შეხედულებას *Acer* L.-ების მიგრაციისა ზემოთ დასახელებული გზების მიხედვით და ფიქრობს, რომ *Sorbus* L.-ებიც იმავე გზით უნდა გავრცელებულიყვნენ. *Sorbus* L.-ებმა მესამეულის პირველ ნახევარში დაიკავეს ანგარის მთელი მატერიკი. ჩრდილო-დასავლეთის გზით უნდა გავრცელებულიყვნენ ქვე-გვარი *Eusorbus* Kom.-ის წარმომადგენელნი, *Micromelus* Decne და *Hahnia* Medik.-ის წარმომადგენლებისათვის უფრო მისალებია მეორე გზა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. პირველმა ქვე-გვარმა ფართო მიგრაცია არ განიცადა, მეორემ კი დასახლა ხმელთაშუა ზღვის მხარეები, სადაც მთელი რიგი ახალი სახეობანი წარმოიშვა.

სხვა შეხედულებას იზიარებს ა. ა. გროს პერიოდი [10] კავკასიაში ბორჯ-ალური ფლორის ელემენტების შემოჭრის შესახებ. მისი აზრით ჩრდილოეთის ფორმების შემოჭრა კავკასიაში დაიწყო ჯერ კიდევ მესამეული პერიოდის დასაწყისში, სანამ მოხდებოდა ჩამოყალიბება არქტო-მესამეული ფლორის ძირითადი ბირთვისა. უშუალო გზა ჩრდილოეთიდან ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში დახურული იყო, ეოცენის და ოლიგოცენის დროის უზარმაზარი ზღვების აუზებით. უმთავრეს გზად მესამეულის დასაწყისში ჩაითვლება აღმოსავლეთის გზა ცენტრალური აზიიდან, რომელიც ნახევნები პერიოდი ჯერ კიდევ ენგლერს, ხოლო უკანასკნელად დასტურდება ბობროვის და პოიარკოვას იმ ნაშრომებით, რომლებშიც ავტორები ეხებიან არქტო-მესამეული ელემენტების მიგრაციის გზებს. იარმოლენკო [46] წერს, აღნიშნავს გრძელების მიმართულების გზა წარმოადგენდა ვიწრო კონტინენტალური ან არქიპელაგის ტიპის აუზს, აღმოსავლეთით მომიჯნავე ინდოეთის და ჩინეთის ამაღლებებით, დასავლეთით კი შეა ეკრიპას ტერიტორიით.

გროს პერიოდს [10] მოყვანილი აქვს აგრეთვე პოიარკოვას აზრიც საბჭოთა კავშირში *Acer* L.-ების მიგრაციის შესახებ, სადაც პოიარკოვა აღნიშნავს: „ოლიგოცენის დასასრულს და მიოცენის მანძილზე, მთების წარმოქმნის ძალის მეოხებით, ცალკეული კუნძულები იწყებენ ერთად შეერთებას და წარმოიქმნება, ამგვარად, ხიდი ცენტრალური აზიის მთებსა (კუნძული და ტიანშანი) და ავღანისტანის და ჩრდილოეთ ირანის მთებს შორის. აი, ამ ხიდით მიდიოდნენ *Paleogemmata* ელბრუსის მიმართულებით, სადაც დღე

ჩვენ ვხვდებით *Acer velutinum* Boiss.-ს. ეს არის დამახასიათებელი ტემპერატურით
თაღიშისა და ირანის ზღვის სანაპირო მთებისა".

გროს ჰერბიტი ამავე აზრს იცავს და აღნიშნული აქვს, რომ სწორედ
ამ გზით შემოვიდა აღმოსავლეთიდან კავკასიაში პირველი არქტო-მესამეული
ფლორის ელემენტები *Conylius* L., *Carpinus* L. და *Fagus* L. მეორე დასავ-
ლეთის გზა მცირე აზიდან, გროს ჰერბიტის აზრით, გაცილებით როზულია და
ზოგიერთ შემთხვევაში არ არის მთლიანად გამორკვეული [10]. ეს გზა უნდა
ვიგულისხმოთ აღმოსავლეთ აზიდან დასავლეთით სკანდინავიის მატერიკამდე,
აქედან გრენლანდიით ამერიკაში და სამხრეთით ევროპაში. პოიარკოვას
აზრით [34] *Acer pseudoplatanus* L. ამ როზული ჩრდილოეთის გზით შემოიჭრა
ევროპაში გამყინვარების პერიოდამდე, ევროპიდან შეიჭრა მცირე აზიაში და
მის ჩრდილოეთით მდებარე ზღვის სანაპირო ქედებით მიაღწიეს დასავლეთ
ამიერკავკასიას, საიდანაც უფრო გვიან გადასახლდა დასავლეთ იმიერკავკა-
სიაში.

გარდა ამისა გროს ჰერბიტის მიხედვით [10] ზოგიერთი ფაქტი ევროპული
ბალახეული ცენტრალულობის გავრცელებისა ლაზისტანში და აჭარაში, როგო-
რიც არის *Drosera* D. C. და სხვა მცენარეები, მიუთითებს მასზე, რომ არქტო-
მესამეული სანის ზოგიერთი ელემენტები შემოჭრილია კავკასიაში დასავლე-
თიდან.

მესამე და ძირითად გზად ჩრდილოეთის ფორმების მიგრაციისა გროს-
ჰერბიტი სოვლის პირდაპირ გზას, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რომელიც
მესამეული პერიოდის მეორე ნახევარში იხსნება კავკასიაში და ამის შემდეგ,
გროს ჰერბიტის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბორეალური ელემენტების
შემოჭრაში როგორც მესამეულს, ისე მეოთხეულ პერიოდებში. მაშასადამე,
გროს ჰერბიტი სახავს სამ გზას ტურგაული ფლორის შემოჭრილისა კავკასიაში —
უძველესს აღმოსავლეთ გზას და დასავლეთის გზას მოვლით და შემდგომ
უფრო მნიშვნელოვან ჩრდილოეთის გზას, რომლითაც კავკასიაში შემოჭრა
უმნიშვნელოვანები ნაწილი ბორეალური ელემენტებისა.

სექტია *Aucuparia* Medik.-ის წარმომადგენლები თავისი ეკოლოგიით კავკა-
სიაში უმთავრესად სუბალპურ ტყეებთან, განსაკუთრებით არყნარებთან არიან
დაკაშირებული. ღოლუხანოვი [12] არყების სექტია *Albae* Rgl.-ის კავკა-
სიაში გავრცელების შესხებ გამოსთქვამს აზრს, რომ დასახელებული სექტია
Albae Rgl. კავკასიაში რამდენიმეჯერაა შემოჭრილი. პირველი შემოჭრა
Betula L.-ებისა გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე შემდგომი; პირველად არ-
ყები დასახლდნენ რა კავკასიის მთების სხვადასხვა კუთხეებში, ერთმანეთი-
საგან ცოტად თუ ბევრად იზოლირებულად, სხვადასხვა ახალი სახეობანი
მოვცეს, მათ შორის *Betula Raddeana* Trautv. აღმოსავლეთ კავკასიონზე-
უკანასკნელად დიდი გამყინვარების პერიოდში შემოიჭრა ჩრდილოეთიდან
ჩვეულებრივი შებუსვილი არყი *Betula pubescens* Ehrh. და მექეჭებიანი არყი
Betula verrucosa Ehrh. ახლად შემოჭრილმა სახეობებმა გამოიწვია მასო-
ბრივი ჰიბრიდზაცია აბორიგენულ სახეობებთან, რაღაც მათი გენეტიკური
იზოლირება არ იყო შორის წასული. ამგვარად, გამომუშავდა პოლიმორფული

სახეობა, როგორიც არის *Betula Litwinowii* Doluch., ეს უკანასკნელი შემოვლით ნიშნებს ატარებს *Betula pubescens* Ehrh.-სა და *Betula Raddeana* Trautv. შორის და ავტორის აზრით შებუსვილი არყის *Betula Raddeana* Trautv.-ს მონათესავე სახეობასთან შეჯვარებით წარმოიშვა.

მცირე კავკასიონზე გავრცელებულ *Betula Litwinowii* Doluch.-ს უძველესი ფორმების დამახასიათებელი ნიშნები გაცილებით ნაკლებად აქვს გამოსახული, რაც აფიქრებინებს ავტორს, რომ ეს უძველესი ფორმები თავისი გავრცელებით უმთავრესად მთავარი კავკასიონის მთებთან იყვნენ დაკავშირებული.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივღივართ: ჩვენი კვლევის შედეგად კავკასიის სახეობათა მეტი რაოდენობა *Aucuparia Medik.*-ის სექციიდან გავრცელებულია ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სახელდობრ სამი სახეობა, რომელიც მორფოლოგიურად უფრო დაშორებული არიან ნამდვილ *Sorbus aucuparia*-საგან. რაც შეეხება მთავარ კავკასიონზე გავრცელებულ *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ს, მას მეტი სიახლოევე ახასიათებს ჩრდილოეთის ნამდვილ *S. aucuparia* L.-სთან. *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ს ახასიათებს დიდი პოლიმორფიზმი; ერთი მხრით გეხვდება *S. Boissieri* Schn.-საფეხ გადახრილი ფორმები და მეორე მხრით *S. aucuparia* L.-საკენ. ამიტომ აღნიშნული სახეობა უნდა ჩაითვალოს უფრო ახალი წარმოშობის სახეობად კავკასიონის სხვა სახეობასთან შედარებით. შესაძლებელია *S. caucasigena* Komarov et Gatsch. პიბრიდული წარმოშობისა იყოს *Betula Litwinowii* Doluch.-ის მსგავსად, შედარებით უფრო ძველი წარმოშობის სახეობისა, რომელიც *S. Boissieri* Schn.-ს ემსგავსებოდა ნამდვილ *S. aucuparia* L.-სთან. ეს უკანასკნელი, უნდა ვიგულისხმოთ, შემოიჭრა კავკასიაში მაქსიმალურ გამყინვარებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ჩრდილოეთის გზით. თუ რა გზით ხდებოდა *Sorbus* L.-ების შემოჭრა მესამეულ პერიოდში კავკასიაში, ეს საკითხი ჯერჯერობით ლია უნდა დარჩეს, თუმცა შესაძლებელია ამ შემთხვევაში დაშვებულ იქნეს მიგრაცია დასავლეთის გზით, კოსევცის თანახმად, მით უმეტესად, რომ უფრო თავისებური ფორმები დასავლეთ ამიერკავკასიაშია თავმოყრილი.

სეოცილური ნაწილი

1. *S. Boissieri* Schn. (Descriptio emendata)

In Bull. Herb. Boiss. VI, 1906, 312. Illustriertes Handbuch der Laubholzkunde I, 1906, 671, Fig. 367, *S. aucuparia* auct. fl. cauc. non L. p. p.

K. Gatschetschiladze in Bull. Akad. Scien. Georg SSR, V, № 6, (1944), 620.

მაღალი ბუჩქები 3—7 მმ სიმაღლის ახალგაზრდა ყლორტები ცოტად თუ ბევრად შებუსვილია, ერთწლეული შიშველი ან ოდნავ შებუსვილი. ლეროს ქერქი მოყვავისფრო ან მოლვინისფრო, ახალგაზრდა გლუვია, შემდეგ მონაცრისფერო მრავალი პატარა ოსპებით. კვირტები თითისტარისებურია, ზიშველია და წებოვანი, 13 მმ სიგრძის. ფოთლები კენტფრთართულია, იშვიათად

ზედა ფოთოლაკი ორად არის გაყიდვილი. ფოთოლაკთა რაოდენობაზე 13-15-მდეა. ფოთლის სიგრძე უყუნწოდ 13,3—25,0 სმ, უდიდესი განი, 5,7—16,2 სმ უდრის. ფოთლის ყუნწის სიგრძე 1,5—5,8 სმ-რია. ფოთლის ყუნწონა ღია ფერის თეთრის ჯაგარია განვითარებული და ფოთოლაკები ქვედა მხარეზე უმთავრესად მთავარ ძარღვებზე შებუსვილია ან იშვიათად შიშველია. ფოთოლაკები ზედა მხარეზე მკვეთრი ბწვანეა, ქვედა მხარეზე კი ბაცი ღია ფერისაა და მეტეჭიანია, ზედა ფოთოლაკი ელიფსური ფორმისაა, ასიმეტრიულია, სიგრძით 3,8—6,6 სმ, უდიდესი განი 1,6—3,2 სმ. მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე 1,7—3,5 სმ, ზედა ფოთოლაკის ყუნწის სიგრძე 0,6—1,9 სმ; შეა ფოთოლაკი მოელიფსურო ლანცეტა ფორმისაა, ასიმეტრიულია 5,1—8,5 სმ სიგრძის, უდიდესი განი 1,7—2,8 სმ. მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე 1,6—5,9 სმ; კიდე ან ოდნავ ხერხებილა ან მკვეთრი ხერხებილა, კბილები ბლაგვია ან წარვეტილი. ქვედა ფოთოლაკი მოელიფსურო-ლანცეტაა 3,3—7,3 სმ სიგრძის, უდიდესი განი 1,1—2,6 სმ, მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე 1,3—4,6 სმ. თანაფოთლები მცირანა; ყვავილები დიდი ზომისაა, ოდნავ ან სრულიად შიშველი 15 სმ დიამეტრში. ყვავილები 10—12 მმ-მდეა დიამეტრში. გვირგვინის ფურცლები ფართო კვერცხნაირი ფორმისაა და მტვრიანების სიგრძეს უდრის. მტვრიანები 20-მდეა. სვეტები 4-ია, იშვიათად 5-ია, მტვრიანებზე უფრო მოკლე და ფუძესთან შებუსვილი. ნაყოფი მომრგვალო კვერცხნაირი ფორმისაა 8—11 მმ დიამეტრში, 4-ბუდიანია, მოწითალო ყვითელი (ნარინჯის) ფერის. ყვავილობს მაისში, ნაყოფობს აგვისტო-სექტემბერში (სურ. № 1).

ადგილსამყოფელი: იზრდება სუბალპურ სარტყელში 1500—2300 მტ. ზღვის დონიდან. იშვიათად ტყის სარტყელში ჩამოდის 700 მტ-მდე, უფრო ხშირად გვხვდება სუბალპურ არყნართა ასოციაციაში, დეკიანებში, უფრო იშვიათად კი კოლხეთის ტყეებში მარად მწვანე ქვე-ტყით.

ტიპი: Pontus, Lasistania, Sintenis № 1624. Lasistania Balansa № 301.

შემოწმებული მასალა: საქ. სსრ, აჭარა, ხულოს რაიონი: ბულვერდის თავი 1500 მ 3. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; რეიზის ჭოლოს ბოლო 1550 მ 3. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; ღორჯომი, ლელის ტყე 1750 მ 8. VIII. 1939 ქ. გაჩეჩილაძე; სახარატოს ტყე 1550 მ 5. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; ღორჯომი, ბოდიში 1950 მ 6. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; გურია: ბახმაროს მიღამოები 2050 მ 4. VIII. 1938 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; იელას მიღამოები 2150 მ 15. VIII. 1938 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; მჟავე წყლის გზაზე, ლაშას მიღამოები 1700' მ 8. VIII. 1938 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; სომლიას მიღამოები 1600 მ 11. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; სომლია 1885 მედვედვი (Sub. S. aucuparia L.); ბახვის წყლის სათავეები, ზორთიყელის ახლოს 6. VII. 1914 ნაყ. ე. ქიქოძე; ბაკურიანი: ცხრა წყარო სუბალპური სარტყელი 7. VII. 1917 ნაყ. შტეინბერგი (Sub. S. aucuparia L.); ცხრა წყარო 11. VII. 1888 ყვ. აკინ-ფიევი (Sub. S. aucuparia L.); ცხრა წყარო 24. VII. 1920 ნაყ. კოზლოვსკა (Sub. S. aucuparia L.); მუხერი 1750 მ 8. VII. 1938 ყვ. ქ. გაჩეჩილაძე; ცხრა-



ც. ს. Boissieri Schne. (სოხი, ხულო, ბულიფერდის თაგი 3 VIII. 1939). ცალკე: ზუა ფრთოლაკი და ნაყოფი.

წყარო 2000 მ 6. VII. 1938 ყვ. ქ. გაჩეჩილაძე; ცხრა-წყარო 2100 მ 27. X. 1938 /ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; ბაკურიანი ცხრა-წყარო 2000 მ 16. VII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე /ლობლიშვილი; ბაკურიანი 18. VII. 1908 ნაყ. მედვედევი (Sub. S. aucuparia L.); ბაკურიანი 6000 14. VI. 1901 ყვ. მიშჩენკო (Sub. S. aucuparia L.); საკოჭავის ტბა 28. VII. 1938 ნაყ. კოზლოვსკი; ბორჯომი: ბანის ხევი 12. VII. 1939 ყვ. ქ. გაჩეჩილაძე; შუანა 22. VI. 1920 ყვ. შიშკინი; მესხეთი: აბასთუმანი, ორბილის ხეობა 1800 მ. 22. VIII. 1937 ნაყ. ვ. მთვარაძე (Sub. S. aucuparia L.); აღიგებთან, სოფ. ზანოვა 25. VIII. 1932 ნაყ. ალ. ლოროქითანიძე; მთაგრეხილი ოშორა, საბადურის მთა (აწყურთან ახლოს) 22. VII. 1926 ვ. ვ. მეფერტი (Sub. S. aucuparia L.); ორიალეთი: მანგლისი 1880 VIII, მედვედევი (Sub. S. aucuparia L.); სომხ. სსრ: ახალი ბაიაზეთი 9. VIII. 1928 ნაყ. გროსპერიძე; კიროვაკანი, ტყის ზედა საზღვარი 26. VII. 1914 ნაყ. ლიტვინვი; დარაჩიჩავი IX. 1912 ტ. ორობ; კოდა 1907. სატუნინი (Sub. Pyrus aucuparia Gaertn.); დარაჩიჩავი 1887 ყვ. ვორონოვის ჰერბარიუმიდან (Sub. S. aucuparia L.); სოფ. მშენის ახლოს 24. IX. 1902 ნაყ. სატუნინი და ვორონოვი (Sub. Pyrus [Sorbus] Aucuparia L.); ახალი ბაიაზეთი 5. IX. 1929 ზედელმეირი; სომხეთი: ტყე ღონდუუდაკის მთა 30. VII. 1931 გროსპერიძე; მცირე აზია: ყოფ. არტანის ოლქი, სოფ. კოდასა და ეზნოსიადგას შორის 1. IX. 1902 ნაყ. სატუნინი (Sub. Pyrus [Sorbus] Aucuparia L.); ლაზისტანი მდ. კალეზე, ტყის ზედა საზღვართან, შიშკინი; მორსუვანი 20. VII. 1914 ჩეკალოვი; ართვინი № 751, 7. VI. 1907 ვორონოვი (Sub. Pyrus aucuparia Gaertn.); ბელლევანი 3300 2. VI. 1902 ალექსეენკო და ვორონოვი (Sub. S. aucuparia L.); ართვინი, სალალეთი 8. VII. 1904 მიხაილოვსკი (Sub. Pyrus aucuparia Gaertn.).

გეოგრაფიული გავრცელება: სამხრეთი ამიერკავკასია; მცირე აზია (ქანეთი).

F. apici-denticulata Gatsch.

ფოთოლაკები მხოლოდ წვერშია დაკბილული. აჭარა, ხულოს რაიონი. ლორჯომიდან, ლელის ტყე. 1700 მ ზ. დ. 8. VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე (სურ. № 2).

შენიშვნა: კავკასიონზე გავრცელებული *S. caucasigena* Komarov et Gatsch.-ისაგან განსხვავდება უფრო დიდი ზომის ფოთოლებით და ფოთოლაკებით, შემცველი ან მხოლოდ ძარღვებთან ოდნავ შებუსვილი ფოთოლაკებით, უფრო დიდი ზომის, თითქმის შიშველი წებოვანი კვირტებით და სხვა შედარებით წვრილი ნიშნებით, რომელთა შედარება მოცემულია ტაბულაზე. *S. Boissieri* Schn. ჩვენ მიერ შეგროვილია ხულოს რაიონში, ბულვერდის ბოლოს 1500 მ სიმაღლეზე ზ. დ.

*S. C. ექსპოზიციის 15° დაჭნების ფერდობზე, სადაც I იარუსში თითო-ოროლა სახით იჩრდება *Picea orientalis* Link., ანდა *Castanea sativa* Mill. და *Carpinus caucasica* A. Grossh.-ისაგან შექმნილ ტყეში. ზოგჯერ *S. Boissieri* Schn. გვხვდება *Azalea pontica* L.-სთან II იარუსში, სადაც *S. Boissieri* Schn. პატარა ბუჩქის სახით არის წარმოდგენილი 3—4 მ სიმაღლის.*



მაგალითად I იარუსში ოღნიშნულია: *Picea orientalis* Link., *Carpinus* casica A. Grossh. *Castanea saliva* Mill.; II იარუსში S. Boissieri Schn., *Corylus avellana* L., და *Azalea pontica* L., რომელიც ზოგჯერ 3—4 მეტრ. სიმაღლეს აღწევს; III იარუსში *Dryopteris filix mas* (L.) Schott., *Campanula glomerata* L., *Geranium Robertianum* L. და IV იარუსში ჭარბობს ხავსები. უფრო ზედარებით დიდ სიმაღლეზე ზოგის ღონიდან S. Boissieri Schn. უკვე სხვა დაჯგუფებაში შედის. 1550 მ ზ. დ. 35° რეიზის ჭოლოს ბოლოში (აჭარა) უკვე ჭარბად მოიპოვება *Prunus Laurocerasus* L. და ბუჩქების სახით იზრდება S. Boissieri Schn. სააში აღნიშნულია S. Boissieri Schn., *Prunus Laurocerasus* L., *Rhamnus imeretina* Koehne, *Corylus avellana* L., *Acer Trautvetteri* Medv., *Vaccinium vitis idaea* L., *Vaccinium arctostaphylos* L., *Ilex aquifolium* L., *Rubus idaeus* L. და სხვა.

გურიაში სომლის მთის მიდამოებში S 20°-ზე S. Boissieri Schn.-ს შეხვდებით *Fagus orientalis* Lipsky-ს დაჯგუფებაში, რომელიც პირველ იარუსს ჰქმნის და ქვე-ტყეში გვხვდება S. Boissieri Schn., *Rhododendron ponticum* L.-სთან ერთად, ხშირად შექრის მიერ მთლიანად დაფარულია არებარე და გაუვალ ზილდამებს ჰქმნის. აქ აღნიშნულია S. Boissieri Schn., *Rhododendron ponticum* L., *Vaccinium vitis idaea* L., *Dryopteris filix mas* (L.) Schott. და სხვა. იშვიათად შეხვდებით S. Boissieri Schn.-ის თითო-ოროლა ეგზემლარებს ქვე-ტყის სახით წიფლნარში, სადაც *Fagus orientalis* Lipsky I იარუსს ჰქმნის დაახლოვებით 2000 მ ს. მ. ზოგის ღონიდან. სამხრ.-დასავლეთ დაქანებაზე, გურიის მთებში, ხშირია S. Boissieri Schn. არყნარებში, უმთავრესად *Betula Litwinowii* Doluch.-ისაგან შექმნილ ირიბ ტყეში, სადაც მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე *Acer Trautvetteri* Medv., ხოლო ქვე-ტყე Rhododendron caucasicum Pall. და *Vaccinium vitis idaea* L.-თია შექმნილი. S. Boissieri Schn. გვრცელებულია აგრეთვე წმინდა დეკიანებში ბაჟურიანში ცხრა წყაროს მიდამოებში, სადაც აღწერილია დაჯგუფება S. Boissieri Schn. + *Rhododendron caucasicum* Pall.; იელას მიდამოებში (გურიის ქედი) კი 2150 მ ზ. დ. S. Boissieri Schn. გვხვდება პატარა ბუჩქების სახით NW საშუალო დაქანებულ ფერდობებზე,



სურ. № 2. S. Boissieri Schn. f. apicideticulata Gatsch. (Typus).
(აჭარა, ღორჯომი. 8. VIII. 1939).

აქ აღნიშნულია *Betula Litwinowii* A. Doluch. I იარუსში, *S. Boissieri Schn.* II იარუსში და III იარუსში *Daphne Mezereum L. Rhododendron caucasicum* Pall. *Dryopteris filix mos (L.) Schott.*, *Symphytum caucasicum* MB და სხვა. ხოლო ბუქსიეთის მთაზე (გურიის ქედი) 2300 მ ზ. დ. S 25° *S. Boissieri Schn.* გავრცელებულია *Betula Litwinowii* A. Doluch.-ის ტყეში. აგრეთვე წიფლნარში, *Rhododendron caucasicum* Pall., *Juniperus* და *Vaccinium arctostaphylos* L.-ის დაჯგუფებაში.

ამგარად, *S. Boissieri Schn.*, ისევე ონგორც *S. caucasigena* Komarov et Gatsch., გავრცელებულია უმთავრესად არყისა და წიფლისაგან შემდგარ სუბალპურ ტყეებში, მაგრამ ამასთანავე უფრო დაბალი სარტყელის ტყეებში მარად მწვანე ქვე-ტყით ან შერეული ტყის შემადგენლობაშიც შედის.

2. *S. adscharica* Gatschetschiladze

in Bull. Akad. Scien. Georg. SSR, V, № 6 (1944) 621—22.

ხედია 8—15 მ-დე სიმაღლის და 20 სმ-დე დიამეტრის ღეროთი. ღერო მონაცრისფრო ქერქითაა და მონაცრისფრო თეთრი ისპებით არის მოფენილი. კვირტები კონუსურია 1,5 სმ სიგრძის, მთლიანად შიშველია, ხოლო წვერში ონდავ შესამჩნევი ბუსუსით დაფარული. ფოთლები კენტფრთართულებია, იშვიათად წყვილი ფოთოლაკით ბოლოვდება. ფოთოლაკები 13—15-მდეა, შიშველია. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ჭვედა კი უფრო ბაცია. ფოთლის ყუნწი და ყვავილის ყუნწები მუქი მოყავისფრია, შიშველია, მანძილი ფოთოლაკებს შორის 3,5 სმ-მდეა. ფოთლები გრძელია 30 სმ-მდე სიგრძეს აღწევს უყუნწილეს: ფოთლის ყუნწის სიგრძე 2,7—6,3 სმ, ფოთლის უდიდესი განი 10,5—17,3 სმ; ზედა ფოთოლაკი კვერცხნაირი ფორმისაა და ოდნავ ასიმეტრიულია, 4,3—8,5 სმ სიგრძის, უდიდესი განი 2,2—3,9 სმ-რია, დაკბილვა ფუძილან 1,8—3,7 სმ დაშორებით იწყება. გვერდითი ნერვები თითო მხარეზე 15-მდეა, ზედა ფოთოლაკის ყუნწის სიგრძე 0,7—3,1 სმ-რია; შუა ფოთოლაკი მოგრძო კვერცხნაირი ფორმისაა და ფუძე ძლიერ ასიმეტრიული აქვს. ცალი მხარე ფუძისა სოლისებურია და ქმნის ასიმეტრიულობას, რომელიც ძირში მომრგვალებულ მეორე ნახევართან შედარებით უფრო მოკლეა და თანადათან გადადის ყუნწში. შუა ფოთოლაკის სიგრძე 5,9—9,9 სმ-რია, უდიდესი განი 2,0—3,6 სმ, დაკბილვა ფუძილან 4,2 სმ. დაშორებით იწყება. გვერდითი ნერვები თითო მხარეზე 16—20-მდეა. ქვედა ფოთოლაკი ელიფსური ფორმისაა და ასიმეტრიული. 3,5—8,0 სმ სიგრძის, უდიდესი განი 1,2—3,1 სმ, დაკბილვა იწყება ფუძილან 1,1—4,5 სმ დაშორებით. ყვავილები უმსია ფარისებრივია 15 სმ ღიამეტრიში. ნაყოფები ღეროების ბოლოშია განვითარებული და მოწითალო მონარინჯო ფერისაა, ვაშლის მოყვანილობის, ზედა და ქვედა მხარე შებრტყელებული აქვს, რის გამოც განი მეტია სიგრძეზე. ნაყოფის ყუნწის სიგრძე 0,5 სმ-რია, ხოლო ნაყოფის სიგრძე 1,1 სმ-რია, უდიდესი განი 1,3 სმ. ბუდეთა რიცხვი 4-ია, თესლის რაოდენობა ბუდეში 2-ია, იშვიათად ერთი განვითარდება ხოლმე, მოგრძო ფორმისაა, თვი და ბოლო წაწვეტილი აქვს. ყვავის მაისის დამლევს და ნაყოფობს აგვისტოს შუა რიცხვებიდან (სურ. № 3).



სურ. № 3. *S. adscharica* Gatschetschiladze (Typus). (აჭარა, წულო, თავო. 4. VIII. 1939).
 ცალკე: შუა ფოთოლაკი და ნაყოფი.

აღგილსამყოფელი: გვხვდება ტყის სარტყელში შერეულ ტყეში მარად მწვანე ქვე-ტყით.
 ტიპი: საქ. სსრ აჭარა, ხულოს რაიონი, თავო 1300 მ ზ. დ. 4. VIII.
 1939. ნაკ. ქ. გაჩეჩილაძე.

F. totali-denticulata Gatsch.

ფოთოლაკები უხეში კბილებითაა და დაკბილვა იწყება ფუძიდან. აჭარა
 (სურათი № 4).

შენიშვნა: ჩვენ მიერ გამო-
 ყოფილი S. adscharica Gatsch. გან-
 სხვავებულია S. Boissieri Schn.-ისა-
 გან მთელი რიგი მორფოლოგიური
 ნიშვნებით, რამაც საშუალება მოგვცა
 ახალ სახეობაზე გამოვვეყო. მართა-
 ლია, ჩვენი სახეობა უახლოვდება
 Schneider-ის სახეობას, მაგრამ მის-
 გან მკვეთრადაც განსხვავდება. გან-
 სხვავება გამოსახულია ფოთოლაკთა
 ფორმაში, რაც მისი ფუძის ძლიერი
 ასიმეტრიულობით არის გამოწვე-
 ული, და ნაყოფის ფორმაში, რომე-
 ლელიც ვაშლის მაგვარი ფორმით
 არის წარმოდგენილი. ფოთოლაკთა
 და კვავილების სრული სიშიშვლე
 აგრეთვე ასხვავებს ამ სახეობას
 S. Boissieri Schn.-ისაგან. S. adschar-
 ica Gatsch. შეგროვებულია მხოლოდ
 ტყის სარტყელში, იმ დროს როდე-
 საც S. Boissieri Schn. სუბალპური
 სარტყლის ელევანტს წარმოადგენს.
 S. adscharica Gatsch. ნახულია 1300—
 1350 მ-დე ზ. დ. ტყის სარტყელში,
 შერეულ ტყეში, რომელშიც ქვე-ტყე შექმნილია ხშირად გაუგალი Corylus
 avellana L.-ს და Prunus Laurocerasus L.-ის შალდამებით, აღგილ-აღგილ
 Rhododendron ponticum L.-ის შალდამებში.



სურ. № 4. S. adscharica Gatsch. f. totali-
 denticulata Gatsch. (ტყე).
 (აჭარა, ხულო, სახარატოს ტყე. 3. VIII. 1939)

3. S. bachmarense Gatschetschiladze

in Bull. Akad. Scien. Georg. SSR, V, № 6 (1944) 623

ხეებია 10 მტ სიმაღლის, მუქი მონაცრისფრო ქერქით, რომელზედაც
 გაფანტულია მოგრძო მოყინგისფრო ოსპები. კვირტები კონუსური ფორმისაა
 13 მმ სიგრძის, შიშველი, ხოლო ოდნავ შვერზე შებუსვილი. ფოთოლაკთა
 რაოდენობა 11—15-მდეა, ფოთოლაკები ზედა მხარეზე ინტენსიური მწვანეა,



ქვედა მხარეზე კი მკრთალი მწვანეა. ფოთლების სიგრძე $13,0-24,3$ სმ. უდიდესი განი $8,6-15,0$ სმ; ფოთოლაკები დაკბილულია, კბილები ხშირია, წვრილი, ზედა მხარეზე გადაღულია. ზედა ფოთოლაკი უკულმა კვერცხნაირი ფორმისაა, ძირთან ოდნავ ასიმეტრიულია სოლისებურად შევიწროებული, შიშველია, 13-მდე გვერდითი ნერვით, რომელიც ქვედა მხარეზე ეკვეთრადაა გამოჩენილი. მისი სიგრძე $4,1-6,6$ სმ უდრის, უდიდესი განი $1,8-3,6$ სმ; მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე $0,6-3,6$ სმ უდრის, ზედა ფოთოლაკის ყუნწის სიგრძე თითქმის $0,8-2,2$ სმ; შუა ფოთოლაკი უკულმა კვერცხნაირი ფორმისაა, ასიმეტრიულია, ძირთან შევიწროებული და თანდათან გადადის ყუნწში $5,0-7,7$ სმ სიგრძის, უდიდესი სიგანე $1,8-3,0$ სმ; მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე $0,7-4,1$ სმ; ქვედა ფოთოლაკი მოელიფსურო ლანცეტი ფორმისაა. სიგრძე $4,0-7,1$ სმ, უდიდესი განი $1,4-2,6$ სმ, მანძილი ფუძიდან დაკბილვამდე $0,7-4,3$ სმ; ყვავილედი ფარისებრივია $12-15$ სმ დიამეტრში, მთლიანად შიშველია ყვავილები, ნაყოფები მოყვითალო-წითელია, კასრის მაგვარი ფორმისაა, ნაყოფის ყუნწის სიგრძე $0,2-0,7$ სმ უდრის, ნაყოფის სიგრძე $0,9-1,2$ სმ, უდიდესი განი $1,1-1,2$ სმ-ზე, ბუდეთა რიცხვი $3-4$ -ია, რომელშიც ორ-ორი თესლია, ხშირად მხოლოდ ერთი ვითარდება. ყვავილობს ივნისის პირველ ნახევარში და ნაყოფობს აგვისტოში (სურათი № 5).

ადგილსამყოფელი: გავრცელებულია ტყის სარტყელში, ზღვის დონიდან 1100 მ-დან 1400 მ-დე შერეულ ტყეში მარად მწვანე ქვე-ტყით და შერიანში.


ტიპი: საქ. სსრ. გურია: ვაკისჯვრის გზით ბახმაროსაკენ ტყემლანას ბოლოს 1260 მ ზ. დ. 11 . VIII. 39 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე.

შემოწმებული მასალა: გურია, ვაკისჯვრიდან ბახმაროსაკენ, ტყემლანის ბოლოს 1260 მ 11 . VIII. 39 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე; ვაკის ჯვრიდან ბახმაროსაკენ ლარების თავი 1250 მ 11 . VIII. 1939 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე. ბახმაროს გზით 1100 მ ზ. დ. S 3. VIII. 1938 ნაყ. ქ. გაჩეჩილაძე.

შენიშვნა: ჩვენ მიერ ახლად აღწერილი სახეობა S. bachmarenensis Gatsch. ფართო ფოთოლაკებით, ყველა სხვა სახეობასთან შედარებით, უფრო S. adscharica Gatsch.-ს უახლოვდება, ხოლო მისგან მკვეთრად განსხვავდება ფოთოლაკთა ფორმით, რომელიც უკულმა კვერცხნაირია, ძირთან ძლიერად შევიწროებული S. adscharica Gatsch.-ის ფოთოლაკები მოვრძო კვერცხნაირი ფორმისაა და ძლიერ ასიმეტრიულია ძირთან, ერთი მხარე სოლისებურია, II კი მომრგვალებული. გარდა ამისა S. bachmarenensis Gatsch.-ს მკვეთრად გამოსახული ნერვაცია ახასიათებს.

S. bachmarenensis Gatsch. ნაყოფების ფორმა კასრისებურია, სიგრძე სიგანეს სკარბობს. S. adscharica Gatsch.-ს კი ვაშლის მაგვარი ნაყოფი ახასიათებს, რომელსაც ზედა და ქვედა მხარე შებრტყელებული აქვს, სიგანე სიგრძეს სკარბობს. S. bachmarenensis Gatsch. გვხვდება უმთავრესად Rhododendron ponticum L.-ისაგან შექმნილ ზალდამებში. ზოგჯერ გვხვდება Rhododendron ponticum L.-ის და Prunus Laurocerasus L.-ის დაჯვაფებაში, რომელიც ქვე-

ტყეს ჰქმნიან წიფლნარებში, სადაც წიფელთან ერთად აღნიშნულია გრევენი /
Castanea sativa Mill. *Acer platanoides* L. და სხვა, ზოგჯერ *S. bachmarense* Gatsch. *Rhodod. pontic.* L.-ის, *Prunus Laurocerasus* L.-ის და *Vaccinium vitis idaea* L.-ის დაჯგუფებაში გვხვდება.



სურ. № 5. *S. bachmarense* Gatschetschiladze (გურია, ბაჩმაროსაკენ, ტყემლანის ბოლო
 11. VIII. 1939). ცალკე: შუა ფოთოლაკი და ნაყოფი.

S. Boissieri Schn.-ob, S. adscharica Gatsch.-ob, S. bachmarenis Gatsch.-ob

ტაბულა № 1.

ნომენათვები	S. Boissieri Schn.	S. Botissieri Schn.	S. adscharica Gatsch.	S. bachmarenis Gatsch.
1. კვირცხა შესუსტი მიუღვით.	კვირცხა მომდინარეობს შესუსტი და წერვანი.	კვირცხა მომდინარეობს სიგრძე 1,3 სმ-ზე.	მეტარტები მომდინარეობს შესუსტი ან წერვანი დღნავ შესამნები შებუუით.	კვირცხა შესუსტი შებუუით, წყლის დღნავ შებუუილა.
2. კვირცხა ზომა.			1,5 სმ-ზე აღწევს	1,3 სმ-ზე.
3. ფოთლის და ყუნწის სიგრძე.	ფოთლები უყუნწიდ 20 სმ სისა ყუნწის აღწევთ, ხილო ჩვენი განაზომებით ფოთლის სიგრძე უყუნწიდ უღრის 13,3—25,0 სმ, ყუნწის სიგრძე 5 მ უღრის 1,5—5,8 სმ.	ფოთლები უყუნწიდ 30 სმ სიგრძისა, ყუნწის სიგრძე უღრის 2,7—6,3.	ფოთლის სიგრძე უყუნწიდ 13,0—24,3 სმ, ყუნწის სიგრძე 1,0—5,7 სმ.	
